დივერსია საქართველოს ეკონომიკის წინააღმდეგ A3
აფხაზური ხაფანგი A8
ავტომობილი B6

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ხუთშაბათი, 1 ივლისი, 2004 წელი. №154 (703)
ფასი 50 თეთრი

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ ყველაფერი...

კახა ბენდუქიძემ საპრივატიზაციო პოლიტიკის პრინციპები წარმოადგინა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*საქართველოს ეკონომიკის მინისტრი აგრესიულ პრივატიზებას იწყებს - უნდა გაიყიდოს ყველაფერი, ტყეც და ფილარმონიაც.*

*საქართველოს მთავრობა წელიწადნახევარში სახელმწიფო ობიექტების დაჩქარებულ პრივატიზებას გეგმავს. "იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა..." - გუშინ მთავრობის სხდომაზე ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ პრივატიზების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები წარმოადგინა.*

თამარ ხორბალაძე

სახელმწიფოს დღეს 1800-მდე საწარმო ან საწარმოს წილი აქვს. პრივატიზება კი, პირველ რიგში, ტურისტული ობიექტებით დაიწყება.

ამასთან, ქართულ ეკონომიკაში შემოდის პრივატიზების ახალი ფორმა, რომელსაც "საერთაშორისო გაყიდვა" ჰქვია და იგი აუქციონისა და პირდაპირი მიყიდვის პრინციპებს აერთიანებს.

გარდა ამისა, მინისტრის განცხადებით, საპრივატიზაციო ობიექტებში, შესაძლოა, გამოიყოს მნიშვნელოვანი ობიექტები - რკინიგზა, საზღვაო პორტები, აეროპორტები, ფოსტა, გაზმომარაგებისა და ენერგეტიკის ობიექტები, რომელთა გაყიდვა თანდათანობით მოხდება და რომელთა შემთხვევაში ინდივიდუალური გადაწყვეტილებები უნდა იყოს მიღებული. სავარაუდოა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ ობიექტების საწესდებო კაპიტალში

გაგრძელება A4 გვერდზე

## პრეზიდენტი აფასებს სტამბულის სამიტს

*გუშინ სტამბულიდან დაბრუნებული მიხეილ სააკაშვილი ნატო-ს სამიტთან დაკავშირებით პირველ კომენტარს აკეთებს. "საქართველოსთვის სრულიად ახალი ეტაპი იწყება," - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.*

**"მინდა ვთქვა, რომ სტამბულის სამიტი ძალიან წარმატებული იყო. პირველად ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა უმთავრესი აქცენტი კავკასიის ქვეყნებზე და შავ ზღვაზე გააკეთეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უპირატესი ყურადღების ქვეშ ექცევა. ეს ხდება პირველად ამ ალიანსის ისტორიის განმავლობაში. ალბათ, ყველამ ნახა, რომ სტამბულში ყოფნისას ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში გვერდიდან არ მომშორებია. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა საქართველოსთან სიახლოვეს - ეს იმ პირობებში, როდესაც იქ 47 ქვეყნის მეთაური იყო წარმოდგენილი და საქართველო მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პატარა ქვეყანაა. ეს ფაქტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ჩვენს ურთიერთობებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ჩვენს ურთიერთობებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. საქართველოსთვის იწყება სრულიად ახალი ეტაპი. დაგვჭირდება დრო, დაგვჭირდება მოთმინება...**

**სამწუხაროდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ცოტა ეწყინა ის ფაქტი, რომ ნატო-მ განსაკუთრებული აქცენტი საქართველოზე გააკეთა... მე ვფიქრობ, სულ ტყუილად ეწყინა, რადგან რუსეთის ინტერესებშიც არის ის, რომ კავკასიის რეგიონს დიდი ყურადღება მიაქციონ,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა სტამბულში ვიზიტის კომენტირებისას.

*24 საათი*

## ჩაშლილი ქართულ-ოსური დიალოგი ძასოხოვის ზეიმის თანხლებით

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში შერეული საკონტროლო კომისიის პირველი სხდომის ჩაშლა ქართულ მხარეს დაბრალდა. გიორგი ხაინდრავა რუსი და ოსი კოლეგებისაგან კატეგორიულად ითხოვდა მძევლების გათავისუფლებასა და მხოლოდ ამის შემდეგ - დიალოგის განახლებას. ოთხმხრივი კომისიის წევრებმა ორი საათის განმავლობაში წყლის ნაყვის შემდეგ მოლაპარაკების მაგიდა დატოვეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

### პოლიტიკა

**"რესპუბლიკელების" ნაწილი უმრავლესობის "ტყვეობიდან" გაიქცა**



დავით ბერძენიშვილი და მისი თანაგუნდელები რამდენიმე თვის განმავლობაში ხელისუფლების ზედა ეშელონებში იმყოფებოდნენ, მაგრამ მმართველ ბანაკში ყოფნაზე უარი თქვეს და კვლავ ოპოზიციაში გადაბარგდნენ.

A2

### ეკონომიკა

**მეწარმეები ისევ შეღავათებს ითხოვენ**



სახელმწიფო მინისტრი ჯამბულ ბაკურაძე გუშინ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტთან დაკავშირებულ შენიშვნებს მცირე და საშუალო მეწარმეებისგან ისმენდა.

A4

### უცხოეთი

**იანდარბიევის მკვლელებს სიკვდილით აღარ დასჯიან**



დაკავებული რუსები, როგორც მოსალოდნელი იყო, დამნაშავედ ცნეს იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობაში.

A5

### საზოგადოება

**მეცნიერების მართვის პრეტენზია მხოლოდ პრეზიდიუმს არ უნდა ჰქონდეს**



უკვე ორ თვეზე მეტია, მეცნიერებათა აკადემიის მოსალოდნელი რეფორმის გარშემო ცხარე კამათი მიმდინარეობს.

A6

### ამინდი

| | 1/7 | 2/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 26 | 27 |
| ქუთაისი | 23 | 24 |
| ბათუმი | 22 | 23 |
| სოხუმი | 21 | 21 |
| ფოთი | 22 | 22 |
| თელავი | 24 | 26 |
| ზუგდიდი | 23 | 23 |
| გორი | 22 | 23 |
| ახმეტა | 24 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3303 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4952 |
| რუბლი | 0.0661 |

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "უეროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები | A3 ორი რაკურსით | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ჩაშლილი ქართულ-ოსური დიალოგი ძასოხოვის ზეიმის თანხლებით



*საქართველოს დელეგაციამ ოთხმხრივი კომისიის სხდომა დატოვა.*

პირველი გვერდიდან

**"მერედა ვინ გითხრათ, რომ სხდომა ჩაიშალა? ასე ვის-აც აწყობს, ის ამბობს ამას. შესვენება არ ნიშნავს შეწყვეტ-ას,"** - განაცხადა კომისიაში ოსური მხარის წარმომადგენელ-მა თეიმურაზ კუსოევმა.

**"ასე იყო წინა შეხვედრაზე, როცა ჩვენი თხოვნა არ გაითვალისწინეს. ამიტომ, ჩვენ მოლაპარაკებებს არ გან-ვაახლებთ, სანამ ჩვენი მოთხოვნები არ შესრულდება,"** - უფრო კატეგორიული იყო გოგა ხაინდრავა.

ამასობაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან რიგ-რიგობით გამოდიოდნენ ეუთო-ს ჯგუფის წევრებიც, და-ბნეული და შეცბუნებული სახეებით.

ექსპერტებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირება პუტინ-სააკაშვილის შეხვედ-რამდე გადადებულია.

საყურადღებო ფაქტია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალ შენობაში მიმდინარე სხდომის პარა-ლელურად, "იტარ-ტასის" სააგენტოში პრესკონფერენცია მოიწვია მოსკოვში მოულოდნელად ჩამოსულმა ჩრდილო-ეთ ოსეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ძასოხოვმა, რომელმაც იქვე საკუთარი რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტობა მოაწყო ფილმით, ოსური ცეკვებით და სიმღერებით. თურმე ზუსტად ამ დღეს შესრულდა რუსეთთან ჩრდილოეთ ოსეთის მიერთები-დან 230 წლისთავი. ასე რომ, ძასოხოვის მოსკოვში ყოფნა თი-თქოს ამ საზეიმო თარიღით აიხსნება, თუმცა პრესკონფერენ-ციაზე პირველი და მთავარი პოლიტიკური განცხადება შეეხე-ბოდა: **"დიალოგის შეწყვეტა რეგიონში სამხედრო ქმედე-ბების დეტონაციას გამოიწვევს,"** - აღნიშნა მან. მეორე გან-ცხადება სამხრეთ ოსეთში ეკონომიკური კეთილდღეობის ზონის - თავისუფალი ეკონომიკური ზონის უფრო რბილი ვა-რიანტის შექმნის მოთხოვნა იყო, რაც **"საქართველოს შეია-რაღებული ექსპანსიის დროს დანგრეულ ინფრასტრუქტუ-რას აღადგენს და მოსაზღვრე რეგიონებსაც გადასწვდება,"** - გულის სიღრმეში ძასოხოვისთვის ეს ორი ოსეთის გაერთია-ნების "რბილი" ვარიანტი უფროა.

"მე არ მესმის ქართული მხარის ბრალდებები. მაჩვენეთ რუსეთიდან საქართველოში მიმავალი კონტრაბანდის დამა-დასტურებელი თუნდაც ერთი ფაქტი," - სირაქლემის პოზიდ-ან უტევს ძასოხოვი საქართველოს და იქვე მზადყოფნას აცხადებს, სამთავრობო დონეზე განიხილონ ორი ქვეყნის მე-საზღვრეებისა და მებაჟეთა ერთობლივი საკონტროლო ჯგუ-ფების შექმნის იდეა, რათა მხარეებმა ობიექტურად აკონტ-როლონ კონტრაბანდის ნაკადი. ძასოხოვის კომენტარით, "ქა-რთული მხარის მიერ კონტრაბანდის თემის პედალირება კონ-ფლიქტის დარეგულირების შესაძლებლობებს შეზღუდავს." არადა ქართული მხარე თავის მიერ კონტროლირებად ტერი-ტორიაზე კეტავს კონტრაბანდას და თუ ეს უკანასკნელი თვა-ლით არ უნახავს ძასოხოვს, რატომ ღელავს?

## ხელისუფლება სტრატეგიას ცვლის

სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი საჭიროდ მიიჩნევს, რომ მთავრობამ სამხრეთ ოსეთის თვით-გამოცხადებულ რესპუბლიკასთან დაკავშირებით ახალი სტრატეგია შეიმუშაოს.

ამის მიზეზად მერაბიშვილმა ოთხშაბათს გამართულ მთა-ვრობის სხდომაზე სამხრეთ ოსეთის მთავრობის მიერ სიტუა-ციის ხელოვნურად დაძაბვა დაასახელა.

"საქართველოს მთავრობამ უნდა დაანახოს საერთაშორი-სო თანამეგობრობას, რომ სამხრეთ ოსეთის რეგიონში მშვი-დობიან პოლიტიკას ემხრობა, ხოლო თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მოქმედებე-ბი, რაც მოსახლეობისათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთების ხელოვნურად შეჩერებასა და საგზაო მაგისტრა-ლების დაბლოკვაში აისახება, დაუშვებელია," - განაცხადა უშიშროების მინისტრმა. გუშინ საგანგებოდ აღინიშნა, რომ აჭარისგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით საქართველო საინფორმაციო ომს ვერ იგებს და ამ მიმართუ-ლებით გააქტიურება საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევა-ლა. გარკვეული შენიშვნები მიიღო ენერგეტიკის მინისტრმა, რომელმაც კრიტიკა სასწრაფოდ გააპროტესტა და აღნიშნა, რომ სხვა სამინისტროებისგან განსხვავებით, ენერგეტიკული სიტუაციის გამოსწორებას საკმაოდ დიდი დრო და რესურსე-ბი სჭირდება.

*24 საათი*

## "რესპუბლიკელთა" რიგები შეთხელდა

*"რესპუბლიკური პარტიის" ლიდერთა გადაწყვეტილება საპარლამენტო უმრავლესობიდან გასვლის შესახებ, პარტიის დაშლის მიზეზი ხდება. ოცდაათამდე "რესპუბლიკელმა" ოპოზიციონერობა არ ისურვა და ხაინდრავასა და ბერძენიშვილების პარტიის რიგები დატოვა. ამის შესახებ განცხადება ყოფილმა "რესპუბლიკელებმა" გუშინ გააკეთეს.*

პარტიის პოლიტიკური საბჭოს უკვე ყოფილი წევრის, პა-რტიის სამგორის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ოთარ სირაძის განცხადებით, პარტიიდან გასვლის მიზეზი "რეპუბლიკელი" ლიდერების "ნაციონალურ მოძრაობასთან" დაპირისპირება გახდა.

**"იმ ფონზე, როცა ქვეყანაში აღმშენებლობითი პროცე-სები მიმდინარეობს",** "რესპუბლიკური პარტიის" აქტივისტ-თა ნაწილი ოპოზიციაში თავს არაკომფორტულად გრძნობს და "გამარჯვებული ხალხის პარტიის" კარზე აკაკუნებს.

**"აქტივისტები პარტიის დატოვებასა და "ნაციონალურ მოძრაობაში" გადასვლას ჯერ კიდევ აჭარის უზენაესი სა-ბჭოს არჩევნებამდე აპირებდნენ, მაგრამ, წინასაარჩევნო ვითარების გამო, "ნაციონალური მოძრაობის" წარმომად-გენლებთან მოლაპარაკება ვერ მოხერხდა,"** - აცხადებს სი-რაძე და დასძენს, რომ უკვე ყველაფერი მოგვარებულია, სა-ხელისუფლებო პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრა შე-დგა და გადაწყდა, რომ ყოფილი "რესპუბლიკელები" "ნაციო-ნალები" გახდებიან.

სირაძის განცხადებით, "რესპუბლიკური პარტიის" ზოგი-ერთი წევრისთვის მიუღებელია ორგანიზაციის ლიდერთა მი-ერ გაკეთებული ცალკეული განცხადებები და ის პროცესები, რაც პარტიაში მიმდინარეობს. "განაციონალებული" "რესპუ-ბლიკელები" მიიჩნევენ, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩე-ვნებში "რესპუბლიკური პარტიის" დამოუკიდებლად გამოსვ-ლა უდიდესი შეცდომა იყო. სირაძის ინფორმაციით, "რესპუბ-ლიკურ პარტიას" დაახლოებით 35 ადამიანი ტოვებს.

*სოფო ბუკია*

# "რესპუბლიკელების" ნაწილი უმრავლესობის "ტყვეობიდან" გაიქცა

*"რესპუბლიკელები" თავიანთ "ბუნებრივ მდგომარეობას" უბრუნდებიან - 26-წლიანი პარტიული "სტაჟის" მქონე დავით ბერძენიშვილი და მისი თანაგუნდელები რამდენიმე თვის განმავლობაში ხელისუფლების ზედა ეშელონებში იმყოფებოდნენ, მაგრამ მმართველ ბანაკში ყოფნაზე უარი თქვეს და კვლავ ოპოზიციაში გადაბარგდნენ.*

საპარლამენტო უმრავლესობიდან გასვლის მიზეზად (შე-საბამისი ოფიციალური განცხადება გუშინდელ რიგგარეშე სესიაზე გაკეთდა) დავით ბერძენიშვილი ორ ფაქტორს ასახე-ლებს. მისი თქმით, "რესპუბლიკელების" პროტესტი განაპი-რობა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ტოტალურად გა-ყალბებამ, რითაც, პირველ რიგში, "რესპუბლიკელები" დაზა-რალდნენ და ამასთან, მიუღებელია აჭარის ავტონომიური რე-სპუბლიკის სტატუსი, რომელიც პარლამენტმა გუშინ მეორე მოსმენით დაამტკიცა.

**"ეს არის დემოკრატიაზე შეტევა მთელი ქვეყნის მასშ-ტაბით,"** - აცხადებს ნომერ პირველი "რესპუბლიკელი".

მის გულწრფელობაში სერიოზულად ეპარება ეჭვი პარ-ლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მიხეილ მაჭავარიანს. ვიცე-სპიკერს მიაჩნია, რომ აჭარის სტატუსი და არჩევნები "რესპუბლიკელებსა" და უმრავლესობას შორის მოხდარი გან-ხეთქილების მხოლოდ საბაბია და არა ნამდვილი მიზეზი. მა-ჭავარიანი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ამ ნაბიჯის გა-დადგმა "რესპუბლიკელებს" ადრევე ჰქონდათ ჩაფიქრებული.

დავით ბერძენიშვილისა და მისი თანაპარტიელების გადა-წყვეტილებას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე "სამწუხაროს" უწოდებს და "განდგომილებს" შეახსენებს, რომ **"ახლო წარსულში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ღი-რებულებებისთვის ერთად იბრძოდნენ".**



*"რესპუბლიკელები" ჩვეულ მდგომარეობას უბრუნდებიან.*

"რესპუბლიკელებისა" და "ნაციონალ-დემოკრატების" კონფლიქტში სპიკერი დავით ბერძენიშვილის გუნდს ადანა-შაულებს. მისი განცხადებით, ბევრად უფრო სწორი იქნებო-და, თუ ორივე ძალა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ერთად გამოვიდოდა. ამასთან, ბურჯანაძე არც "ნაგვის გარ-ეთ გამოტანას" იწონებს და აღნიშნავს, რომ როდესაც განსხ-ვავებული მიდგომები წარმოიშვა, მათ შესახებ მსჯელობა უმ-რავლესობის შიგნით უნდა გამართულიყო.

**"ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უმრავლესობაში მუშაობის რესურსი ნამდვილად არსებობს,"** - დასძენს პარ-ლამენტის თავმჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ ოპოზიციაში გადასვლის შესახებ მი-ღებულ გადაწყვეტილებას თავად "რესპუბლიკელების" შიგნ-ით ყველა როდი შეხვდა გაგებით. ეს პარტია პარლამენტში ექ-ვსი დეპუტატით არის წარმოდგენილი. უმრავლესობიდან გა-სვლას მათგან მხარი დაუჭირეს დავით ბერძენიშვილმა, ივლი-ანე ხაინდრავამ, თეიმურაზ ნერგაძემ და ლევან ბერძენიშვილ-მა, ხოლო ნუგზარ მგელაძემ და რომან გოცირიძემ "ნაციონ-ალ-დემოკრატების" ფრაქციაში დარჩენა გადაწყვიტეს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თავის გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ **"უმრავლესობაში ყოფნ-ით ქვეყანას უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს".** თითქმის იგივეს აცხადებს ნუგზარ მგელაძეც. იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ "ძველი რესპუბლიკელია" და, როგორც იგი აღია-რებს, მეგობრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასვლა ძა-ლიან გაუჭირდა. ამასთან, მგელაძე ირწმუნება, რომ საპარ-ლამენტო უმრავლესობაზე სამარადჟამოდ არა აქვს ჯვარი დაწერილი და მის ყველა გადაწყვეტილებას ბრმად არ დაუჭ-ერს მხარს. თავისი ნათქვამის "საილუსტრაციოდ", საკონსტი-ტუციო კანონპროექტს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" ნუგზარ მგელაძემ გუშინ ხმა არ მისცა.

*გიორგი ასანიშვილი*

## აფხაზეთის ხელისუფლება ქართულ სასუქს განკარგავს

აფხაზმა სამართალდამცველებმა საქართველოს პრეზი-დენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით გალის რაიონ-ის მცხოვრებთათვის გაგზავნილი მინერალური სასუქი განკა-რგვისთვის გალის აფხაზურ ადმინისტრაციას გადასცეს.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყა-როს ინფორმაციით, აფხაზმა სამართალდამცველებმა ზუგ-დიდის რაიონიდან გალის რაიონში დიდი რაოდენობის სასუქ-ის შეტანის ფაქტი სოფელ მზიურში აღკვეთეს და ჩამორთმე-ული 70 ტომარა მინერალური სასუქი გალის აფხაზურ ადმი-ნისტრაციას გადასცეს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ასლანბეი ბეიას განცხადებით, სოხუმის ხელისუფლების სამართალდამცვე-ლები "საქართველოდან აფხაზეთის ტერიტორიაზე შემომავა-ლი კონტრაბანდული ტვირთების დაკავებას კვლავაც განაგ-რძობენ". მისივე თქმით, ქართულ მხარეს, თავის დროზე, გა-ლის რაიონში სასუქის შეტანა აფხაზეთის ხელისუფლებასთან რომ შეეთანხმებინა, შესაძლოა პრობლემები აღარ ყოფილიყო და აფხაზურ მხარეს სასუქი კონტრაბანდულ ტვირთად არ ჩა-ეთვალა.

*ინტერ-პრესი*

## კოკოითის მიმართვა

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრე-ზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ოსი ხალხისადმი მიმართვაში უკიდურესი შეშფოთება გამოთქვა სამხრეთ ოსეთის ირგვლივ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ჩრდილოეთ და სამხ-რეთ ოსეთის გუშინდელ გაზეთებში გამოქვეყნებულ მიმართ-ვაში კოკოითი აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელმძღვანე-ლობას "საქმე თბილისსა და ცხინვალს შორის შეიარაღებული დაპირისპირების განახლებისკენ მიჰყავს". "ჩვენ ტრაგედიის განმეორება არ გვინდა და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ომ-ის განახლება თავიდან ავიცილოთ," - ნათქვამია მიმართვაში. კოკოითის თქმით, "სამხრეთ ოსეთმა დიდი ხანია, არჩევანი რუსეთთან შეერთების სასარგებლოდ გააკეთა და განზრახუ-ლი აქვს თავისი არჩევანის უფლება დაიცვას".

*ინტერ-პრესი*

## უშიშროების სამინისტროს სამი თანამშრომლის გათავისუფლება კვლავ ვერ ხერხდება

საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილის ამირ-ან მესხელის ცხინვალში ვიზიტი უშედეგო აღმოჩნდა. ცხინვა-ლში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების მთავ-არ შტაბში რამდენიმესაათიანი მოლაპარაკების მიუხედავად, კვლავ პატიმრობაში რჩება უშიშროების სამინისტროს ის სამი თანამშრომელი, რომლებიც ცხინვალელმა ძალოვნებმა ერგ-ნეთის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ოთხი დღის წინ დააკავეს. ოსური მხარე მათ ბრალად საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას, იარაღის უკანონოდ ტარებას და შპიონაჟს უყენ-ებს. სამივე მათგანი დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ციხეშია გა-დაყვანილი.

*ინტერ-პრესი*

# პარლამენტში "აჭარის დღეები" დასასრულს მიუახლოვდა



*კანონპროექტის ოპონენტთა უკან დახევა უმრავლესობის კულუარებში გადაწყდა.*

*აჭარის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა დასასრულს უახლოვდება: გუშინ საქართველოს პარლამენტმა, 172 ხმით 18-ის წინააღმდეგ, მეორე მოსმენით მოიწონა საკონსტიტუციო კანონპროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ". ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის პროცესს კი საბოლოო წერტილი დღეს, კანონპროექტის მესამე მოსმენის შემდეგ დაესმება.*

გუშინდელი განხილვის დროს, აღნიშნული კანონპროექტ-ის მიმართ ზუსტად იგივე შენიშვნები გამოითქვა, რომლებზ-ეც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 29 ივნისის სხდომაზე იყო მსჯელობა: კომიტეტის წევრები კვლავ დაჟინებით ითხო-ვდნენ ტერმინოლოგიურ ცვლილებებს. კერძოდ კი იმას, რომ "აჭარის კონსტიტუციას" "აჭარის ძირითადი კანონი" დარქ-მეოდა, ხოლო "აჭარის უმაღლეს საბჭოს" - "აჭარის წარმომა-დგენლობითი საბჭო".

პარლამენტარების უკმაყოფილებას კანონპროექტის ის მუხლიც იწვევდა, რომლის თანახმადაც, "საქართველოს პარ-ლამენტი უფლებამოსილია შეაჩეროს აჭარის უმაღლესი საბ-ჭოს მიერ მიღებული აქტი და ეს გადაწყვეტილება, შეიძლება, აჭარის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესა-მედის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდეს".

ამ მუხლის ჩამოყალიბებას დეპუტატი ნიკა გვარამია ასე-თი რედაქციით ითხოვდა: "პრეზიდენტსა და პარლამენტის წევრთა ერთ მეხუთედს ჰქონდეთ უფლება, საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანონ წარდგინებით აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაო-ბაზე და ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო საბოლოო ვე-რდიქტს გამოიტანს, შეჩერდეს აჭარის საკანონმდებლო ორ-განოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის მოქმედება".

აღმასრულებელი ხელისუფლების "ინტერესებს" გუშინდ-ელ სხდომაზე გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი იცავდა, რომელიც პარლამენტართა შენიშვნების გათვალის-წინების წინააღმდეგი წავიდა.

დავა უმრავლესობის დახურულ სხდომაზე გადაწყდა, რო-მელზეც დეპუტატებმა, როგორც ჩანს, უკან დაიხიეს, რადგან აღნიშნული მუხლების თავდაპირველი რედაქცია ძალაში და-რჩა.

საკონსტიტუციო კანონპროექტზე ღიად გალაშქრება გუ-შინ მხოლოდ ივლინე ხაინდრავამ გაბედა. **"საერთო-სახალხო განხილვის დროს გამოთქმული არც ერთი შენიშვნა გათვა-ლისწინებული არ არის. არადა, "რესპუბლიკელების" გარ-და, სერიოზული შენიშვნები წარმოადგინეს საკონსტიტუ-ციო სასამართლოს თავმჯდომარემ და "ვენეციის კომისი-ის" ექსპერტებმა",** - უკმაყოფილება გამოთქვა ოპოზიციაში ახლად გადასულმა "რესპუბლიკელმა".

მისი პროტესტის მიუხედავად, როგორც აღვნიშნეთ, სა-კონსტიტუციო კანონპროექტი "აჭარის ავტონომიური რეს-პუბლიკის სტატუსის შესახებ" მეორე მოსმენით პარლამენტ-ში ხმათა დიდი უმრავლესობით გავიდა.

სერიოზული პრობლემები არც საკადრო გადაწყვეტილე-ბის მიღების დროს წარმოქმნილა: გუშინ დეპუტატებმა, 142 ხმით 6-ის წინააღმდეგ, ჯემალ გახოკიძე უზენაესი სასამართ-ლოს წევრად დაამტკიცეს. მის წინააღმდეგ ისევ და ისევ ივ-ლიანე ხაინდრავამ აიმაღლა ხმა.

**"მიკვირს, რომ ასეთ თანამდებობაზე ინიშნება ადამია-ნი, რომელსაც მოსამართლედ ერთი დღეც არ უმუშავია და ამასთან, არც მოსამართლის გამოცდები აქვს ჩაბარებუ-ლი",** - მხრებს იჩეჩავდა ხაინდრავა.

სხვათა შორის, ჯემალ გახოკიძეს საპარლამენტო უმრავ-ლესობიდანაც დაემუქრა საფრთხე. **"თქვენს წარსულს და-დებით შეფასებას ვერ მივცემთ, რადგან დიდი ხნის განმავ-ლობაში ემსახურებოდით იმ სისტემას, რომელსაც ჩვენ ვე-ბრძოდით,"** - პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კანდიდა-ტურის მიმართ ანტიპათია არ დამალა ფრაქცია "ნაციონალ-დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილემ დავით კირკი-ტაძემ.

თუმცა, გახოკიძისთვის ბოლოს ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდა, ისევე როგორც ვასილ მაღლაფერიძისთვის, რო-მელიც გუშინ კოლეგებმა, 162 ხმით, ერთის წინააღმდეგ, ტე-რიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხების დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

*გიორგი ასანიშვილი*

## ორი სიტყვით

**გორი.** ხვალიდან დიდი და პატარა ლიახვის დამაკავშირებელ შემოვლით გზაზე უფასოდ იმოძრავებს ავტობუსი. ეს გადაწყვეტი-ლება საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა მიიღო. მისი განცხადებით, ხეობაში მცხოვრებ როგორც ქართველ, ისე ოსი ეროვნების მოსახლეობას დანარჩენ საქართველოში გადა-ადგილება უპრობლემოდ, შეუზღუდავად და უფასოდ მიეცემა. პი-რველი რეისი დღეს 08.00 საათზეა დაგეგმილი და პირველი მარშ-რუტით შიდა ქართლის გუბერნატორი ხეობაში მცხოვრებ ქართვე-ლებთან და ოსებთან ერთად იმგზავრებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის განცხადებით, თუ საქართველ-ოს ძალოსანთა ნაკრების წევრი არსენ ყარსაბიევი ათენის ოლიმ-პიადაზე საქართველოს დროშის ქვეშ იასპარეზებს, მას ცხინვალ-ის ტერიტორიაზე აღარ შეუშვებენ. ამის შესახებ გუშინ სასტუმ-რო "შერატონ მეტეხი-პალასში" მიმდინარე საქართველოს ოლიმ-პიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე საქართველოს ძალოს-ნობის ფედერაციის პრეზიდენტმა რამაზ გურგენიძემ განაცხადა. ყარსაბიევი ამჟამად საქართველოს ძალოსანთა ნაკრების ლიდე-რთან, გიორგი ასანიძესთან ერთად ვარჯიშობს პოლონეთში. **ინტ-ერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვი თბილისს მოუწოდებს, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე არსებული შეთანხმებე-ბი მოლაპარაკების გზით, შერეული საკონტროლო კომისიის ფარ-გლებში მოაგვაროს. "სირთულეების მიუხედავად, შერეულ საკო-ნტროლო კომისიას მოლაპარაკების უნიკალურ მექანიზმად გან-ვიხილავთ, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ," - განაცხადა კო-მისიის რუსული მხარის ხელმძღვანელმა, რუსეთის საგარეო საქ-მეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა მიხეილ მაიო-როვმა, რომელმაც კომენტარი გაუკეთა გავრცელებულ ინფორ-მაციას, გუშინ მოსკოვში დაგეგმილი შერეული საკონტროლო კო-მისიის სხდომის ქართული დელეგაციის ინიციატივით შეჩერების შესახებ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტო-რინგის კომიტეტის წარმომადგენლები მათეას ეორში და სერგეი კირილოვი საქართველოში 5 ივლისს ჩამოვლენ. ისინი საქართვე-ლოს ხელისუფლებასთან ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდე-ბულების შესრულების ვადების პროექტებს შეათანხმებენ. "ვარ-დების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს ახალ ხელისუფლებ-ას ევროსაბჭომ ძველი ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებუ-ლებების შესრულება გადაუვადა. საქართველოს 1999 წელს ევ-როსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებებიდან 33 ჯერ კიდევ შეუსრულებელი აქვს, მათ შორისაა თურქი მესხების საქართვე-ლოში დაბრუნების საკითხი. წინასწარი ინფორმაციით, მათეას ეორშს და სერგეი კირილოვს სწორედ თურქი მესხების საკითხის ვადის პროექტიც ჩამოაქვთ. **ინტერ-პრესი**

# რუსეთში საქართველოს ელჩი ვალერი ჩეჩელაშვილი იქნება

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხა-დებით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კემულა-რიას ნაცვლად, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ახალი ელჩი ვალერი ჩეჩელაშვილი გახდება, რომელიც ამჟამად ბისეკში (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) სა-ქართველოს წარმომადგენელია, ადრე კი უკრაინაში საქართვე-ლოს ელჩის თანამდებობა ეკავა.

ჩეჩელაშვილის კანდიდატურას, სხვა ელჩებთან ერთად, სა-ქართველოს პარლამენტი, სავარაუდოდ, არდადეგების შემდგომ, შემოდგომაზე დაამტკიცებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას უმაღლესმა საკანონმდებ-ლო ორგანომ, პრეზიდენტის თხოვნით, რვა საგანგებო და სრუ-ლუფლებიანი ელჩი გამოიწვია თანამდებობიდან. კერძოდ, გამო-წვევა შეეხო იტალიაში საქართველოს ელჩს რუსუდან ლორთქი-ფანიძეს, თურქეთში - ტარიელ ლებანიძეს, საფრანგეთში - ლანა ღოღობერიძეს. გამოწვეულია საქართველოს ელჩი გერმანიასა და პოლონეთში. საელჩო ავსტრიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში და უნგრეთში, რეორგანიზაციასთან დაკავშირებ-ით, სამ საელჩოდ გაიყო და ცალ-ცალკე იფუნქციონირებენ საე-ლჩოები: ავსტრია- უნგრეთში, სლოვაკეთ-სლოვენიაში და ჩეხე-თის რესპუბლიკაში.

ამასთანავე, პარლამენტმა ოთხშაბათს გამართულ რიგგარე-შე სხდომაზე (172 მომხრე 6 წინააღმდეგი) საქართველოს საგან-გებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, რუმინეთსა და მო-ლდოვაში გრიგოლ ქათამაძე რუმინეთიდან და მოლდოვადან გა-მოიწვია, თუმცა ის კვლავ დარჩა ელჩად უკრაინაში.

ახალი ელჩების კანდიდატურები უკვე შესულია პარლამენტ-ის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში და მათი განხილვა უახ-ლოეს მომავალში დაიწყება.

როგორც ჩვენთან საუბარში კომიტეტის თავმჯდომარემ კო-ტე გაბაშვილმა აღნიშნა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შე-თანხმებით, საქართველოს ელჩებად თურქეთის რესპუბლიკაში - გეგა მგალობლიშვილი, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში - ლევან ასათიანი, ლიტვა-ლატვია-ესტონეთში - დავით აფციაური, რუ-მინეთსა და მოლდოვაში - ზურაბ ბერიძე, ვატიკანში - ქეთევან ბაგრატიონი არიან წარდგენილნი, საფრანგეთსა და იუნესკო-ში წარდგენილია ნათია ჯაფარიძე, უზბეკეთში, ყირგიზეთსა და ტა-ჯიკეთში - დავით ზალკანიანი, თურქმენეთსა და ავღანეთში - იოსებ ჩახვაშვილი, ხოლო ყაზახეთში - ზურაბ შურღაია.

ამასთან, შუა აზიაში ეკონომიკური მისიით წარდგენილია გი-ორგი ღულუნიშვილი, თუმცა მის დასამტკიცებლად საკანონმდე-ბლო ცვლილებაა საჭირო.

ევროსაბჭოში ელჩად კი ლანა ღოღობერიძის კანდიდატურა განიხილება.

ამასთანავე, თუ ადრე საფრანგეთსა და ესპანეთში ერთი ელ-ჩი ახორციელებდა უფლებამოსილებას, ამიერიდან საქართვე-ლოდან ესპანეთში ცალკე ელჩი იქნება მივლინებული, ხოლო პო-ლონეთში, ავსტრიაში, სლოვაკეთსა და სლოვენიაში მივლინებუ-ლნი იქნებიან მოძრავი ელჩები.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯ-დომარე აღშფოთებულია ფაქტით, რომ უმაღლესი საკანონმდე-ბლო ორგანოს მიერ გათავისუფლებული ელჩები სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ტელევიზიებითა და საინფორმაციო საშუა-ლებებით იგებენ.

**"ეს ძალზე რთული და ფაქიზი პროცესია, ელჩებმა უნდა იცოდნენ, როდის ათავისუფლებენ ან რა მიზეზით, სხვანაირ-ად ეს სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს ხელისუფლებისთვის მტრების მომატება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბარში კოტე გაბაშვილმა.

კომიტეტის თავმჯდომარემ გუშინდელ სხდომაზე კატეგო-რიულად დასვა საკითხი, შემუშავდეს მექანიზმი, რომ ელჩები გა-თავისუფლებამდე ერთი თვით ადრე მაინც იყვნენ ინფორმირე-ბულნი.

კომიტეტის თავმჯდომარეს სხდომაზევე დაეთანხმა პარლა-მენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი და უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ელენე თევდორაძე.

რაც შეეხება ნატო-ში საქართველოს ელჩს, როგორც გახსო-ვთ, პარლამენტმა უკვე გამოიწვია დავით თევზაძე. კოტე გაბა-შვილის განცხადებით კი, ამ თანამდებობაზე ელჩის მოვალეობას დროებით კვლავ შეასრულებს დავით დონდუა.

*ნინო გომართელი*

## იტალიელებმა საქართველოსკენ გამოიხედეს



*საქართველოს და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრიფინგი.*

სტამბოლში მიხეილ სააკაშვილი და სილვიო ბერლუსკონი ვიზიტების გაცვლაზე შეთანხმდნენ, რამდენიმე დღეში კი თბილ-ისს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკო ფრატინი ეწ-ვია. ორდღიანი ვიზიტის განმავლობაში ფრატინი პრეზიდენტ მი-ხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და თავის კოლეგა სალომე ზურაბიშვილს შეხვდა.

**"იტალია პოზიტიურად აფასებს საქართველოს ხელისუფ-ლების მიერ ბოლო თვეებში გადადგმულ ნაბიჯებს. იწონებს საქართველოს მთავრობის პოლიტიკას ქვეყანაში არსებული "გაყინული" კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების თაობაზე,"** - ასე გამოხატა იტალიის მთავრობის მხარდაჭერა სა-ქართველოსადმი ფრანკო ფრატინიმ.

ფრანკო ფრანტინის განცხადებით, იტალია საქართველოსა-თვის ბევრ საკითხში, მათ შორის, ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მოპოვების თვალსაზრისით, კარგი პარტნიორი იქნება. **"აუცილებელია, საქართველო ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებს დაუახლოვდეს, რადგან ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები - ეს რთული სტრუქტურაა, ხოლო ტრადიცია შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების ურთიერთობისა ძალზე დიდია. ტრადიციებს კი, ალბათ, არ უნდა ვუღალატოთ,"** - განა-ცხადა მიხეილ სააკაშვილთან საუბრისას იტალიელმა სტუმარმა.

**"საქართველოში უკვე დიდი ხანია, რაც იტალიის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელი არ ყოფილა. გარდა ამისა, იტალია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით სერიოზულ გააქტიურებას გეგმავს,"** - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ დილით სტუმრის მიღებისას. ფრანკო ფრატინისთან დილით დაწყებული საუბარი მოგვიანებით, ნაკლებ ოფიციალურ გარემოში, სალომე ზურაბიშვილის სახელით გამართულ სადილზე რესტორანში გა-გრძელდა.

უახლოეს პერიოდში საქართველოს ეწვევა იტალიელი ექსპე-რტების ჯგუფი, რომელიც შეისწავლის, იტალიის რეგიონებისთ-ვის საქართველოს რომელ მხარესთან იქნება ხელსაყრელი მეგო-ბრობა. სხვა ჯგუფი იმის გარკვევას შეეცდება, თუ რომელ სექ-ტორებში იქნება მიზანშეწონილი იტალიური კაპიტალის ჩადება. როგორც ფრატინია მბობს, **"ინვესტიციების დაცულობის თვა-ლსაზრისით, მათ საქართველოს მთავრობის იმედი აქვთ".**

იტალიის ხელისუფლების საგარეო უწყების ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავე-ბა იტალიელებს სხვადასხვა მიმართულებით სურთ. ესენია სამ-ხედრო და სამედიცინო, კულტურული და საგანმანათლებლო სფეროები. საქართველოს შეიარაღებული ძალები სამხედრო და-ხმარებას, აღჭურვილობას მიიღებენ. ახალგაზრდა ქართველი დიპლომატების ნაწილი სტაჟირებას იტალიაში გაივლის. იტალი-ურ-ქართული ბიზნესსაბჭო ორი ქვეყნის მეწარმეებს ურთიერთ-საინტერესო ინფორმაციის გაცვლაში დაეხმარება.

გუშინვე ფრანკო ფრატინის და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას შეხვედრაც შედგა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის აზრით, გამორიცხული არ არის, რომ იტალიელები ფოთიდან წი-თელ ხიდამდე საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობაში და-გვეხმარონ.

*ლელა მჭედლიძე*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# დივერსია საქართველოს ეკონომიკის წინააღმდეგ

რევაზ საყევარიშვილი

საქართველოს ეკონომიკა უწინდებურად კრიზისშია. ეს არის ის ფაქტი, რომლის აღიარებასაც საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად გაურბის. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებათა ცვლის შედეგად ქვეყნის პოლიტიკურ რუკაზე უამრავი კარდინალური ცვლილება მოხდა, ეკონომიკური ლანდშაფტი აბსოლუტურად უძრავია. ბიუჯეტის მუდმივად შესრულება, პენსიების მიმართ, კორუფციის შემცირება, საგარეო დახმარებების ზრდის და სხვა დადებითი სიმპტომების პარალელურად, ძველებურად დრკონულია საგადასახადო გარემო, გართულებულია ბიზნესის დაწყება და წარმოება, შედეგად არ მცირდება ჩრდილოვანი სექტორი და, პრაქტიკულად, აბსოლუტურად არაფერია გაკეთებული საინვესტიციო არეების გასახსნელად.

ეს უკანასკნელი ფაქტორი ყველაზე მეტად სავალალოა, ვინაიდან, ალბათ, ყველა ხვდება, რომ ეკონომიკაში ახალი ფულის თუ ტექნოლოგიების შემოდინების გარეშე არაფერი გამოვა. არადა, თავისი ბუნებით ინვესტორები ერთ-ერთი ყველაზე მძიმედ "დასაძრავი" კატეგორიაა. ამ მხრივ, როგორც გამოცდილება, თვით რუსული კაპიტალიც კი, რომელიც ბუნებით გაცილებით უფრო ემოციური და რისკიანი, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არანაირად არ ჩქარობს საქართველოში შემოდინებას. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ინვესტორებს მკვეთრად გამოხატული გარანტიები და მიმზიდველი ბიზნეს-გარემო სჭირდებათ, რათა ფულის დაბანდებაზე გადაწყვეტილება მიიღონ.

"მე ვიწყებ პირადი გარანტი იმ ინვესტიციების დაცვისა, რომლებიც საქართველოში განხორციელდება", - ეს არის ის მესიჯი, რომელსაც პრეზიდენტი სააკაშვილი საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმებიდან მოყოლებული ყველა უცხოური ბიზნესის, ნებისმიერი ხელსაყრელი ტრიბუნიდან უგზავნის პოტენციურ ინვესტორებს. თეორიულად, ამ მხრივ წუნი არც მის წინამორბედს დაედებოდა. თუმცა, იმ სხვაობით, რომ მისი სიტყვა ალღის იყო, საქმე - ბალთის. ამიტომაც, კონკრეტულად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფალმა და მისმა გარემოცვამ არცთუ შორეული წარსულის ეს შეცდომა აღარ გაიმეორონ. არადა, ამის რეციდივები უკვე აშკარა და საგანგაშოა, ვინაიდან საქართველოში არათუ ახალი წარმატებული საინვესტიციო ისტორია არ შექმნილა, არამედ ის თითებზე ჩამოსათვლელი მაგალითებიც კი თვალსა და ხელს შუა ქრება, რომლებიც სხვათათვის მისაბაძი უნდა გამხდარიყო.

გაურკვეველი ვადით ჰაერში გამოეკიდა სააქციო საზოგადოება "მინის" (ქსნის მინის ტარის ქარხანა) საქმე - ქვეყნის მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნეს-ისტორია. საწარმო, რომელიც ინვესტორს - საქვეყნოდ ცნობილ კომპანია "შიშეჯამს" სრულიად გაპარტახებული გადაეცა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ფინანსური ხელშეწყობით ფეხზე დადგა, წელის მომაგრების შემდეგ რაგინდარა სახის სასამართლო პროცესების მსხვერპლი აღმოჩნდა. ქართული თემიდა კი არათუ თვალახვეული, არამედ იმდენად დაბრმავებული აღმოჩნდა, რომ თითიდან გამოწოვილი საქმის გამო "მინა" - არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რეგიონის დარგის ლიდერი და ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი დონორი - ლამის გაკოტრებამდე მიიყვანა. დღეს საქართველოს მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო საწარმო ისევ სასამართლო ბადეშია გახლართული და არავინ იცის, როდის დაიხსნის თავს. ამასობაში კი მიდის დრო და საწარმოს განვითარება უფრო და უფრო მეტად ფერხდება, ვინაიდან ინვესტორი, რომელიც უკვე აბსოლუტურად აღარ არის დარწმუნებული თავისი უფლებების დაცვაში, ცხადია, გაცილებით უფრო თავშეკავებულად საქმიანობს.

აქ, ალბათ, უკვე ზედმეტიც კია "ეიი-ეს"-ის საქმის გახსენება, ვინაიდან ჩვენს თვალწინ თითქმის ერთი წლის წინ დასრულდა მძაფრსიუჟეტიანი თრილერი, რომელიც თვალსაჩინო სახელმძღვანელო იყო იმისა, თუ როგორ უნდა გააძევო ინვესტორი ქვეყნიდან.

თუმცა, როგორც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, არც ეს ყოფილა შესაძლებლის ზღვარი და არ არის გამორიცხული, რომ კიდევ არაერთხელ დადგეს მომენტი, როცა დავრწმუნდებით, რომ ქართული ფანტაზიები ინვესტორებთან ურთიერთობისას ნამდვილად უსაზღვროა და მოვლენათა ანალოგიურ კალაპოტში განვითარების შემთხვევაში კიდევ არაერთ სიურპრიზს გვპირდება.

დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში საქართველოთი ასეთი დიდი დაინტერესება არსებობს, როდესაც დაუღალავად ხდება საინვესტიციო კარგახსნილობის დეკლარირება და როდესაც ქვეყანას მართლაც ჰაერივით ესაჭიროება ყველა სახის ინვესტიციები, ძირი ეთხრება დღევანდელობის კიდევ ერთ ყველაზე მსხვილ და წარმატებულ ბიზნეს-ისტორიას. ინვესტიციას, რომლის მიმართ დაშვებულმა პრეცედენტმა, შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკისთვის გაცილებით უფრო მძიმე შედეგები გამოიწვიოს, ვიდრე უკვე ჩამოთვლილმა მაგალითებმა.

"ჯი-ემ-თი ჯგუფი" - ამერიკელ კერძო ინვესტორთა პული, რომელსაც საღეისოდ საქართველოში ყველაზე მსხვილი პირდაპირი ინვესტიცია - დაახლოებით, 80 მილიონი დოლარი აქვს დაბანდებული, ალბათ, ერთადერთი კომპანიაა, რომელიც თავის საქმეს, პრაქტიკულად, ყოველგვარი ხმაურისა და აფიშირების გარეშე აკეთებს. არადა, მის აქტივში ერთდროულად რამდენიმე მსხვილი და წარმატებული პროექტია. ეს უპირველესად ეხება უმაღლესი კლასის სასტუმროების ქსელს - "მარიოტ თბილისს" და "ქორთიარდ მარიოტს", სადაც "ჯი-ემ-თი"-ს პარტნიორი საზღვარგარეთ განხორციელებული ამერიკული ინვესტიციების კორპორაცია ოპიკი გახლავთ, რომელმაც ყოველგვარი სახელმწიფო გარანტიების გარეშე, მსგავსი ტიპის პროექტში საქართველოსთვის მანამდე უპრეცედენტო თანხა - 26 მილიონი დოლარი დააბანდა. "ჯი-ემ-თი"-ს საკუთრებაშია აგრეთვე "ა" კლასის საოფისე ფართობები, რძის პროდუქტების და ხილის წვენების ლიდერი-მწარმოებელი "სანტე ჯი-ემ-თი პროდაქტსი" და უძრავი ქონების რამდენიმე ობიექტი. პარალელურად, "ჯი-ემ-თი ჯგუფი" ფლობს ფუნიკულიორის პლატოზე მდებარე რესტორნის შენობას და რუსთაველის გამზირზე თბილისის ომის დროს დამწვარი ყოფილი მხატვრის სახლის ტერიტორიას. უფრო სწორად, ამ ბოლო ობიექტთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ფლობდა მხატვრის სახლის ტერიტორიას, ვინაიდან რამდენიმე დღის წინ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით, კომპანიას ეს აქტივი (წლების წინ პრივატიზებული და დაკანონებული) ჩამოერთვა და სხვა მესაკუთრეს გადაეცა.

სწორედ ეს არის ის ყველაზე დიდი საფრთხე, რაც ქართულმა მართლმსაჯულებამ უკვე პრეცედენტის ძალის მქონე ფაქტად აქცია - კომპანიას, რომელმაც ქონება საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით შეიძინა (სახელმწიფოსგან ჯერ იჯარით აიღო, მერე კი იყიდა), საკუთრების უფლება გაუუქმა და ქონება, რომელზეც უკვე დაწყებული იყო ახალი პროექტის განხორციელება, ჩამოართვა. და ეს იმის მიუხედავად, რომ საქმე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის სრული იგნორირებით აღიძრა, რაც კიდევ ერთი საინტერესო დეტალია. მით უფრო, რომ ამ დარღვევაზე თვალი დახუჭა სწორედ მან, ვისაც ყველაზე მეტი სიფხიზლე ევალება - საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

ცხადია, ყოველთვის შეიძლება არსებობდეს ეჭვები. ცხადია, მუდამ იარსებებს საწინააღმდეგო არგუმენტი, რომ "იმ შორეულ" 90-იან წლებში ყველამ კარგად ვიცით, რა და როგორ კეთდებოდა. მაგრამ ეს თეორიული განაზრებანი აბსოლუტურად არანაირი იურიდიული ძალის მქონენი არ არიან განსხვავებით იმ დოკუმენტებისგან, რომლებითაც ამერიკელი ინვესტორები არიან შეიარაღებულნი.

თბილისის მერიამ ინვესტორს ეს ობიექტები ჯერ კიდევ 7 წლის წინ 99-წლიანი იჯარით გადასცა, 1998 წელს არასასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების შესახებ კანონის გამოსვლის შემდეგ კი ინვესტორმა ეს ქონება შეისყიდა. სწორედ ასეთი მარტივია ის სქემა, რომლითაც "ჯი-ემ-თი ჯგუფი" ქონების მესაკუთრე გახდა. სქემა, რომელიც რეესტრებიდან ამონაწერებით, სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებებით და ყველა სათანადო დოკუმენტით არის დამოწმებული. დღეს მთელი ეს დოკუმენტაცია სასამართლოს მიერ, პრაქტიკულად, ფარატინა ქაღალდად არის ცნობილი, წლების განმავლობაში ხელშეუვალი საკუთრების უფლება სრულად არის იგნორირებული და ქვეყანას იმ საშიშ მორევში გადაშვებით ემუქრება, რომელსაც პრივატიზების შედეგების გადახედვა და ქონების ახალი, ხელოვნური გადანაწილების პროვოცირება ჰქვია.

სათქმელად სამარცხვინოა, მაგრამ მსგავსი რამ შევარდნაძის ხელისუფლების დროსაც კი არ მომხდარა. უცხოელი ინვესტორისთვის საკუთრების ჩამორთმევა თვით თავისი "ბესპრედელით" სახელგანთქმულმა შევარდნაძის გარემოცვამ თუ სანათესაომაც ვერასოდეს გარისკა. დღეს კი, როდესაც საქართველოში კანონიერების ზეობისა და პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური თავისუფლებების და მათი გარანტიების ასეთი აგიტაცია მიმდინარეობს, ილახება საბაზრო ეკონომიკის წმინდათაწმინდა ცნება - კერძო საკუთრების უფლება, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანის უფლებების ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია. ეს პრეცედენტი, შესაძლოა, მთიდან დაგორებული ის თოვლის გუნდა აღმოჩნდეს, რომელიც საბოლოოდ ზვავად იქცევა და ყველაფერ მიღწეულსა და აშენებულს წალეკვით ემუქრება. როგორც წესი, ყველა უგვანო საქმე სწორედ ასეთი პრეცედენტებით იწყება, რომლებიც ეპიდემიის ეფექტით ედება ქვეყნის ეკონომიკის ისედაც დასუსტებულ ორგანიზმს და განადგურებით ემუქრება.

სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ საქმე ეხება საკმაოდ გავლენიან ინვესტორთა ჯგუფს, რომელთანაც მსგავსი მასხარაობა, როგორც წესი, კეთილად არ მთავრდება ხოლმე. მით უფრო, რომ იმავე მხატვრის სახლთან დაკავშირებით მათ უკვე მოხდენილი ჰქონდათ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და გამზადებული ჰქონდათ 40-მილიონიანი ინვესტიციის პროექტი, რომლის მონაწილეც ამჯერადაც ოპიკი უნდა გამხდარიყო.

დღეს "ჯი-ემ-თი ჯგუფთან" ასეთი მოპყრობის შემდეგ თავისი შესაძლებლობებითა და გავლენით ცნობილი ოპიკის საქართველოსადმი დამოკიდებულება შესაძლოა საგრძნობლად შეიცვალოს. ეს ცვლილება კი უკიდურესად უარყოფით გავლენას იქონიებს არა მხოლოდ ერთ კონკრეტული ბიზნეს-სტრუქტურაზე, არამედ მთელ ქართულ საქმიან გარემოზე, რადგან ოპიკის ქვეყანაში საბოლოოდ დამკვიდრება კიდევ ერთი დამატებითი და საკმაოდ სერიოზული სიგნალი უნდა გამხდარიყო ინვესტორებისთვის საქართველოში ფულის დაბანდების დასაწყებად.

დღეს ეს სიგნალი გაურკვეველი ვადით დადუმდა, რადგან ვერც ამერიკელ და ვერც სხვა წარმომავლობის ინვესტორებს ვერავინ დაარწმუნებს, რომ ქვეყანაში, სადაც ყველაზე წარმატებ-ულ, პრაქტიკულად იდეალური საინვესტიციო ისტორიის მქონე ლიდერ ინვესტორ კომპანიას ასე ეპყრობიან, სხვა, ადგილობრივ პრობლემებთან გაცილებით ნაკლებად ადაპტირებულ და, შესაბამისად, უფრო დაუცველ ინვესტორებს უკეთესი დღე ელით.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ოპიკის უფრო მეტი დოზით შემოყვანის პერსპექტივა ისევ ჰაერში გამოეკიდა. გამოეკიდა იმის გამო, რომ, როგორც ირკვევა, წინამორბედის მსგავსად, დღევანდელ ხელისუფლებაშიც ზოგჯერ მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა და პირიქით. როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი ქვეყანაში ინვესტორებს ეპატიჟება და მათ მაქსიმალურ კომფორტს ჰპირდება, სასამართლო ხელისუფლება ყველანაირ შანსს უსპობს ქვეყანაში მოქმედ ინვესტორებს, რითაც პრეზიდენტის შეთავაზების აბსოლუტურ დეზავუირებას ახდენს. ამას მარტივ ენაზე ქვეყნის გაცხადებული პრიორიტეტებისა და სტრატეგიის წინააღმდეგ განხორციელებული დივერსია ჰქვია, რომლის "შემოქმედებსაც" საკუთარი მოღვაწეობის შესაძლო შედეგები ალბათ არც აქვთ გაცნობიერებული. თუმცა, ასეთი "დივერსანტები" და მათი საქმიანობა რომ ხელისუფლების უპირველესი დაკვირვების საგანი უნდა გახდეს, ამის თაობაზე ჯერ კიდევ თანამდებობაზე დამტკიცებამდე განაცხადა ეკონომიკის ახალმა მინისტრმა. ქვეყანაში ინვესტორების მოზიდვასა და ლიბერალური საბაზრო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებელმა კახა ბენდუქიძემ ქვეყნის გაჯანსაღების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად სწორედ სასამართლო ხელისუფლების რეფორმა მიიჩნია. სასამართლოსი, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს ეკონომიკური პროცესების განვითარებას და არა პირიქით.

არც ოფიციალურ და არც ბიზნეს-წრეებს, ჯერჯერობით, კომენტარი არ გაუკეთებიათ, მაგრამ უკვე ცნობილია, როგორი ნეგატიურია ამ ფაქტის მიმართ საქართველოში ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენელთა პოზიცია. იგივე განწყობა სუფევს ყველა იმ ტიპის ბიზნეს-გაერთიანებაშიც, რომელშიც საქართველოში მოღვაწე უცხოური კომპანიებია გაერთიანებული. შესაბამისად, დიდია ალბათობა, რომ ეს საქმეც ძალიან შორს გასცდეს საქართველოს საზღვრებს და ქართული საინვესტიციო "სტუმართმოყვარეობის" ახალი ისტორია სტუმრად ჩამოსვლის ბევრ მსურველს ისეთი სახით წარმოუდგინოს, რომ ჩამოსვლის სურვილი საშველიშვილოდ დაუკაგროს. რამდენად გაუძლებს საქართველო ამის შედეგად გამოწვეულ კიდევ ერთ ეკონომიკურ იზოლაციას, ეს უკვე, ალბათ, რიტორიკული კითხვაა და პასუხის საძებრად დიდ თავის ტეხვას აღარ საჭიროებს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*რუსთაველის გამზირზე მდებარე, თბილისის ომის დროს დამწვარი, ყოფილი "მხატვრის სახლის" ტერიტორია დღეს ასე გამოიყურება.*

# კანონიერი გადაწყვეტილების შუქ-ჩრდილები

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც "ჯი-ემ-თი"-ს რუსთაველის გამზირზე მდებარე, თბილისის ომის დროს დამწვარი, ყოფილი "მხატვრის სახლის" ტერიტორიაზე საკუთრების უფლება ჩამოერთვა და რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, დღეს უნდა გამოქვეყნდეს.*

სოფიკო ჩხაიძე

თავად ამერიკული კომპანიის წარმომადგენლები გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე კომენტარზე და, ცხადია, სამომავლო გეგმებზე საუბარზეც უარს ამბობენ. სხვათა შორის, ჯერჯერობით, კომენტარისგან თავს იკავებს გამარჯვებული მხარეც - მხატვართა კავშირიც. ამ ეტაპზე, ანუ მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იციან, კონკრეტულად რა ნაწილში ცნო მოსამართლემ მათი სარჩელი სამართლიანად და რა არგუმენტაციით ხელმძღვანელობდა, როცა ამერიკულ კომპანიას მხატვრის სახლის ტერიტორიის საკუთრების უფლება ჩამოართვა, ისინი საუბარს ნაადრევად მიიჩნევენ. თუმცა კი, ცნობილია ის ძირითადი არგუმენტი, რომელსაც მხატვართა კავშირის სარჩელი ემყარებოდა და რის გამოც თავის დროზე აჟიოტაჟი, არც მეტი, არც ნაკლები, თავად საქართველოს პრეზიდენტმა ატეხა, როცა იგი თბილისის საკრებულოს ედგა სათავეში. მხატვართა კავშირის წარმომადგენლები დღეს სწორედ მიხეილ სააკაშვილს უმადლიან, რომ თბილისის მერიის ყოფილ ჩინოვნიკთა მიერ ჩადენილი უკანონობა გამოავლინა. ეს ძირითადი არგუმენტი ის გახლავთ, რომ, სხვა არაერთ დარღვევასთან ერთად, სახელმწიფომ, გნებავთ, მის სამსახურში რიცხულმა ჩინოვნიკებმა (ანგარებით თუ გულუბრყვილობით, თავად განსაჯეთ) გაასხვისეს ტერიტორია, რომელზეც არსებული შენობა-ნაგებობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მხატვართა კავშირის ბალანსზე ირიცხებოდა (სხვათა შორის, დღემდე მის ბალანსზეა) და სახელმწიფოს სულაც არ ეკუთვნოდა. შესაბამისად, არც პრივატიზაციას ექვემდებარებოდა.

რამდენიმეწლიანი დავის შემდეგ, სასამართლომ საბოლოოდ დაუსვა წერტილი იმ საქმეს, რომელიც, თავის დროზე, საკრებულოს თავმჯდომარედ მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო იმით, რომ ბათილად სცნო მერიის დადგენილება ტერიტორიის გასხვისების თაობაზე - უზენაესმა სასამართლომ "ჯი-ემ-თის" საკუთრების უფლება ჩამოართვა. არავითარი საფუძველი არ არსებობს, ეჭვქვეშ დადგეს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება, მაგრამ ასევე ძნელია კომპანია "ჯი-ემ-თის" მესვეურთა კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანაც.

ცხადია, ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში არა დამნაშავის, არამედ დაზარალებულის როლში გვევლინება, ოღონდ იგი არც სასამართლოს დაუზარალებია და არც მოსარჩელე მხატვართა კავშირს. "ჯი-ემ-თი" იმ სახელმწიფო ჩინოვნიკთა მხრიდან დაზარალებულად უნდა ჩაითვალოს, რომლებმაც მას ტერიტორია უკანონოდ მიაკუთვნეს. საქართველოში სულ ცოტა ხნის წინ არსებული რეალობიდან და პრივატიზაციის პროცესის დარღვევებით მიმდინარეობის არაერთხელ დადასტურებული ფაქტებიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, რომ ბევრი უცხოელი ინვესტორი ჩავარდეს "ჯი-ემ-თის" მსგავს მდგომარეობაში, რაც, კერძო ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, ქვეყანას არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენებს. თუმცა, როგორც ექსპერტ-იურისტის დავით უსუფაშვილის სიტყვებიდან ირკვევა, "ჯი-ემ-თის" ირგვლივ შექმნილი სიტუაცია ერთგვარად გამონაკლისის სახით შეიძლება იქნეს განხილული.

**"პრივატიზაციის პროცესში დაშვებული დარღვევების გამო დეპრივატიზაცია არ შეიძლება. მართალია, თუ პრივატიზაციის პროცესში ვინმემ დანაშაული ჩაიდინა, ის უნდა დაისაჯოს, თუმცა, თავად ობიექტის მესაკუთრის შეცვლა არ შეიძლება. ეს ზოგადი მოდელია, მაგრამ ყველა კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული მიდგომა არსებობს,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას დავით უსუფაშვილმა, - **მაგრამ ერთია, როცა ვინმე ეჭვქვეშ აყენებს თვითონ პრივატიზაციის პროცესში განხორციელებულ ქმედებას და ამის გამო დავა, მერე - როცა სახელმწიფომ გაყიდა სხვისი ქონება. ამ ქონების გაყიდვის უფლება სახელმწიფოს, ცხადია, არ ჰქონდა, არც წესების დაცვით და არც დარღვევებით. ასეთ შემთხვევებში გასარკვევად კი მხოლოდ პრივატიზებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები საკმარისი არ არის. ამ დროს ხანდაზმულობის ვადაც სხვა მოქმედებს: თუ უკანონო პრივატიზებასთან დაკავშირებით სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა არსებობს, თუ ვინმემ სხვისი ქონება მიისაკუთრა, აქ ჩივილის უფლების ვადა გაცილებით დიდია".**

გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე უცნობია, კონკრეტულად რა არგუმენტებით იხელმძღვანელა სასამართლომ კანონიერი მფლობელისთვის საკუთრებაში ქონების დაბრუნებისას, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ამ გადაწყვეტილებაში არაფერი იქნება ნათქვამი ამ ქონების უკანონო გამსხვისებელთა პასუხისმგებლობაზე - სასამართლოსგან ეს, ჯერჯერობით, არავის მოუთხოვია. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამის უფლება და მეტიც, ზარალის ანაზღაურების უფლება ორივე მხარეს აქვს - მოსარჩელესაც და მოპასუხესაც.

**"ცალსახაა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრების განკარგვის უფლება სახელმწიფოს არ ჰქონდა. სახელმწიფო ჩინოვნიკების მიერ ამგვარი დარღვევის დაშვებაზე პასუხისმგებელი კი სახელმწიფოა. დავაში მონაწილე ორივე მხარეს - მოსარჩელესაც და მოპასუხესაც შეუძლია, სახელმწიფოსგან ზარალის ანაზღაურებაც კი მოითხოვოს. ეს პირობები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსში,"** - აცხადებს ეკონომიკური სამართლის ექსპერტი სოსო სიმონიშვილი.

როგორ მოიქცევიან მხარეები სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ და გამოიყენებენ თუ არა ისინი სამოქალაქო კოდექსით მინიჭებულ უფლებას, უცნობია. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას არაერთი უსამართლობა შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, რამდენად სამართლიანი იქნება, ყოფილი ხელისუფლებისა და მის ჩინოვნიკთა ცოდვები ახალ ხელისუფლებას აზღვევინონ, იმავე ჩინოვნიკთა გამო ქვეყანა არახელსაყრელ საინვესტიციო გარემოს მქონედ მოინათლოს და უცხოელ ინვესტორთა დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდეს? და, საერთოდ, რამდენად სამართლიანია, რომ ჯერ არავის დაუსჯია ის ხალხი, რომელიც ამ უსამართლობის სათავეში იდგა?!


# სააქციო საზოგადოება თელასი

## საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
## სს "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების განცხადება

ბოლო ხანებში კვლავ დაიწყო აჟიოტაჟი ქ. თბილისში ელექტროენერგიის ტარიფის მოსალოდნელ გაზრდასთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში შეიცავს უზუსტობას, შეცდომაში შეჰყავს მოსახლეობა, ახდენს სს "თელასის", სემეკ-ისა და სხვა სახელმწიფო უწყებების დისკრედიტაციას. ჩვენთვის უცნობია, თუ ვის და რისთვის სჭირდება ამგვარი მოქმედება. ფაქტი კი ერთია - ყოველივე ეს არც ენერგეტიკის და არც მოსახლეობის სასიკეთოდ არ კეთდება.

არ შევეცდებით გაკეთებული განცხადებების, მოყვანილი ციფრებისა და "ეკონომიკური სენტენციების" ანალიზს, ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ ისინი შორს არიან ჭეშმარიტებისაგან, მეტყველებენ საკითხის არცოდნაზე, არაპროფესიონალიზმზე და მხოლოდ მოსახლეობის "გულშემატკივრობის" პათოსით არიან გაჟღენთილნი. გასულ წლებში ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის, პოლიტიკოსის თუ ე.წ. "ექსპერტის" სწორედ ამგვარმა პოპულისტურმა, უპასუხისმგებლო განცხადებებმა და ქმედებებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ენერგეტიკული კრიზისის გაღრმავებას.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს საქმის რეალური ვითარება, კერძოდ, ის, რომ ელექტროენერგიის ტარიფის დაუსაბუთებელი გაზრდა არ შედის სს "თელასის" ინტერესებში. ამის შესახებ ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში განაცხადეს რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის ხელმძღვანელებმა, ანატოლი ჩუბაისმა და ანდრეი რაპოპორტმა. ამ თემაზე რამდენიმე განცხადება გააკეთა სს "თელასის" გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკალაუსკასმაც.

თითქმის ერთი წელია ქ. თბილისში მოსახლეობისთვის ნაცვლად 13,7 თეთრი/კვტსთ-იანი ტარიფისა მოქმედებს შემცირებული ტარიფი - 12,18 თეთრი/კვტსთ, რომელიც მარეგულირებელმა კომისიამ "თელასის" თხოვნის საფუძველზე ძალაში დატოვა. კომპანია წინააღმდეგი იყო ზამთრის პერიოდში ტარიფის გაზრდისა, რაც მოსახლეობას მეტად მძიმე პირობებში ჩააყენებდა.

ატეხილი აჟიოტაჟი ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ ზოგიერთებს სურთ, დებატები სს "თელასის" ტარიფის შესახებ თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ და პირად "დამსახურებად" წარმოაჩინონ.

სს "თელასის" სახელით ვაცხადებთ, რომ "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემა" და სს "თელასი" კომეციული სტრუქტურებია და საქართველოში მათი საქმიანობის მიზანი კეთილსინდისიერი ბიზნესის წარმოებაა. ამის დასტურია თუნდაც გასული შემოდგომა-ზამთრის სეზონი, როდესაც, მიუხედავად საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული სიმძლავრეთა დეფიციტისა, რუსეთიდან და სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტისა და მე-9 ენერგობლოკის გამართული მუშაობის შედეგად ქ. თბილისის მოსახლეობის ელექტრომომარაგება გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და რაიმე სერიოზულ შეფერხებებს ადგილი არ ჰქონია.

სს "თელასი"უახლოეს მომავალში გეგმავს სპეციალური პროგრამების განხორციელებას ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენებისა და ენერგოეფექტურობის ამაღლების მიზნით, რაც საშუალებას მისცემს თითოეულ თბილისელს, დაზოგოს მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი. ამისათვის კომპანია მოიზიდავს დამატებით სახსრებს, რომლებიც არ აისახება ელექტროენერგიის განაწილების ტარიფში.

სს "თელასის" მიერ განსახორციელებული ენერგეტიკული პროექტები და პროგრამები ხელს შეუწყობს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხისა და საიმედოობის გაუმჯობესებას. ყოველივე ამისათვის კი საზოგადოების მხარდაჭერაა აუცილებელი. კომპანიას თავისი მომხმარებლები პარტნიორებად მიაჩნია და ყველა მისი პროექტი თუ პროგრამა მოსახლეობასთან თანამშრომლობით წარიმართება.

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად ჩვენ დაუყოვნებლივ გავავრცელებთ სარწმუნო და სწორ ინფორმაციას ჩვენს გეგმებთან და პროექტებთან დაკავშირებით.

# პირველი ბანკთაშორისი კვლევის შედეგები

## ქართველი მომხმარებელი ბანკის შერჩევის დროს ახლობლის რეკომენდაციას უფრო ენდობა, ვიდრე რეკლამას

გიორგი ინასარიძე

გუშინ სასტუმრო "მეტეხში" "საქართველოსა და აზერბაიჯანში საცალო საბანკო სისტემის განვითარების პროექტის" ფარგლებში ჩატარებული პირველი საბანკო კვლევის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო. პროექტი დაფინანსებულია გერმანიის ფედერალური მთავრობის მიერ. პროექტის მიზანია, ბანკებს კონსულტაცია გაუწიოს ახალი პროდუქტების განვითარების საკითხში.

სოციოლოგიური გამოკვლევები ჩატარდა ექვს ქართულ ბანკში (საქართველოს ბანკი, ინტელექტ ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ბანკი რესპუბლიკა, თბილუნივერსალბანკი, გაერთიანებული ქართული ბანკი,) აქედან კონსულტაცია გაეწევა მხოლოდ ორ ბანკს, რომლებმაც გაიმარჯვეს 2002 წელს ჩატარებულ ტენდერში. ესენია - "ბანკი რესპუბლიკა" და "თბილუნივერსალბანკი".

სოციოლოგიური გამოკვლევა ეყრდნობოდა ასეთ კითხვებს: როგორ შეიტყვეთ ჩვენი ბანკის შესახებ? რით მოგწონთ ჩვენი ბანკი?...

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბანკის მომხმარებელთა 50-მა პროცენტმა ბანკის არსებობისა და, შესაბამისად, სანდოობის შესახებ ნაცნობის საშუალებით შეიტყო, სატელევიზიო რეკლამის საშუალებით კი ინფორმაცია ბანკის შესახებ მხოლოდ 20-მა პროცენტმა მიიღო. სატელევიზიო რეკლამის ეფექტი ამ შემთხვევაში, ექსპერტთა თქმით, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა პროდუქციის რეკლამირების შემთხვევაში. სავარაუდოა, რომ ამის მთავარი მიზეზი საზოგადოებაში ბანკებისადმი 90-იანი წლების დასაწყისში დაკარგული ნდობაა, რის გამოც მომხმარებელი ბანკის შერჩევის დროს ახლობლის რეკომენდაციას უფრო ენდობა, ვიდრე - რეკლამას.

კითხვაზე - რამდენი ხანია ჩვენი კლიენტი ბრძანდებით, გამოკითხულთა 75 პროცენტის პასუხი იყო - სამი თვიდან სამ წლამდე. გამოკითხვის ორგანიზატორთა აზრით, ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ საზოგადოებას ბანკებისადმი ნდობა ნელ-ნელა უბრუნდება.

ბანკის კლიენტთა დიდი უმრავლესობა მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელია, რომელთაც დასაქმებული ჰყავთ, დაახლოებით, 50 პირი. კორპორატიული კლიენტების 66 პროცენტს სურს აიღოს 50 000 აშშ დოლარზე ნაკლები კრედიტი, 2 წელზე მეტი ვადით - 47 პროცენტს. კლიენტების 57 პროცენტი კრედიტების გაცემას აფასებს, როგორც ნორმალურს.

2006 წელს საქართველოში ბანკთაშორისი საბაზრო კვლევა კვლავ გაიმართება. ის ბანკები, რომლებიც მონაწილეობას მეორედ მიიღებენ, თავიანთი შედეგების გაუმჯობესებას ან გაუარესებას ნახავენ, რის შედეგადაც შესაბამის ზომებს მიიღებენ.

შეგახსენებთ, რომ "24 საათი" ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაციასა და სპს "სვნქ"-სთან ერთად ახორციელებს ბანკების მონიტორინგის პროექტს, რომლის ფარგლებშიც ქართული ბანკების შესახებ უტყუარ მონაცემებს ყოველ ორ კვირაში ერთხელ ორშაბათობით გაეცნობით.

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ ყველაფერი...

პირველი გვერდიდან

კაპიტალდაბანდების განხორციელებას შესთავაზებს EBRD-სა და IFS-ს. **"ამ კაპიტალდაბანდების შემდეგ ამ საწარმოების 100 პროცენტი აღარ იქნება საქართველოს სახელმწიფოს ხელში და ლემიერს, ალბათ, ვეღარ დაურეკავენ და ვერ ეტყვიან, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ჩვენი კაცი დანიშნეო,"** - განმარტა გუშინ მთავრობის სხდომაზე ჩანაფიქრის მიზანი ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ.

რაც შეეხება პორტებს. **"ჩვენ თავს ვიტყუებთ, როდესაც ვამბობთ, რომ ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტები სახელმწიფოს ეკუთვნის. ისინი უკვე დიდი ხანია, ნაჭერ-ნაჭერ არის გაყიდული,"** - აღნიშნა ბენდუქიძემ. მისი განცხადებით, სამინისტროს მიზანია ინვესტორს მის მიერ ჩადებული თანხის შესატყვისი წილი მიეცეს, ხოლო დანარჩენზე სახელმწიფოს იურისდიქცია აღდგეს.

რაც შეეხება "ჭიათურმანგანუმს", რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, "მადნეულს" და სხვა "იჯარით გაცემულ" ან რეაბილიტაციის პროცესში მყოფ მსხვილ საწარმოებს. ბენდუქიძე აცხადებს, რომ თითოეული მათგანის მიმართ სპეციალური მიდგომის გამონახვას აპირებს. ზოგ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებები შედგა, როგორც მაგალითად, "თბილავიამშენის" შემთხვევაში, მოიჯარეს საწარმო გარკვეულ ფასად მიეყიდება, სხვებს ხელშეკრულებების გადახედვას შესთავაზებენ. **"მაგალითად, "იტერას" ერთი და იგივე ფულით ორი საწარმოს ყიდვა უნდა და თავს არ მოვატყუებინებთ,"** - "აზოტთან" დაკავშირებით განმარტა ბენდუქიძემ, აქვე თქვა, რომ მან რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დაპირისპირებული მხარეების ერთ მაგიდასთან დასმა შეძლო, რაც ასევე შედეგია, და ასე შემდეგ.

გუშინ ბენდუქიძის მოხსენებას გარკვეული წინააღმდეგობა გაუწიეს სახელმწიფო მინისტრმა გურამ აბსანძემ და კულტურის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა.

გურამ აბსანძის განცხადებით, პრივატიზაციის პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული საქართველოს მოსახლეობა. **"თუმცა, ამჟამად საქართველოში მხოლოდ ერთი-ორს აქვს ფული, ამიტომ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ რამენაირად კრედიტი გამოუყოს მენეჯმენტის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს და პრივატიზაციაში მონაწილეობის უფლება მისცენ. სხვანაირად ჩვენ მომავალში მოსამსახურეები ვიქნებით,"** - აღნიშნა გურამ აბსანძემ.

ამის პასუხად კახა ბენდუქიძემ განაცხადა, რომ უკვე მიღწეულია შეთანხმება EBRD-თან და IFS-თან ქართული ბანკებისთვის საკრედიტო ხაზების გახსნის თაობაზე.

კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი პრივატიზების მომხრეა, თუმცა აცხადებს, რომ ისეთი ობიექტების პროფილი, როგორიც, მაგალითად, ფილარმონია ან სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმია", შენარჩუნებული უნდა იყოს.

გუშინვე გაცხადდა, რომ საქართველოს მთავრობა მიწის მასშტაბური პრივატიზაციის განხორციელებას აპირებს (დღეს, როგორც აღმოჩნდა, მიწის 88 პროცენტი ისევ სახელმწიფო საკუთრებაშია) და, "ექსპერიმენტის სახით" - ტყის ტერიტორიების გაყიდვასაც. თუმცა, გუშინ სხდომაზე ირწმუნებოდნენ, რომ კერძო მფლობელობაში გადასვლა მესაკუთრეს კანონის დარღვევის უფლებას არ მისცემს და თუ მის საკუთრებაში არსებულ ტყეში სახელმწიფოს მიერ ჭრა აკრძალული იქნა, იგი კანონს ვერ დაარღვევს. ბენდუქიძის ასეთი განმარტების შემდეგ, მთავრობის წევრთათვის ცოტა გაურკვეველი იყო, საქართველოში ტყეს სასეირნოდ ვინ იყიდის, თუმცა ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა.

რაც შეეხება პრივატიზების ვადებს - მასშტაბური პრივატიზაცია, დაახლოებით, წელიწადნახევარში უნდა დასრულდეს, მანამდე კი ინფორმაცია უნდა "გაიხსნას" და, სპეციალურად ამ მიზნით, ეკონომიკის სამინისტრო ორ კვირაში საკუთარ ვებ-საიტზე საპრივატიზაციო სიახლეებს გამოაქვეყნებს.

# მეწარმეები ისევ შეღავათებს ითხოვენ

მარიამ ჭაჭკაძე

*სახელმწიფო მინისტრი ჯამბულ ბაკურაძე გუშინ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტთან დაკავშირებულ შენიშვნებს მცირე და საშუალო მეწარმეებისგან ისმენდა. შეხვედრა მეტად უჩვეულო გარემოში, ფინჯან ყავასა და ჩაის თანხლებით შედგა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მეწარმეებმა ჭამბულ ბაკურაძეს დამწყები მეწარმეებისა და უცხოური ინვესტიციებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება მოსთხოვეს.*

მეწარმეთა ძირითადი შენიშვნები ახალი კოდექსით გათვალისწინებულ საგადასახადო შეღავათებს უკავშირდებოდა. თითქმის ყველა, მცირე თუ საშუალო მეწარმე საკუთარი სფეროს პრიორიტეტულობაზე საუბრობდა და სახელმწიფო მინისტრისა და ახალი კოდექსისგან განსაკუთრებულ შეღავათებს ითხოვდა. კოდექსის პროექტი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ საჯარო განხილვისთვის ამ ერთი კვირის წინათ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა, დღეს მოქმედთან შედარებით საგადასახადო შეღავათებს მნიშვნელოვნად ამცირებს. ეს კი, გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხში" შეკრებილი მეწარმეების აზრით, წარმოების განვითარებას ხელს თუ არ შეუძლის, "კარგ დღესაც არ დააყრის". ასათიანზე მდებარე ფსიქატრიული კლინიკის ახლადდანიშნული დირექტორი დავით ზურაბაშვილი მოითხოვდა, რომ ახალ კოდექსში აუცილებლად ყოფილიყო გათვალისწინებული იმ ტიპის შეღავათები, რაც ბიზნესმენს ქველმოქმედებისაკენ უბიძგებს და სტიმულს მისცემს. **"ის კოდექსი, რაც დღეს მთავრობამ შემოგვთავაზა, ნებისმიერ ქველმოქმედს კეთილი საქმის კეთების სურვილს დააკარგვინებს. არადა, ქველმოქმედება ჩვენს სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა კლინიკამ სწორედ ამის წყალობით მოაღწია დღემდე"**, - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს დავით ზურაბაშვილმა.

მეწარმეთა ერთი ნაწილისთვის ახალი კოდექსის ყველაზე დიდი ნაკლი გადასახადების განაკვეთებს შორის არსებული დისბალანსისია. სამშენებლო კომპანია "ჯეო ინჟინერინგის" მარკეტინგის დირექტორი ივერი ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ საჭიროა ზოგიერთი გადასახადის განაკვეთის რამდენიმე პროცენტით გაზრდა. **"ჩემი აზრით, აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ ქონების 1-პროცენტიანი გადასახადი 3-4 პროცენტამდე გაიზარდოს, სამაგიეროდ, დღგ უნდა შემცირდეს 15-მდე. გადასახადებს შორის ასეთი ბალანსი ბევრ განვითარებულ ქვეყანაში წარმატებით მუშაობს"**, - გვითხრა ქუცნაშვილმა.

სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" გენერალურმა დირექტორმა ეკა იაშვილმა სახელმწიფო მინისტრისგან მოითხოვა, რომ ახალ კოდექსში აუცილებლად ყოფილიყო გათვალისწინებული და ასახული ქვეყანაში მიმდინარე საპენსიო და სადაზღვევო რეფორმა. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვა ისე, რომ ორი-სამი წლის შემდეგ საგადასახადო კოდექსი შესაცვლელი და ახლიდან დასაწერი იქნება"**, - აღნიშნა იაშვილმა.

რამდენიმე მეწარმემ დამწყები მეწარმეებისა და უცხოური ინვესტიციებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება მოითხოვა.

# "მცირე ლიცენზიანტები" სემეკ-ს კანონდარღვევაში ადანაშაულებენ

*"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" მცირე ენერგოგამანაწილებლების აქტივების ათვისებას შეუდგა.*

თურმე, უკვე ერთი კვირაა, რაც ძალაშია სემეკ-ის 23 ივნისის გადაწყვეტილება ე.წ. "მცირე ლიცენზიანტებისთვის" 1 ივლისიდან დენის განაწილების ლიცენზიების გაუქმების თაობაზე. თუმცა, თავად "მცირე ლიცენზიანტებმა" (ისიც, მხოლოდ ნაწილმა) ამის თაობაზე ოფიციალურად მხოლოდ გუშინ საღამოს შეიტყვეს. სემეკ-ის 23 ივნისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ხელში ჩაგდება მათ 30 ივნისის საღამომდე ვერანაირად ვერ მოახერხეს. სემეკ-ში აცხადებდნენ, რომ დოკუმენტი ამ დრომდე ხელმოწერილიც კი არ იყო.

"მცირე ლიცენზიანტებს" სემეკ-ის კულუარებში მოარული ჭორების ნაკლებად სჯერათ და მიიჩნევენ, რომ კომისიამ ყველა ღონე იხმარა მათთვის სასამართლოსკენ მიმავალი გზების მოსაჭრელად. ისინი ვარაუდობენ, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი, როცა სემეკ-მა თავისი გადაწყვეტილება (რომელიც, კანონის თანახმად, მისი მიღებიდან სამ დღეში უნდა გამოქვეყნებულიყო) ერთი კვირით შეაყოვნა.

"მცირე ლიცენზიანტები" აცხადებენ, რომ მათთვის "ხელების გრეხა" ისევ გრძელდება. **"ჩვენ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (სგსე) ჩვენს ქონებას რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებად გვიფასებს,** - ამბობენ ისინი, - **ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზებულ საფასურს არ დავყაბულდებით, ციხით გვემუქრება."**

ამასობაში კი, გორის რაიონში "მცირე ლიცენზიანტების" ყოფილ აბონენტებს დენის გარეშე დარჩენა ემუქრებათ, რის გამოც ისინი საპროტესტო გამოსვლებს მართავენ. ახლა სგსე-მ ამ სოფლებისთვის ელექტრომომარაგების აღდგენის ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა დაიწყო, რაც 40 ათასი ლარი დაჯდება, მაგრამ ეს პროცესი 10 დღეს მაინც გასტანს.

სგსე გორში შექმნილ არეულობაში ახლადგაუქმებულ "მცირე ლიცენზიანტ" "ფერმერ გივი აბალაკს" ადანაშაულებს და მოვლენების ანალოგიური სცენარით განვითარებას სხვა რეგიონებშიც ელის.

**"იმის მიზეზი, რომ გორის რაიონის სამი სოფლის - რეხას, სვენეთისა და ბერბუკის 1200 აბონენტი ათი დღის განმავლობაში ელექტროენერგიას ვერ მიიღებს, "ფერმერი გივი აბალაკის" მეპატრონის ქმედებაა: ის არ დაემორჩილა სემეკ-ის გადაწყვეტილებას, საკუთარი ენერგოაქტივების სგსე-სთვის გადაცემაზე უარი განაცხადა და თავისი კუთვნილი ხაზების ჩაჭრა განიზრახა,"** - აცხადებენ კომპანიაში და აბალაკს საბოტაჟში ადანაშაულებენ. საბოტაჟი კი კანონით მკაცრად ისჯება.

ერთი სიტყვით, იმ "მცირე ლიცენზიანტებს", რომლებმაც საკუთარი აქტივების სგსე-სთვის მიყიდვაზე უარი განაცხადეს, მართლაც უსიამოვნებები ელით. ენერგოსკანდალი სულ უფრო და უფრო მძაფრდება. "მუქარისა და ზეწოლის არ გვეშინია, რადგან კეთილსინდისიერად ვმუშაობდით, - ირწმუნებიან გაუქმებული მცირე ენერგოკომპანიების წარმომადგენლები. თუმცა, სგსე-ში მათი ნალკებად სჯერათ. არ არის გამორიცხული, საქართველოს უმსხვილესმა ენერგოდისტრიბუტორმა მცირე გამანაწილებლების საქმიანობის დაწვრილებით შესწავლა სამართალდამცველებს მოსთხოვოს. "ეს აქამდეც უნდა ექნათ," - ასე ფიქრობენ სგსე-ში.

"მცირე ლიცენზიანტები" კი, ორი დღეა, სასამართლოში სარჩელის შეტანას ცდილობენ, მაგრამ ამაოდ. სარჩელის საფუძველი სწორედ ის დოკუმენტი უნდა გამხდარიყო, რომელიც მათ გუშინ საღამომდე ვერსად მოიძიეს. თუმცა, ახლა მათ უკვე ხელთ აქვთ სემეკ-ის ავადსახსენებელი გადაწყვეტილება. ამიტომაც ისინი საკუთარი ინტერესების დაცვას, უკვე სასამართლოს მეშვეობით, დღეს დილიდანვე შეეცდებიან.

*24 საათი*

# პროტესტი ელექტროკავშირის წინააღმდეგ

*სულ ცოტა ხნის წინ, სს "საქართველოს ელექტროკავშირის" ხელმძღვანელობამ გააკეთა განცხადება ძველ ქსელებზე სატელეფონო საუბრებზე წუთობრივი გადასახადის შემოღების შესახებ. ამ გადაწყვეტილებამ საკმაო გამოხმაურება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რაც გუშინ საქართველოს არასამთავრობოების კოალიციის ვერშემდგარი საპროტესტო აქციით გამოიხატა.*

დიანა ჩაჩუა

გუშინ ეკონომიკის სამინისტროში საქართველოს არასამთავრობოების გაერთიანების კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლებთან შეხვედრა იყო დაგეგმილი. თუმცა, აქციის ორგანიზატორების არაორგანიზებულობის გამო, აქცია უახლოესი მომავლისთვის გადაიდო.

არშემდგარი შეხვედრის მთავარი თემა არასამთავრობოების პროტესტი იყო - სს "საქართველოს ელექტროკავშირის" ხელმძღვანელობის მიერ ძველ ქსელებზე სატელეფონო საუბრებზე წუთობრივი გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით.

**"ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ პირობებში, როცა მინიმალური ხელფასი 20 ლარს შეადგენს, წუთობრივი გადასახადის შემოღება ნამდვილად აღმაშფოთებელია,"** - განაცხადეს ვერშემდგარი აქციის ორგანიზატორებმა.

წუთობრივი გადასახადის ამოქმედება პირველი ივლისიდან უნდა მომხდარიყო, თუმცა ელექტროკავშირში მიიღეს გადაწყვეტილება თარიღის პირველ აგვისტომდე გადაწევის შესახებ. ანუ, პირველი აგვისტოდან "ელექტროკავშირის" მომხმარებლებს სხვა ქსელების აბონენტებთან დაკავშირებისას 1 წუთზე 2 თეთრის გადახდა მოუწევთ.

თუმცა, როგორც გაირკვა, არც ეს თარიღია საბოლოო. როგორც "24 საათს" ელექტროკავშირში განუცხადეს **"ჯერჯერობით, პირველი ივლისიდან პირველ აგვისტომდე არანაირი ცვლილებები არ იქნება მოსალოდნელი. აი, აგვისტოში კი რა მოხდება, ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. სავარაუდოდ, წუთობრივი ტარიფის შემოღება მოხდება, თუმცა შეიძლება, არც მოხდეს."** აცხადებენ, რომ ისინი არ დაუშვებენ, ისედაც რთულ სოციალურ მდგომარეობაში ადამიანებს კომუნიკაციის ლამის ერთადერთი საშუალება ფასიანი გაუხადონ, და ამ მოვლენის ასე დატოვებას არ აპირებენ.

მათ პოზიციას იზიარებს კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის მომხმარებელთა უფლებების დამცველი ლია მუხაშავრია. ისიც ადასტურებს, რომ ტარიფის შემოღებას, შესაძლოა, საერთოდ არ ეწეროს აღსრულება. **"ელექტროკავშირმა არ წარმოადგინა საჭირო დოკუმენტაცია, რომლითაც დაადასტურებს, თუ რატომ უნდა შემოიღონ ძველ ქსელებზე წუთობრივი გადასახადი, ამიტომაც მოხდა ვადის გადაწევა. თუ ელექტროკავშირი გადაწყვეტილებას საფუძვლიანი დასაბუთების გარეშე მიიღებს, მე პირველი ვუჩივლებ მათ სასამართლოში,"** - განაცხადა მუხაშავრიამ.

როგორც საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელ კომისიაში გაირკვა, რაც ასევე დაადასტურეს ელექტროკავშირში, მარეგულირებელმა კომისიამ ელექტროკავშირს შესთავაზა, შემოღებულ იქნეს სხვადასხვა სახის მომსახურების პაკეტები, რაც სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესების დაცვაზე იქნება ორიენტირებული.

**"მიდის მუშაობა მომსახურების პაკეტის შემოღების შესახებ. ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით, როდის მოხდება ამის განხორციელება, მაგრამ ამაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს,"** - განაცხადეს ელექტროკავშირში. მომსახურების პაკეტების შესახებ უფრო ფართო განმარტებას იძლევა ლია მუხაშავრია, რომელიც აცხადებს, რომ **"ეს პაკეტი მომხმარებლისათვის სხვადასხვა სახის მომსახურების შეთავაზებას გულისხმობს. ყველა მიიღებს იმ სახის მომსახურებას, რომელიც მის ჯიბეს ყველაზე მეტად შეეფერება. თუ სურს, იგივე საფასურს გადაიხდის, თუ სურს, უფრო ფართო მომსახურებას აირჩევს და, შესაბამისად, მეტ ტარიფს გადაიხდის. ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ ელექტროკავშირმა ეს გადაწყვეტილება მიიღოს."**

არასამთავრობოების განცხადებით, დღევანდელ პირობებში "ელექტროკავშირის" ადმინისტრაციის გადაწყვეტილების გატარება მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სოციალური ინტერესების იგნორირება იქნება, და ამასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში ფართომასშტაბიანი აქციის გამართვას გეგმავენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული სუბსიდიიდან 7,6 მილონი ლარის ელექტროსისტემაში გადარიცხვას აპროტესტებს ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე. 7,6 მილონი ლარის ელექტროსისტემაში გადარიცხვის შესახებ განცხადება პარლამენტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ ანთელიძემ გააკეთა. სს "ელექტროსისტემის" თანამშრომლების სახელფასო ფონდში 7,6 მილიონი ლარის გადარიცხვას ითვალისწინებს 2004 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი, რომელიც სხდომაზე ანთელიძემ დეპუტატებს გააცნო. მისი განცხადებით, ამის საჭიროება ელექტროსისტემის რეორგანიზაციამ განაპირობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორის რაიონის სამი სოფელი - რეხა, სვენეთი და ბერბუკი ათი დღის განმავლობაში ელექტროენერგიას ვერ მიიღებს. ამის მიზეზი გახდა ე.წ. მცირე ლიცენზიანტი ენერგოკომპანია "ფერმერი გივი აბალაკის" მეპატრონის ქმედება, რომელიც არ დაემორჩილა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) გადაწყვეტილებას, საკუთარი ენერგოაქტივების "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის" გადაცემის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**02 ივლისს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ვარკეთილი-3, II და IV მიკრორაიონების მაცხოვრებლებს.

სიგარეტებზე გადასახადების გაზრდა საქართველოში

საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2003 წლის 31 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ამა წლის 1 ივლისიდან მნიშვნელოვნად იზრდება გადასახადები თამბაქოს ნაწარმზე. ფიქსირებული გადასახადი ადგილობრივი წარმოების ფილტრიან სიგარეტზე იზრდება 25%-ით, ხოლო სიგარეტის რეალიზაცია დაიბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით, რაც გადასახადებს კიდევ 20%-ით ზრდის.

ამ ცვლილების შედეგად და იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი პროდუქციის უმაღლესი ხარისხი, 1 ივლისიდან „ბრითიშ-ამერიკან ტობაკო" იძულებულია გაზარდოს ფასები თავისი მარკის სიგარეტებზე:

რეკომენდირებული ახალი საცალო ფასებია:




კონტრაბანდისა და ფალსიფიკაციის საფრთხე
გადასახადების გაზრდა კიდევ ერთი წამახალისებელი ფაქტორია დამნაშავეთათვის გაასაღონ არაკანონიერი, დაბალი ხარისხის ფალსიფიცირებული ან კონტრაბანდული პროდუქცია მომხმარებლებზე.

ამიტომაც ვურჩევთ მომხმარებლებს ჩვენი პროდუქციის შეძენისას გაითვალისწინონ:
1. კოლოფზე უნდა იყოს დაკრული ქართული სააქციზო მარკა
2. კოლოფის გვერდითა პანელზე უნდა იყოს „ბრითიშ-ამერიკან ტობაკოს" ლოგო (გარდა სიგარეტისა „ვოგი")
3. არ შეიძინოთ სიგარეტი, თუ დაზიანებულია კოლოფის შესაფუთი ცელოფანი
4. თუ აღმოაჩენთ ან დაეჭვდებით, რომ თქვენ შეცდომაში შეჰყავხართ, გთხოვთ, დარეკოთ „კავკასიის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჯგუფის" (BPG) ცხელ ხაზზე (ტელ: 95-81-10 - ზარი უფასოა თბილისიდან) და მიიღოთ პროფესიონალური რჩევა.

ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო გაფრთხილებთ - მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის

# იანდარბიევის მკვლელებს სიკვდილით აღარ დასჯიან

*გუშინ ყატარის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დამაფიქრებელი იქნება არა იმდენად მსჯავრდებული რუსი აგენტებისთვის - მათ გაცილებით საზარელ განაჩენს უწინასწარმეტყველებდნენ - არამედ რუსეთის ხელისუფლებისთვის. დაკავებული რუსები, როგორც მოსალოდნელი იყო, დამნაშავედ ცნეს იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობაში. მაგრამ მათ, ყატარის კანონმდებლობით აღნიშნული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასიკვდილო განაჩენის ნაცვლად, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. არაბულ ქვეყანაში არსებული სამუდამო პატიმრობის სასჯელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენთან დამკვიდრებულისაგან და იგი სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობას კი არა, 25 წლით გისოსებს მიღმა ყოფნას ითვალისწინებს.*



REUTERS

*არაბი მოსამართლე არა მარტო რუს აგენტებს, არამედ რუსეთის ხელისუფლებასაც დამნაშავედ მიიჩნევს*

რატომ გამოდგა არაბი მოსამართლის გადაწყვეტილება ესოდენ ჰუმანური? აღსანიშნავია, რომ არაბული სასამართლოები განსაკუთრებული ჰუმანიზმით არასოდეს გამოირჩეოდნენ. თუმცა, არსებობს სხვა ვარაუდებიც, რომლებიც ყატარის სასამართლო სისტემის ჰუმანურობას კი არა, უბრალოდ, სასამართლო პროცესის პოლიტიკური თამაშის ნაწილად ყოფნას ადასტურებს.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ყატარი ასეთ გახმაურებულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას და მის სასწრაფოდ სისრულეში მოყვანას მოერიდა. რუსი ჯაშუშების სიკვდილით დასჯა კი, რუსეთ-ყატარის ამის გარეშეც დაძაბულ ურთიერთობებს უკიდურესად გაამწვავებდა. იანდარბიევის აფეთქებაში დამნაშავედ ცნობილი პირები სიკვდილით დასჯილი არ იქნებიან, ანუ მათი შეწყალების ან რუსეთისათვის გადაცემის შესაძლებლობა ყოველთვის იარსებებს. შესაბამისად, რუსეთთან პოლიტიკური ვაჭრობის თემაც იარსებებს, ამის აუცილებლობა არაბეთის ნახევარკუნძულის ნავთობით მდიდარ მონარქიას რუსეთთან ნამდვილად აქვს - რუსეთს დოჰა ჩეჩენი სეპარატისტების მხარდაჭერაში არაერთხელ დაუდანაშაულებია. მეორე მხრივ, ყატარის მართლმსაჯულებამ ისლამისტ თანამემამულეებში სახეც შეინარჩუნა და რუსეთს "გრუ"-ს ოფიცრები გაუსამართლებლად არ დაუთმო.

მეორე ვერსია კიდევ უფრო მეტად პოლიტიკურია. როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, არაბმა მოსამართლემ მხოლოდ იმიტომ არ დასაჯა რუსები სიკვდილით, რომ ისინი უბრალო შემსრულებლები იყვნენ და დავალებას ბრმად ასრულებდნენ. სხვათა შორის, ეს მოსაზრება სასამართლოს განაჩენშიც იყო ხაზგასმული. სააგენტო "როიტერი"-ს მიერ გავრცელებული ცნობით, მოსამართლე იბრაჰიმ ალ-ნისფმა განაჩენის კითხვისას განაცხადა, რომ იანდარბიევის განადგურების ბრძანება რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობიდან მოდიოდა, ანუ მან იანდარბიევის მკვლელობის შემკვეთად რუსეთის ხელისუფლება ოფიციალურად გამოაცხადა. არაბული პრესის მიერ გამოქვეყნებულ საქმის მასალებში მართლაც ფიგურირებდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის სახელი (პრესაში, ასევე, ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაკავებული რუსები მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გრუ) თანამშრომლები იყვნენ, ანუ პირდაპირ ექვემდებარებოდნენ თავდაცვის მინისტრს). არაბი ჟურნალისტები ამტკიცებდნენ - დაკავებულმა ბელაშოვმა და ბოგაჩევმა თითქოს აღიარეს, რომ ბრძანება პირადად სერგეი ივანოვისგან ჰქონდათ მიღებული. ნიშანდობლივია, რომ ბრალდებულთა დასაცავად ადვოკატების რუსეთიდან ჩასვლის შემდეგ, ივანოვის სახელი სასამართლო პროცესზე აღარ ამოტივტივებულა.

რაც შეეხება თავად მსჯავრდებულებს, ისინი შეწყალების იმედად რჩებიან. მსჯავრდებულები ყატარის ამირამ, ჰამადა ბინ ხალიფა ალ ტანიმ უნდა შეიწყალოს. და, ბუნებრივია, რუსები ამ შესაძლებლობით აუცილებლად ისარგებლებენ. ამის შესახებ განაჩენის გამოცხადებამდე "როიტერ"-თან ინტერვიუში ყატარის იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ნაჯიბ ალ-ნუაიმიმაც იწინასწარმეტყველა. "მე ვფიქრობ, ისინი დამნაშავედ იქნებიან ცნობილნი და სიკვდილით დასჯას ან სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან. ხოლო პუტინის ჩარევის შემდეგ, რამდენიმე თვეში რუსეთს გადაეცემიან," - ამბობს იგი.

ყატარში გამართული პროცესის შესახებ კომენტარი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც არ დააყოვნა. სამინისტროს ოფიციალური განცხადება ასე ჟღერდა: "რუსეთის მხარე არაერთხელ აცხადებდა, რომ ჩვენს ორ მოქალაქეს იანდარბიევზე თავდასხმასთან არანაირი კავშირი არ აქვს. პატივს სცემენ რა ყატარის სასამართლო პროცედურას, ჩვენი თანამემამულეების ადვოკატები ყატარის შესაბამის სასამართლო ინსტანციებს აპელაციით მიმართავენ და გამამტყუნებელი განაჩენის გადახედვას ეცდებიან. აქტიურად ვიმუშავებთ, რათა რუსეთის მოქალაქეები სამშობლოში უმოკლეს დროში დავაბრუნოთ."

# ასეან-ის ქვეყნები სრული ინტეგრაციისაკენ ისწრაფვიან



სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია ანუ ასეანი 1967 წელს დააფუძნა ხუთმა ქვეყანამ: ინდონეზიამ, მალაიზიამ, ფილიპინებმა, სინგაპურმა და ტაილანდმა. მოგვიანებით, მათ ბრუნეი, ვიეტნამი, ლაოსი, მიანმა (ბირმა) და კამბოჯა შეუერთდა. ასეანი მოიცავს რეგიონს 500 მლნ მოსახლეობითა და 4,5 კვადრატული კილომეტრი ფართობით. ასეანი-ს ქვეყნების ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობა ჯამში 737 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. ამ ციფრებიდანაც აშკარად ჩანს, თუ რა როლი შეიძლება შეასრულოს აღნიშნულმა ორგანიზაციამ რეგიონში. დღეს ისინი უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ინიციატივით გამოდიან.

ჯაკარტაში, უკანასკნელი ორი დღის მანძილზე, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ასეან-ის 37-ე შეხვედრა მიმდინარეობს. მთავარი თემა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის უსაფრთხოების საკითხები იყო. გუშინ ინდონეზიის დედაქალაქში შეკრებილი 10 ქვეყნის მეთაური 2020 წლისთვის რეგიონის ერთიანი სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული გარემოს შესაქმნელად შემუშავებულ გეგმას განიხილავდა.

ასეან-ის წევრმა ქვეყნებმა, მართალია, ბირმასთან დაკავშირებით შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ანუ მათ ვერ მიიღეს ინდონეზიის წინადადება, რომელიც მიანმის ხელისუფლებაზე ზეწოლას ისახავდა მიზნად, რათა ამ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმები დაჩქარებულიყო. თუმცა, ამავდროულად, მიანმას საგარეო საქმეთა მინისტრმა ვინ აუნმა თავისი ასეანელი კოლეგები დაარწმუნა, რომ რეფორმების განსახორციელებლად მიანმა ნაბიჯებს თანდათან თავად გადადგამს.

მიანმას გარშემო წარმოქმნილი დაძაბულობის სასწრაფოდ მოგვარება ასეან-ის ქვეყნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ასეან-ის ქვეყნები მჭიდროდ თანამშრომლობენ ევროკავშირთან. დღეს კი, ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრსახელმწიფოში არსებულმა არადემოკრატიულმა რეჟიმმა, შესაძლოა, ეს თანამშრომლობა საფრთხის ქვეშ დააყენოს. ევროკავშირმა ულტიმატუმი წამოაყენა - იგი ევროკავშირ-ასეან-ს შორის დაგეგმილ შეხვედრებს ჩაშლის, თუ მიანმასთან დაკავშირებული პრობლემა არ მოგვარდება. ევროკავშირმა ასეან-ის წევრებთან შეხვედრა ორჯერ უკვე გადადო, სწორედ, მიანმას პრობლემის გამო.

# ბოსნია-ჰერცეგოვინაში ნატო-ს ძალებს ევროკავშირი ჩაანაცვლებს

სტამბოლის სამიტზე ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი-ქვეყნების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში 2004 წლის ბოლოსთვის ევროკავშირის სამშვიდობო ძალების მიერ ნატო-ს სტაბილიზაციის ძალების ჩანაცვლების შესახებ განცხადება გაკეთდა.

ვაშინგტონსა და ბრიუსელში ამ განცხადების პოლიტიკური პოპულარობის მიუხედავად, შედეგმა შესაძლოა მოლოდინი ვერ გაამართლოს, რადგან ვითარების ტრანსფორმაციის შემდეგ რეგიონი უსაფრთხოების ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. დღეისათვის, უსაფრთხოების უმთავრესი გამოწვევები ბირთვული იარაღის კონტრაბანდული გზით გადაზიდვა, ომის დამნაშავეთა დაკავება, ექსტრემისტული რელიგიური დაჯგუფებების არსებობა და საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

ბოსნიის მოვლენებში ევროკავშირის ჩარევის არასახარბიელო შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, რთულია წინასწარ იმის შეფასება, შეძლებენ თუ არა ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების ერთმანეთთან არცთუ ისე კარგად ინტეგრირებული საჯარისო შენაერთები დაკისრებული მისიის წარმატებით შესრულებას. ნატო-ს სტაბილიზაციის ძალების ევროკავშირის სამშვიდობო ძალებით როტაცია ომისშემდგომ ბოსნიაში განხორციელებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება იქნება. კოსოვოს საბოლოო სტატუსთან დაკავშირებული გაურკვევლობა და სერბია-ჩერნოგორიის დე ფაქტო კავშირი კი ექსტრემიზმის საფრთხეს არ ანელებს. არასტაბილური ვითარების სწრაფად რეგულირების შესაძლებლობებს ქვეყანაში ნაციონალური მემარჯვენეების პოპულარულობა და სახალხო მხარდაჭერა ამცირებს. არასამთავრობო, მრავალეროვნული ორგანიზაციის - "საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის" - სარაევოელი ანალიტიკოსის, სენად სლატინას შეფასებით, "მრავალი საეჭვო რეპუტაციის ადგილობრივი აქტორი (მონაწილე) ელოდება მოქმედების საკუთარ შანსს, ევროკავშირის სამშვიდობო ძალების ჩამოსვლამ კი, უპირველეს ყოვლისა, ეს საფრთხე უნდა გაანეიტრალოს. ამდენად, სასწორზე ბოსნიის ომისშემდგომი მნიშვნელოვანი მიღწევებია დადებული".


# ინსტრუმენტალისტი ტექნიკოსი

**ბპ ექსპლორეიშნ კასპიან სი ლტდ- ჯორჯია სამუშაოდ იწვევს შესაფერის პირებს ინსტრუმენტალისტი ტექნიკოსის თანამდებობაზე, სუფსის ტერმინალზე.**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები შეიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

პასუხისმგებელობა სუფსის ტერმინალის შემობა-ნაგებობებსა და საშუალებებთან დაკავშირებული ყველა ინსტრუმენტული სისტემის ჯეროვან გეგმიურ და არაგეგმიურ მომსახურებასა და ზუსტი ანგარიშების შედგენაზე. ელექტრო მოწყობილობების მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს ჩატარების უზრუნველყოფა კომპანიის ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის(HSE) მოქმედი წესების, ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პრინციპების მართებული გააზრების(GHSER) დებულებების, ბპ-ის ტექნიკური უსაფრთხოების პრინციპების, აზერბაიჯანის ბიზნეს ერთეულის სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოების სისტემით და გარემოსდაცვითი მენეჯმენტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

- ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის(HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება
- მომსახურების პროცედურების გაცნობიერების დემონსტრირება
- მილსადენის მომსახურების აუცილებელი პროცესების, პროცედურების და ვალდებულებების დაცვა
- კომპანიის წესების, ვალდებულებებისა და მენეჯმენტის სისტემების მოთხოვნათა დაცვა
- მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი პერსონალის დახმარება დანადგარების მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებში გადაწყვეტილებების შემუშავებისას და მოწყობილობების ზოგადი ეფექტურობის გაუმჯობესებისას.
- სათადარიგო ნაწილების მართვა, აღჭურვილობის კალიბრაციის განრიგის (პროცესი და შრომის უსაფრთხოება) განხორციელების უზრუვნელყოფა
- საზომი სისტემების კალიბრირების და მათი გამართულ მდგომარეობაში ყოფნის უყზრუნველყოფა, რათა ისინი შეესაბამებოდნენ ამერიკის ნავთობის ინსტიტუტისა(API) და PCOA-ის მოთხოვნებს.
- სხვადასხვა მოწყობილობების მახასიათებლების ცოდნის დემონსტრირება
- თანამშრომლობა მექანიკოსებსა და ელექტრიკოს-ტექნიკოსებთან საჭიროებისდამიხედვით, ყველა დანადგარის ეფექტური მუშაობისა და მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.
- აქტიური მონაწილეობა პრობლემების გადაწყვეტის საქმეში და მზადყოფნა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად.
- კარგი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ქონა აუცილებელია ობიექტზე მომუშავე ყველა პერსონალთან ურთიერთობის მიზნით.
- გუნდური მუშაობის კარგი უნარი
- აქტიური როლის შესრულება მილსადენის/ნაგებობების ურღვევობისა და ერთიანობის მართვაში.
- დროისა და სამუშაოს რაციონალურად დაგეგმვისა და განაწილების შესაძლებლობების დემონსტრირება.

**გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის სფეროში(საინჟინრო განათლება)
- ინდუსტრიულ საწარმოებში( მაგ. ელექტრონულსა და ინსტრუმენტულში) მუშაობის სამი წლის გამოცდილება.
- როგორც წერილობითი ისე სასაუბრო უნარ-ჩვევების ქონა ინგლისურ ენაში და მათი შემდგომი გაუმჯობესების სურვილი.
- ავტომანქანის მართვა (სულ მცირე "B" კატეგორია)
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვებები

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **პარასკევი, 2004 წლის 9 ივლისი, 18 საათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

საქართველო, თბილისი,
ალმაშენებლის გამზირი 123,ა
**კადრების განყოფილებაA**
"ბი-პი საქართველო"


## ორი სიტყვით

**ავსტრია.** მიუნხენში სამგზავრო ავიალაინერის ავარიული დაშვების მიზეზი აფეთქებით დაშინება გახდა. როგორც ბავარიის დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტის წარმომადგენელი აცხადებს, ავიაკომპანია "ფრიბერგის" კუთვნილი თვითმფრინავი A-320 მიუნხენი-სტამბულის რეგულარულ რეისს ასრულებდა. აფრენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, თურქი ეროვნების 26 წლის მოქალაქემ განაცხადა, რომ მას თან აქვს ასაფეთქებელი მოწყობილობა და თვითმფრინავის მიუნხენში დაბრუნება მოითხოვა. პილოტი ტერორისტის მოთხოვნას დაემორჩილა და თვითმფრინავი მიუნხენში დააბრუნა, სადაც უკვე სრულ მზადყოფნაში იყო სახანძრო დაცვის ქვეგანყოფილება, ექიმებისა და მაშველების კორპუსი. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**რუსეთი.** შორეული აღმოსავლეთიდან რუსეთის ევროპულ ძირითადი დისლოკაციის ადგილზე მუდმივი მზადყოფნის შეიარაღებული ძალების საჰაერო ტრანსპორტით გადმოსროლამ წარმატებით დაასრულა 9 ივნისს დაწყებული ოპერატიულ-სტრატეგიული სწავლება "მობილურობა-2004". სამხედრო მანევრებში მონაწილეობას 5 000 სამხედრო მოსამსახურე იღებდა. მხოლოდ "საჰაერო ხიდით" 900 რიგითი და ოფიცერი და სამხედრო ტექნიკის 100-ზე მეტი ერთეული იქნა გადასროლილი. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, მსგავსი მასშტაბის სამხედრო-საჩვენებელი წვრთნა, დაახლოებით 15 წელიწადია, რაც ქვეყანაში აღარ განხორციელებულა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ლიტვა.** რუსეთის მოქალაქე იური ბორისოვს ლიტვის რესპუბლიკაში ცხოვრების უფლება ჩამოერთვა. ლიტვის მიგრაციული სამსახურის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ "იური ბორისოვი ლიტვის ეროვნული უსაფრთხოებისთვის საშიში პირია". ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 22 მარტის დადგენილების თანახმად, მიგრაციული სამსახურის დეპარტამენტს ლიტვიდან რუსეთის მოქალაქის დაუყოვნებლივი გასახლების გადაწყვეტილებისთვის უნდა გადაეხედა. სასამართლოს განაჩენით, გადაწყვეტილება ნაჩქარევად, საქმის ვითარების არასრულად შესწავლის საფუძველზე იყო მიღებული. თუმცა, საქმის მეორადი განხილვის შემდეგ, ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით დადასტურდა, რომ "იური ბორისოვი ნამდვილად უქმნის საფრთხეს რესპუბლიკის ეროვნულ უსაფრთხოებას".

იური ბორისოვის სახელის ირგვლივ აჟიოტაჟი როლანდას პაკსასის საპრეზიდენტო სკანდალმა გამოიწვია. ამ უკანასკნელმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს რუს მეწარმეს, ფინანსური დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ, გამონაკლისის სახით, ლიტვის მოქალაქეობა უბოძა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ისლამური სამყარო.** არაბეთის გაერთიანებული საემიროების ტელეკომუნიკაციის კომპანია აზიური ბაზრის დაპყრობას "ისლამური" "i-800" მოდელის მობილური ტელეფონით აპირებს, რომლის მეხსიერებაშიც ყურანის მთელი ტექსტია შენახული და ლოცვის დროსა და მსოფლიოს 5 000 ქალაქიდან მექისკენ მარშრუტს მიუთითებს. გარდა ამისა, ტელეფონს აქვს ისლამური კალენდარიც. მობილური ტელეფონის ახალი მოდელი, რომლის წარმოებაც ლიბანში კომპანია "ილკოუნ აზიამ" დაიწყო, ბანგლადეშის ბაზარზე ძალიან მალე გამოჩნდება. წლის ბოლომდე დაგეგმილია მისი შეტანა ინდონეზიის, მალაიზიისა და ინდოეთის ბაზრებზეც. დღეისათვის კი ზემოთაღნიშნული ტელეფონი ლიბანში, იორდანიაში, სირიაში, სუდანსა და ალჟირში იყიდება. **დეილი ნიუსი**

■ ■ ■

**ნატო-ს სამიტი.** სტამბოლის სამიტზე, უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმასა და მაკედონიის პრეზიდენტი ბრანკო ცრვენკოვსკის შეხვედრაზე განცხადებები ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ გაკეთდა. მაკედონიის ხელისუფლების ხელმძღვანელმა, უპირველეს ყოვლისა, აქცენტი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე გააკეთა. "უმთავრესი მიზნები სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების გაღრმავება და სხვადასხვა პროექტების ერთობლივი განხორციელებაა", - აღნიშნა ბრანკო ცრვენკოვსკიმ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უკრაინა-მაკედონიის ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო ქმედებების მხარდაჭერას. ორმა ლიდერმა ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად მზადყოფნა გამოთქვა. შეხვედრის ბოლოს უკრაინის პრეზიდენტმა მაკედონიელი კოლეგა უკრაინაში ოფიციალური ვიზიტით მიიწვია. **ინტერფაქსი**

# გინდა, ჩემი სახელი დაგიწერო?!



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

გუშინ დილომში, ბავშვთა სოფელ "პირველ ნაბიჯში" ახალი სახლები გაიხსნა. ისევე, როგორც ძველი, ახალი სახლებიც ლამაზი, სუფთა და მყუდროა. აქ კიდევ 30 ბავშვი იცხოვრებს. გაიხსნება დღის მომსახურების ცენტრი, გაგრძელდება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთობლივი პროგრამა.

ბავშვთა სოფელში სახლებს აშშ-ის მთავრობა აშენებს. გუშინ გახსნას დაესწრნენ ქალბატონი სანდრა რულოვსი, აშშ-ის ელჩი რიჩარდ მაილსი, ოფიციალური პირები და საზოგადოების წარმომადგენლები. "ექსპერტების შეფასებით, ამ რანგის "სოფელი" ამერიკისა და ევროპის ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანას შეეფერება" - თქვა "პირველი ნაბიჯის" ხელმძღვანელმა ნინო ქადაგიძემ.

"პირველი ნაბიჯის" თორმეტი ბავშვი სტუმრების მისვლით არ შეწუხებულა, ჩვეული რიტმით აგრძელებდნენ ცხოვრებას: ხატავდნენ, მოზაიკას აწყობდნენ, აუთოებდნენ. "გინდა, ჩემი სახელი დაგიწერო?" მაგიდასთან მჯდარი ბიჭი კეთილი სახით ეკითხებოდა სტუმარს და ფურცელზე წერდა: "გიორგი".

*24საათი*

## მოკლედ

### ქართველი და ოსი ბავშვები საირმეშიც ერთად დაისვენებენ

ცხინვალის რეგიონში მცხოვრები 14 წლამდე ასაკის 30-მდე ქართველი და ოსი ბავშვი დღეს 15 დღით კურორტ "საირმეში" გაემგზავრება. ბავშვების დასვენებას "ცეკავშირი" და კომპანია "ქართული მანგანუმი" უზრუნველყოფენ. ბავშვები კურორტ "საირმეში" "ცეკავშირის" კუთვნილ დასასვენებელ სახლში განთავსდებიან. დასვენების პერიოდში მათთვის სპორტული და გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები გაიმართება. აქციის ფარგლებში იგეგმება იმერეთის რეგიონში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების დათვალიერება. **ინტერ-პრესი**

### "ლეიბორისტები" თბილისის ბიუჯეტს აპროტესტებენ

"საქართველოს ლეიბორისტული პარტია" 2004 წლის თბილისის ბიუჯეტს აპროტესტებს და მას კორუმპირებულს და "ტყუილების გუდას" უწოდებს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრმა, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, თბილისის ბიუჯეტი არ არის სოციალურად ორიენტირებული და მთელი რიგი მუხლები გაუშიფრავია. მისი თქმით, ამ ბიუჯეტით დარღვეულია "საბიუჯეტო სისტემების შესახებ" კანონი, რომლის თანახმად, ბიუჯეტში ჯანდაცვაზე 10 პროცენტი უნდა იყოს გათვალისწინებული, თბილისის ბიუჯეტის პროექტში კი ჯანდაცვის სფეროზე მხოლოდ 5,1 პროცენტია გათვლილი. "ლეიბორისტების" აღშფოთებას იწვევს ასევე ის ფაქტი, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების შესაძენად მხოლოდ 175 ათასი ლარია გათვალისწინებული, მაშინ როცა გასულ წელს ამავე მიზნით სამი მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. "ლეიბორისტების "განცხადებით, მიმდინარე წლის ბიუჯეტში საერთოდ არ არის გათვალისწინებული მასწავლებელთა ვაუჩერებისთვის საჭირო თანხა და მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარება. სოსო შატბერაშვილის თქმით, სოციალური პროგრამების დაფინანსების ნაცვლად, რამდენიმე ასეული ათასი ლარია ჩადებული სხვადასხვა შოუპროგრამების დასაფინანსებლად, მათ შორის 100 ათასი ლარია გათვალისწინებული ბიოტუალეტების მოსაწყობად. თბილისის ბიუჯეტის პროექტს საკრებულო დღეს განიხილავს, თუმცა, "ლეიბორისტების" ფრაქცია ბიუჯეტის ამ ვარიანტს მხარს არ დაუჭერს. **ინტერ-პრესი**

# მეცნიერების მართვის პრეტენზია მხოლოდ პრეზიდიუმს არ უნდა ჰქონდეს

ნინო ცინცაძე

*უკვე ორ თვეზე მეტია, მეცნიერებათა აკადემიის მოსალოდნელი რეფორმის გარშემო ცხარე კამათი მიმდინარეობს. გუშინ, 5 საათზე, მეცნიერებათა აკადემიაში მეცნიერების მომავალზე სასაუბროდ მთავრობის წევრები მივიდნენ. მანამდე კი, 12 საათზე, მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ფორუმი ჩამოყალიბდა. ეს ფორუმი, როგორც შემდგომ გაირკვა, მთავრობის მიერ შექმნილ კომისიასთან ერთად განაგრძობს მუშაობას და ერთ-ორ თვეში აკადემიის რეფორმის საბოლოო პროექტს ჩამოაყალიბებს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მეცნიერება არ უნდა მართონ ბიუროკრატებმა, მაგრამ, ამავე დროს, არც მხოლოდ პრეზიდიუმს უნდა ჰქონდეს მეცნიერების მართვის პრეტენზია.*

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები და ინსტიტუტების დირექტორები პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ჯონი ხეცურიანს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ლომაიას და ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს შეხვდნენ. **"ყოველგვარი რეფორმა კარგავს აზრს, სანამ არ მივიღებთ განმარტებას, რისი რეფორმა უნდა მოვახდინოთ"**, - განაცხადა შესავალ სიტყვაში აკადემიის პრეზიდენტმა ალბერტ თავხელიძემ და მთავრობისგან შემდეგ საკითხებზე მოითხოვა პასუხის გაცემა: 1. რას წარმოადგენს სახელმწიფოსთვის აკადემია? 2. ესახება თუ არა სახელმწიფოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც სამეცნიერო დაწესებულებათა ერთობა და როგორი იქნება აკადემიისა და მასში შემავალი ინსტიტუტების იურიდიული სტატუსი? 3. როგორი იქნება ფუნდამენტური მეცნიერებების დაფინანსება? 4. რა სახის სუბორდინაცია იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აკადემიას შორის?

ზურაბ ჟვანიამ სიტყვა დაიწყო მეცნიერთა წინაშე თავისი მოწიწების გამოხატვით, მაგრამ არც ის დაივიწყა, რომ ზოგიერთი მეცნიერის ნათქვამის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. შემდეგ კი საქმეზე გადავიდა: **"ჯერ უნდა განვსაზღვროთ, რა შესაძლებლობები გვაქვს, რა პერსპექტივები შეიძლება გვქონდეს უახლოეს 2-3 წელიწადში და შემდეგ გამოვყოთ ის მიმართულებები, რომელიც არა მხოლოდ უნდა შევინარჩუნოთ, არამედ უნდა განვავითაროთ. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 56 ინსტიტუტი შედის, სოფლის მეურნეობის აკადემიაში - 20, უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე არსებობს 22 სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება, რომელთაც ასევე სახელმწიფო აფინანსებს, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს კი კიდევ 15 სამეცნიერო დაწესებულება აქვს. ჩვენ თუ ამას შევეგუებით და გადავწყვეტთ, რომ ერთმილიარდიანი ბიუჯეტის მქონე ქვეყანა 121 ინსტიტუტს ისევ ერთნაირად უნდა აფინანსებდეს, ეს ნიშნავს, რომ ყოველ მათგანს ისევ თითო წვეთ სისხლს გადავუსხამთ, მაგრამ მათი განვითარებისთვის არაფერს გავაკეთებთ".** დღევანდელი ვითარება ზურაბ ჟვანიამ რეანიმაციაში სასუნთქ აპარატზე შეერთებულ ავადმყოფს შეადარა და თქვა, რომ დაფინანსება, რომელიც დღეს არსებობს, მხოლოდ სხვადასხვა დარგის კონსერვაციისთვის გამოდგება; თუ არ მოხდა ოპტიმიზაცია და არ შეიცვალა დაფინანსების სისტემა, არაფერი გამოსწორდება. თუმცა, ბატონმა პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით განაცხადა, რომ სახელმწიფო ბიუროკრატები მეცნიერების გარეშე არ მიიღებენ არც დაფინანსებასთან, არც პრიორიტეტებთან და არც ატესტაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. **"მე ვთვლი, რომ აკადემიამ თავისი ერთობა უნდა შეინარჩუნოს, ხოლო როგორი უნდა იყოს ამ ყველაფრის ორგანიზაციული ფორმები, ეს მთავრობის წევრებისა და მეცნიერების მიერ შემდგარმა კომისიამ ორი თვის განმავლობაში უნდა დაადგინოს. მეცნიერება არ უნდა მართონ ბიუროკრატებმა, მაგრამ, ამავე დროს, არც მხოლოდ პრეზიდიუმს უნდა ჰქონდეს მეცნიერების მართვის პრეტენზია. აუცილებლად უნდა მოვუყაროთ თავი აკადემიის ქონებას. მე ვერ ვიტყვი, რომ წლების მანძილზე ეს ქონება ნიავებდებოდა, მაგრამ დროდადრო ჩნდებოდა რაღაც გაურკვეველი საიჯარო ხელშეკრულებები. თუ ოპტიმიზაცია მოხდება, გამოთავისუფლებული ქონება ისევ აკადემიას უნდა მოხმარდეს".**

პრემიერ-მინისტრის გამოსვლის შემდეგ ინსტიტუტების იურიდიულ სტატუსზე გამახვილდა ყურადღება: თუ ინსტიტუტებს არ ექნებათ საჯარო იურიდიული პირის სტატუსი, მაშინ ისინი დამატებით დაფინანსებას ვერ მიიღებენ, ხოლო ამ სტატუსის მიღების შემთხვევაში, საქართველოში დღეს არსებული კანონმდებლობის მიხედვით, აკადემიას ვეღარ დაექვემდებარებიან. ის, რაც დარბაზში შეკრებილ მეცნიერებს ყველაზე მეტად აწუხებდათ, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა თენგიზ ნანეიშვილმა გაახმოვანა: დაექვემდებარებიან თუ არა ინსტიტუტები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს? ამ შეკითხვაზე პრემიერ-მინისტრს პირდაპირი პასუხი არ გაუცია. მან ბოლოს ისევ აღნიშნა, რომ აკადემიაში მეცნიერული ერთიანობა უნდა შენარჩუნდეს, თუმცა, ისევ გაუსვა ხაზი, რომ პრეზიდიუმს მეცნიერების სრული მართვის პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. როგორი იქნება საბოლოო გადაწყვეტილება, ამას დაადგენს კომისიის მიერ შემუშავებული საბოლოო პროექტი, რომელიც ჯერ მთავრობაში განიხილება, შემდეგ კი პარლამენტს გადაეცემა.

# ცხელი ხაზი პენსიონერებისთვის

*ფოსტალიონებს პენსიას აღარ ანდობენ. საქართველოს ფოსტას, რომელიც პენსიებს მთელი ქვეყნის მასშტაბით გასცემდა, ბევრი მომჩივანი გამოუჩნდა. 2002 წლიდან დაიწყო ფოსტის ბანკით ჩანაცვლების პროცესი.*

ნონა მაისურაძე

2002 წელს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ჩატარებული ტენდერის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადდა "ინტელექტბანკი", რომლის ქვეკონტრაქტორს "სახალხო ბანკს", ფილიალების სიმრავლის გამო, პენსიების გაცემის ფუნქცია დაეკისრა.

ფოსტალიონებისგან გაწვალებულმა პენსიონერებმა ბანკის სიკეთე მალე იგრძნეს. პენსიის გაცემისთვის ბანკში 50 თეთრს, ცხადია, არავინ ითხოვდა. ფოსტალიონები კი სისტემატური თხოვნით ან თავხედური ფამილარობით პენსიონერის კუთვნილი თანხიდან 50 თეთრს ითვისებდნენ. დიდი ხანია, ეს მანკიერი ტენდენცია ინერციით მოდის და, სამწუხაროდ, დღესაც იგრძნობა. პენსიონერები სამართლიან უკმაყოფილებას გამოხატავენ და მოითხოვენ, ან აღმოიფხვრას დარღვევები, ან საბანკო მომსახურებაზე გადაიყვანონ.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურ დირექტორს იმედი აქვს, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება. საქართველოს ფოსტაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ფოსტალიონებს თვეების მანძილზე არ მიუღიათ ხელფასი, თუმცა, ეს მათი საქციელის გამართლებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა გამოაცხადა ტენდერი "ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პენსიებისა და დახმარებების დარიგების საბანკო მომსახურების შესასყიდად". გამარჯვებული თვენახევარში გამოვლინდება. მანკიერი ტრადიცია წარსულს ჩაბარდება. მანამდე კი პენსიონერებს მივმართავთ თხოვნით, ზემოაღნიშნული დარღვევის შემთხვევაში, დარეკონ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრებზე: **69 65 93; 69 65 94.**


# MILLENIUM CHALLENGE CORPORATION-ის გრანტის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების წარდგენის შესახებ

**მიმოხილვა**

MCC (Millenium Challenge Corporation) არის აშშ-ს სამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნის მიზანია დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა, გაატარონ ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმები. ამ პროგრამაში მონაწილეების მისაღებად სააგენტომ 75 კანდიდატი ქვეყნისაგან შეარჩია საქართველო სხვა 15 ქვეყანასთან ერთად. აღნიშნული შერჩევის შედეგად საქართველოს მიეცა შესაძლებლობა მიიღოს გრანტის დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პროგრამა და მომზადებული ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც დაარეგულირებს პროგრამის განხორციელებას, დააკმაყოფილებენ MCC-ს პირობებს.

ამ დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროექტების და იდეების მოძიება და რეგისტრაცია, რომლებიც შევლენ საქართველოს Millenium Challenge კომიტეტის მიერ MMC-თვის წარდსადგენ საბოლოო საპროექტო წინადადებაში. აღნიშნული კომიტეტის წევრები არიან საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის ლიდერები, პარლამენტარები და საზოგადოების სხვა წევრები.

მრავალმხრივი და სრული საპროექტო წინადადების მომზადების მიზნით, საქართველოს Millenium Challenge კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მიმართოს დაინტერესებულ მოქალაქეებს, არასახელმწიფო ორგანიზაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა წარადგინონ ისეთი საპროექტო წანადადებები და იდეები, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის მიზნებს. წარდგენილი საპროექტო წინადადების შინაარსი არ შემოიფარგლება კონკრეტული სფეროთი ან დარგით.

საქართველოს Millenium Challenge კომიტეტი განიხილავს წარდგენილ საპროექტო წინადადებებს მათი მიღების მიმდევრობის მიხედვით. საპროექტო წინადადებები განიხილება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გრძელვადიანი და გაზომვადი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე;
- პროექტის წარმატებით განხორციელების დიდი შესაძლებლობა;
- პროექტის დაფინანსება შეუძლებელობა
  - კერძო სექტორის ინვესტიციით,
  - სხვა დონორების ინვესტიციით,
  - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით.
- პროექტი ხასიათდება მრავალმხრივი პოზიტიური ეკონომიკური ეფექტით (გავლენას ახდენს ეკონომიკის რამდენიმე სფეროს ზრდაზე ან ზრდის ხელმშემწყობ ფაქტორებზე)

**საპროექტო წინადადების წარდგენის წესი**

დაასახელეთ პროექტი, რომელიც შეესაბამება MCC-ს პირობებს და უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. საპროექტო წინადადების პროგრამის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემთხვევაში, საქართველოს Millenium Challenge კომიტეტი დაგეხმარებათ საპროექტო წინადადების შემდგომ მომზადებაში და საბოლოო გაფორმებაში (თითოეულ კითხვაზე მოცემულია კითხვის განმარტება და შესაძლო პასუხის მაგალითი).

**პროექტის დასახელება**

(მაგ. გზის გაყვანა პუნქტი A-დან პუნქტ B-მდე.)

*1. პროექტის აღწერა*

- პროექტის მოკლე აღწერა
  - 2-4 წინადადება პროექტის შესახებ (მაგ. გზის გაყვანა პუნქტი A-დან პუნქტ B-მდე.)
- პროექტის მიზნები
  - აღწერეთ პროექტის მიზანი (მაგ. პროექტის განხორციელება მოგვცემს: (ა) რეგიონის აგრობიზნესის განვითარებას (ფერმერი შეძლებს თბილისის ბაზარზე საკუთარი პროდუქციის გატანას); (ბ) რეგიონის ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას; და (ვ) ტრანზიტის მოცულობის ზრდას)
- პროექტის მთლიანი ღირებულება და ხანგრძლივობა
  - (მაგ. გზის გაყვანის ღირებულებაა 20 მილიონი ა.შ.შ. დოლარი, ხოლო პროექტის ხანგრძლივობაა 2 წელი).

*2. პროექტის მნიშვნელობა და მიზნები*

- რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება? გთხოვთ დეტალურად აღწეროთ მიმდინარე პრობლემა და/ან პროექტთან დაკავშირებული შესაძლებლობები
  - (პასუხში მიუთითეთ თუ როგორ გავლენას მოახდენს წარდგენილი პროექტი ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიბის დაძლევაზე)
- რომელ სექტორებს ან ინდუსტრიებს შეუწყობს ხელს პროექტის განხორციელება?
- მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება კონკრეტული რეგიონის განვითარებაზე გავლენას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ თუ როგორ გავლენას მოელით.
- პროექტის განხორციელების შემთხვევაში, რა გავლენას ელით ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან და მასტიმულირებელ შემდეგ ფაქტორებზე:
  - საფინანსო ბაზარი (კაპიტალთან წვდომა, საბანკო მომსახურების გაუმჯობესება);
  - შრომითი ბაზარი (მუშაკების პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავება);
  - ქვეყნის ფიზიკური ინფრასტრუქტურა (საგზაო, სარკინიგზო, და ენერგო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება);
  - სოციალური და კულტურული ინფრასტრუქტურა (საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. მაგ. საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გასართობი ცენტრები, სავაჭრო ცენტრების ინფრასტრუქტურა);
  - ეფექტური სახელმწიფო მმართველობის სისტემა (კორუფციის შემცირება, ინდუსტრიების რეგულირების გაუმჯობესება, ბიზნესის განვითარებისათვის ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნა);
  - სხვა სფეროები.
- პროექტის განხორციელების გარდა, რა დამატებითი ხელშემწყობი ინიციატივებია საჭირო, რომ პროექტის შედეგმა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა?
  - აღწერეთ პროექტის დამოკიდებულება სხვა პროექტებთან ან ინიციატივებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება ან ეფექტი დამოკიდებულია სხვა პროექტების განხორციელებაზე, მიუთითეთ ეს პროექტები და მათი თანმიმდევრობა.
  - (ეს სექცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროექტის მიზნის და ეფექტის მისაღწევად საჭირო დამატებითი პროექტების ან საკანონმდებლო/მარეგულირებელი/ადმინისტრაციული ცვლილებების შესახებ (მაგ. მხოლოდ გზის გაყვანა ვერ უზრუნველყოფს რეგიონის აგრობიზნესის განვითარებას, თუ ფერმერებს არ ექნებათ ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე დამატებითი ინიციატივა შეიძლება იყოს რეგიონში მიკროსესხების გაცემა)
- შეიძლება თუ არა პროექტის დაფინანსება სხვა წყაროებიდან?
  - რატომაა შეუძლებელი პროექტის დაფინანსება კერძო სექტორის რესურსებით?
  - შეიძლება თუ არა პროექტის დაფინანსება საბიუჯეტო რესურსებით?
  - მიუთითეთ პროექტის დაფინანსების სხვა არსებული წყაროები.

*3. პროექტის გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტი*

- განმარტეთ თუ რატომაა პროექტის ეფექტი გრძელვადიანი (მაგ. გზის გაყვანის პროექტისგან მიღებული ეკონომიკური ეფექტი გრძელვადიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება მიჩნეული, რომ არსებობს წყარო გზის ექსპლუატაციის ხარჯების დაფინანსებისთვის).

*4. პროექტის განხორციელება*

- რა არის საჭირო პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის? (მაგ. რომელი სახელმწიფო, კერძო ან არასახელმწიფო ორგანიზაცია განახორციელებს პროექტს?)
- პროექტის განხორციელებასთან ან პროექტის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული რისკების ჩამონათვალი.
- მიუთითეთ პროექტის განხორციელების ძირითადი გაზომვადი ინდიკატორები

სახელმწიფო გეგმავს ფულის ინვესტირებას ეკონომიკური განვითარებისთვის შემდგომ სფეროებში:

- ❖ სახელმწიფო მართვის ორგანოების რეკონსტრუქცია (ძალოვანი სტრუქტურების შემცირება, კორუფციის აღმოფხვრა)
- ❖ რეგიონალური საინვესტიციო ფონდის შექმნა (გრძელვადიანი,დაბალი საპროცენტო განაკვეთის სესხები)
- ❖ ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები)

გთხოვთ გამოხატოთ თქვენი აზრი, თუ რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ამ სფეროებში ფულის ინვესტიცია მომავალი ეკონომიკის განვითარებისათვის.

________________________________________

საცხოვრებელი რეგიონი ____________________

რომელ სექტორს მიეკუთვნებით?

--- კერძო

--- სამთავრობო

--- არცერთი

საქმიანობის სფერო (გთხოვთ მიუთითოდ ორგანიზაციის სახელწოდებაც) ____________________

სახელი გვარი ________________

ასაკი ______

საპროექტო წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით ან/და დამატებითი დახმარებისათვის მოგვმართეთ:

**ვებ-გვერდი: www.mcg.ge**
**მისამართი: ჯი-ემ-თი პლაზა, თავისუფლების მოედანი 4**
**ტელ: (995 32) 92 38 69**
**ფაქსი: (995 32) 92 14 80**
**ელ.ფოსტა: info@mcg.ge**

# უკანონო პრივატიზაციები ზუგდიდში

ზუგდიდის რაიონის პროკურატურის თანამშრომლებმა რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ დააკავეს ქონების მართვის ზუგდიდის სამმართველოს განყოფილების უფროსი გივი ფიფია, რომელსაც ბრალად ედება რამდენიმე შენობის უკანონო პრივატიზება.

კერძოდ, პროკურატურა ფიფიას 2003 წელს განხორციელებულ პრივატიზაციას ედავება, რომლის შედეგადაც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული, ზუგდიდის გამგეობის შენობის პირველი სართული, სულ 225 კვ.მ ფართობი, გივი ფიფიამ "ინტელექტბანკის" ზუგდიდის ფილიალს 6 ათას 500 ლარად გადასცა. არადა, ზუგდიდის პროკურორის მურთაზ ნარმანიას განცხადებით, აღნიშნული ფართობის ღირებულება, დასახელებულ თანხასთან შედარებით, გაცილებით მეტი ღირდა.

პროკურატურა ასევე მიიჩნევს, რომ ფიფიას ხელშეწყობით და საპრივატიზაციო ნორმების დარღვევით გასხვისდა ზუგდიდის ცენტრში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე კაფეს შენობაც.



პროკურატურა გივი ფიფიას 2003 წელს განხორციელებულ პრივატიზაციას ედავება.

ზუგდიდის რაიონის პროკურორის განცხადებით, უკანონო პრივატიზაციასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში აღიძრა, რის შემდეგაც გამოძიება მიმდინარეობდა. გუშინ კი, გივი ფიფიას განმეორებითი დაკითხვის შემდეგ, პროკურატურამ მისი დაკავების გადაწყვეტილება მიიღო.

გივი ფიფია, რომლის მიმართაც საქმე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით არის აღძრული, ჯერჯერობით, დუმილის უფლებას იყენებს და განცხადებებისგან თავს იკავებს. იგი ამჟამად ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. პროკურატურა დღეს აპირებს სასამართლოს მიმართოს, მისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის აღმკვეთ ღონისძიებად შეფარდების თაობაზე. თუმცა, როგორც ზუგდიდის რაიონის პროკურორმა ნარმანიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გამოძიება გრძელდება და გამორიცხული არ არის, რომ ზუგდიდში უკანონო პრივატიზაციის სხვა ფაქტებიც გამოვლინდეს. რა დაინტერესება ჰქონდა ფიფიას სახელმწიფო ქონების უკანონო გასხვისებაში, გამოძიება ამ ეტაპზე არ საუბრობს. სხვათა შორის, ამგვარი დანაშაულის გამოვლენა ზუგდიდელი სამართალდამცველებისთვის პირველი შემთხვევაა.

# აბაშიძეების დაცვის წევრი სასამართლომ გაათავისუფლა

დიანა აბაშიძის ბათუმში გამოჩენის დღესვე დაწყებული დაპატიმრებების საპასუხოდ, აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან პერმანენტულად გამართულმა საპროტესტო აქციებმა გუშინ შედეგი გამოიღო. რამდენიმე დღის წინ, აბაშიძეების საცხოვრებელ სახლთან ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ პირთაგან ერთ-ერთს, დიანა აბაშიძის დაცვის ყოფილ წევრს, რუსლან ლემსაძეს ბათუმის საქალაქო სასამართლომ გუშინ აღმკვეთი ღონისძიება - წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუცვალა და ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლა.

სამართალდამცველებმა რუსლან ლემსაძეს, ისევე, როგორც მასთან ერთად სპეცოპერაციისას დაკავებულ აბაშიძეების დაცვის 14 წევრს, იარაღის უკანონო ტარებისა და ნარკოტიკის მოხმარების ბრალდება წაუყენეს.

ათი დღის წინ დაკავებული და გუშინ სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლებული რუსლან ლემსაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ დაკავებისას მას არც იარაღი ჰქონდა და არც ნარკოტიკი. "მე მხოლოდ დიანა აბაშიძის სანახავად ვიყავი მისული ახლობლის სტატუსით და არა მისი დაცვის წევრის როლში", - აცხადებს რუსლან ლემსაძე, რომლის მეგობრებიც კვლავ წინასწარ პატიმრობაში რჩებიან.



ათი დღის წინ დაკავებული და გუშინ სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლებული რუსლან ლემსაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს.

როგორ გადაწყდება რუსლან ლემსაძესთან ერთად ათი დღის წინ, გამთენიისას დაკავებულთა პატიმრობის საკითხი, წინასწარ ძნელი სათქმელია. დაკავებულთა ახლობლები და ოჯახის წევრები, როგორც თავად აცხადებენ, პატიმართა გათავისუფლების მოთხოვნით, აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქციების გამართვას კვლავ აპირებენ. მათივე განცხადებებით, აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ დაკავებულებს არ გაათავისუფლებენ.

*24 საათი*

# მამალაძის კიდევ ერთი ბინა დააყადაღეს

გუშინ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ყადაღა დაადეს ქვემო ქართლის გუბერნატორის, ლევან მამალაძის და მისი მეუღლის, მარიკა ქავთარაძის სახელზე გაფორმებულ ბინას, რომელიც თბილისში ატენის ქუჩა 6/8 მდებარეობს. აღნიშნულის მოთხოვნით, რამდენიმე დღის წინ საოლქო სასამართლოს შუამდგომლობით ქალაქის პროკურატურამ მიმართა. იუსტიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ქონება მამალაძის მფლობელობაში რჩება, თუმცა, მეპატრონეებს მისი გასხვისების ან გაყიდვის უფლება არ აქვთ. როგორც ცნობილია, ორი დღის წინ, ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორს შინდისში, წავკისში და კოჯორში არსებული ქონებაც დაუყადაღეს.

*24 საათი*




# ბათუმელი მილიონერი წინასწარი დაკავების საკანშია

ცნობილი ბათუმელი მილიონერი, ბათუმის ყოფილი ვიცე-მერი და, ამავდროულად, ბათუმის მერიის საბინაო სამსახურის ხელმძღვანელი რუსლან ბედოევი პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება-არშეფარდების საკითხს სასამართლო დღეს გადაწყვეტს.

ბათუმის პროკურატურამ რუსლან ბედოევი გუშინწინ, გვიან ღამით დააპატიმრა. ყოფილი მაღალჩინოსანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ მეთაურთან დაახლოებული პირი გახლდათ. ცნობილია, რომ გარდა სახელმწიფო სამსახურისა, ბიზნესითაც იყო დაკავებული და მას აჭარაში მილიონერად იცნობენ.

გამოძიება მას ბიუჯეტისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების დამალვაში და ფინანსურ მაქინაციებში სდებს ბრალს. "პროკურატურა ბედოევს ამ ეტაპზე 110 000 ლარს ედავება, თუმცა გამორიცხული არ არის, გამოძიების პროცესში თანხის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს," - აცხადებენ ბათუმის პროკურატურაში.

როგორც ირკვევა, ბედოევის დაკავება საგადასახადო ინსპექციის მასალებზე დაყრდნობით მოხდა. საგადასახადო სამსახური საბინაო სამსახურის ფინანსურ მდგომარეობას უკვე კარგა ხანია სწავლობს.

*24 საათი*

# სასამართლომ გადაწყვეტილება დაზარალებულების სასარგებლოდ მიიღო

2001 წლის 19 ნოემბერს ახალციხის რაიონულ პროკურატურაში A ჰეპატიტის მასობრივი გავრცელების ფაქტზე აღძრულ საქმეზე განაჩენი უკვე გამოტანილია. ვინაიდან ეპიდემიის გავრცელების წყაროდ დაბინძურებული სასმელი წყალი იქნა მიჩნეული, დაავადებულთა მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურება სასამართლომ რაიონისა და ქალაქის გამგებლებს დააკისრა.

მოსამართლე ცირა მაისურაძის განცხადებით, მედიკამენტების თანხები აფთიაქიდან გამოტანილი ქვითრების საფუძველზე განისაზღვრა, ხოლო მორალური ზარალის საკომპენსაციოდ 50 ლარი დასახელდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მთლიანი თანხის რაოდენობა 40 ათას ლარს შეადგენს, რომელიც 380 დაზარალებულზე უნდა გადანაწილდეს.

გუშინ "სახალხო ბანკმა" კომპენსაციების გაცემა უკვე დაიწყო. რაიონისა და ქალაქის გამგეობებს სასამართლოს ხარჯებისთვის, საბიუჯეტო გადასახადის გარდა, ბანკის მომსახურების ერთი პროცენტიც დაეკისრა.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი .** იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე, ისანი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა ციხის საავადმყოფოსთან ნარკოტიკის შეტანის ფაქტზე ლანჩხუთის მკვიდრი ზაზა კუჭაშვილი დააკავეს. მას პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული ნივთიერება სუბუტექსი აღმოაჩნდა. ნივთიერება ამჟამად გადაგზავნილია ექსპერტიზაზე. **24 საათი**

■ ■ ■

**გორი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციამ გორის ცენტრში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად "ვაზ-2106" მარკის ავტომანქანა დააკავა, რომელსაც გორში მცხოვრები ჯუმბერ ყირიმელი მართავდა. ავტომანქანიდან ამოღებულია 700 გრამის ოდენობის ნივთიერება "აქსისკანდი". აღნიშნული ნივთიერების ღირებულება, დაკავებულის განმარტებით, დაახლოებით, 35 ათასი აშშ დოლარია და ეს ნივთიერება ყალბი დოლარისა და ევროს დასამზადებლად გამოიყენება. ნივთიერება, სავარაუდოდ, რუსეთის ფედერაციიდან შემოიტანეს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, სად გადაჰქონდათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილი კახა კ-შვილი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული პირი რამდენჯერმე დაუკავშირდა ბინის ტელეფონზე ერთ-ერთ მოქალაქეს მ. ბაღათურიას, თავი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლად გააცნო და განუცხადა, რომ თუ მას 5000 აშშ დოლარს არ გადაუხდიდნენ, მათი შვილიშვილების ამერიკაში გამგზავრებას ხელს შეუშლიდა, თითქოსდა მის ხელთ არსებული გარკვეული დოკუმენტების გამოქვეყნებით. დაკავებულისგან სამართალდამცავებმა ამოიღეს 500 აშშ დოლარი, რომელიც მან ბაღათურიას გამოართვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ქვრივისთვის მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილება, ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ 1994 წელს აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე. იგი გენერალური პროკურატურისგან კატეგორიულად მოითხოვს, დაიწყოს გამოძიება და 1991-1992 წლებში განვითარებულ მოვლენებს დროული შეფასება მიეცეს. მანანა არჩვაძე-გამსახურდია გამოძიების წარმართვას, ასევე, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებითაც ითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი, მრავალჯერ ნასამართლევი კონსტანტინე ფარესაშვილი დააკავეს. პოლიციის შს მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, ფარესაშვილს პირადი ჩხრეკისას 0.027 გრ. "ჰეროინი" აღმოჩნდა. მისი ბინის ჩხრეკისას კი პოლიციამ 0,37 გრ. "სუბოტექსი", 0,805 გრ. "ოპიუმი", 0,197 გრ. "ჰეროინი", 2 შპრიცი "ჰეროინის ხსნარი", ხელყუმბარა ფ-1 და ჯავშანჟილეტი ამოიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციამ ე.წ. ქურდული ტრადიციების მიმდევარი ირაკლი პირველი დააკავა. როგორც პოლიციის მთავარ სამმართველოში განაცხადეს, პირველი მრავალჯერ არის ნასამართლევი. პოლიციის ცნობით, ირაკლი პირველმა 23 ივნისს, თბილისში, შ.პ.ს. "ღვინის სახლის" გამყიდველი ნელი ალბუთაშვილი გაქურდა. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება დაკავებულის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებრივი ფაქტების დადგენის მიზნით. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ყაჩაღობისთვის ძებნილი ჯამბულ მერებაშვილი, რომელიც სხვა პირებთან ერთად, 2003 წლის 7 ნოემბერს ყაჩაღურად თავს დაესხა გიორგი გაბაშვილის ოჯახს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა სენაკში მცხოვრები, ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი მამუკა ლაშქარავა, რომელიც 27 ივნისს, სხვა პირთან ერთად თავს დაესხა ლუცია ბასილიას ოჯახს, დანის მუქარით გააუპატიურა იგი და გასტაცა 20 ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიმიტრი სულაძე და ალექსანდრე კვანტალიანი პოლიცილებმა თბილისში, ბოჭორმის ქუჩაზე 28 ივნისს ჩადენილი ძარცვის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, დაკავებულებმა რუსთაველ ანაიდა კირაკოსიანს ოქროს სამკაულები წაართვეს. სულაძის არასრულწლოვანობის გამო, ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურაში აღიძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ გამთენიისას, ხობის რაიონის სოფელ თორსაში ყაჩაღობა მოხდა. ავტომატური იარაღით შეიარაღებულმა რამდენიმე ნიღბიანმა გითოლენდიების ოჯახის დაყაჩაღება სცადა. ოჯახის წევრთა მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ თავდამსხმელთაგან ერთ-ერთმა მათ ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგად ოჯახის დიასახლისი ნარგიზა გითოლენდია დაიჭრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, დავით მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით თოდუას სახელობის კარდიოლოგიურ კლინიკაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგები უკვე ცნობილია. გუშინ საღამოს ექიმების კონსილიუმი შედგა. მირცხულავას საბოლოო დიაგნოზი დაუსვეს და მკურნალობის კურსი დაუნიშნეს. გამოკვლევის ჩატარების შემდეგ მირცხულავა თბილისის მე-7 საპყრობილეში დააბრუნეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია. მირცხულავას პატიმრობის ვადა რამდენიმე დღეში იწურება. გენერალურმა პროკურატურამ ან ვადის გაგრძელება უნდა მოითხოვოს, ან საქმე სასამართლოში გადააგზავნოს. როგორც გენერალურ პროკურატურაში განაცხადეს, საქმის ძიება თითქმის დასრულებულია. სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის ორგანიზაციაში" ე.წ. სწრაფი რეაგირების ჯგუფი შეიქმნა, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევის თითოეულ ფაქტზე ოპერატიულ რეაგირებას მოახდენს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის პრეზიდენტმა გიორგი ლალიძემ განაცხადა, სწრაფი რეაგირების ჯგუფი სამართალდამცველი უწყებების და სხვა ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებით დაინტერესდება. მისივე თქმით, ორგანიზაციაში ყველა ამგვარი ფაქტი დაფიქსირდება, რასაც სათადო რეაგირება დროულად მოჰყვება. **ინტერ-პრესი**

# აფხაზური ხაფანგი

გურამ მაღლაკელიძე

აჭარაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ქართული მედიის ყურადღების ცენტრში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემატიკა მოექცა. ეს სავსებით გასაგებია, რადგან ქვეყნის აღმშენებლობა, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირება და მომავალი წარმოუდგენელია ამ საკითხების მოგვარების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას არაერთი ყურადსაღები მოსაზრება მიეწოდა, ხშირ შემთხვევაში გამოქვეყნებული სტატიები ზედაპირულ ხასიათს ატარებს, არ არის დაფუძნებული ანალიტიკურ გათვლებზე და ვერსიების დონეზე აფხაზეთის დაბრუნების ისეთ ვარაუდებს გვთავაზობს, რომლებიც ხშირად ღიმილის მომგვრელია.

ამ სტატიის დაწერა 26 მაისს გამოქვეყნებულმა ("მთავარი გაზეთი") ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუმ გადამაწყვეტინა. რადგან თუ ობიექტურად არ გავაანალიზეთ აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზები და შედეგები, არ გავითვალისწინეთ დაშვებული შეცდომები, აფხაზეთის დაბრუნება ოცნებად დარჩება.

კითხვაზე - საქართველოში ხშირად ამტკიცებენ ორ რამეს: გამსახურდიას დროს დაიკარგა ცხინვალის რეგიონი, თქვენ დროს-აფხაზეთი. რა პასუხი შეგიძლიათ გასცეთ ამ მტკიცებას, რატომ დაიკარგა (იმედია, დროებით) ერთი ან მეორე? ბატონი ედუარდი პასუხობს, რომ "ცხინვალის რეგიონის დაკარგვა საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის ბრალია... რაც შეეხება აფხაზეთს: აქ საქმე შემდგომში მდგომარეობს".... და საუბარი ისევ მიდის რკინიგზის ეშელონების გაძარცვაზე, რომ ის ესაუბრა ვ. არძინბას, რომ "ახლანდელი გადასახედიდან, ჯობდა, მე ჩავსულიყავი, მაგრამ მაშინ ჩემი თბილისიდან გასვლა შეუძლებელი იყო...", რომ "სიგუამ ობიექტური მიზეზების გამო მეორე დღეს სოხუმში ჩასვლა ვერ მოახერხა, კიტოვანი კი მე და ჯაბა იოსელიანმა მთელი სამი დღე ვერ ვიპოვეთ...", რომ ის მთავარსარდალი არ იყო და არც სათანადო აპარატი გააჩნდა.

რატომღაც ვფიქრობდი, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მეორე პრეზიდენტი აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდა და მემუარების წერას შეუდგა, ნაწილობრივ მაინც ახდიდა ფარდას, თუ რატომ და როგორ დაიგეგმა და განხორციელდა აფხაზეთში სამხედრო ნაწილების შეყვანა, ვიმეორებ - ნაწილობრივ მაინც, რადგან სრული სიმართლე გაცილებით ტრაგიკულია. თუ ერთ შემთხვევაში ის აცხადებს, რომ "ცხინვალის რეგიონის დაკარგვა საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის ბრალია", მაშინ ობიექტურობა მოითხოვს, პასუხი გაეცეს მეორე კითხვასაც: ვისი ბრალია აფხაზეთის დაკარგვა?

"მოდით, კაცურად მაინც ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა" - გავყვეთ ბატონი ედუარდის ამ მოწოდებას და შესაძლებლობის ფარგლებში გავაანალიზოთ, როგორ აღვმოჩნდით აფხაზურ ხაფანგში.

მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ პერსპექტივაზე გათვლილი პოლიტიკა საქართველოს კომუნისტურ ხელმძღვანელობას აფხაზეთში არ გააჩნდა. 1990 წლის ოქტომბერში საქართველოს კომპარტიამ ისე დაასრულა თავისი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საქართველოს ისტორიაში, რომ არც უცდია გააზრებული, ქმედითი ნაბიჯები გადაედგა აფხაზური პრობლემის მოსაგვარებლად. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ 1989 წლის 18 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ფაქტობრივად უვადოდ გაუგრძელა უფლებამოსილების ვადა აფხაზეთის უზენაეს საბჭოს.

1990 წლის ნოემბერში საქართველოს ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ეროვნული ძალები მოვიდა. თითქოს გაჩნდა შესაძლებლობა, ქართველებსა და აფხაზებს შუამავლების გარეშე გადაეწყვიტათ მშვიდობიან თანაცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ პროცესები საკმაოდ შორს იყო წასული, ხოლო იმპერიული მანქანა გამართულად მუშაობდა. ის, რაც გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს თებერვლის სესიაზე გაახმოვანა, მანამდეც კარგად იცოდა. კერძოდ, საუბარია გორბაჩოვის სატელეფონო გაფრთხილებაზე - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში პრობლემები შეგექმნებათო. ზვიად გამსახურდია ხვდებოდა, რომ დაძაბულობის განმუხტვის საშუალებას სამაჩაბლოში მას აღარ მისცემდნენ, ხოლო ახალი შეიარაღებული დაპირისპირების წარმოშობა აფხაზეთში დამღუპველი იქნებოდა არა მარტო მისი ხელისუფლებისათვის, არამედ ქვეყნისთვისაც. ამ ფონმა უარყოფითად იმოქმედა ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც აფხაზეთთან დაკავშირებით იქნა მიღებული. ავტონომიურ რესპუბლიკაში სრული სახელისუფლებო ვაკუუმი იყო, ხოლო დაძაბულობამ პიკს მიაღწია (აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე ვ. კობახია სეპარატისტებს იზოლაციაში ჰყავდათ მოქცეული, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის თანამდებობა ვაკანტური იყო, ხოლო პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ხიშბას რეალური ძალა და ავტორიტეტი არასოდეს ჰქონია).

ასეთ ვითარებაში, 1990 წლის 4 დეკემბერს კონსტანტინ ოზგანი (სეპარატიზმის გამორჩეული ლიდერი, რომელსაც თავის დროზე მოსკოვის შიშით ვერც შევარდნაძემ და ვერც პატიაშვილმა ვერაფერი მოუხერხეს) აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიის სხდომის გახსნისას განაცხადებს: "კმაყოფილებით მინდა გამცნოთ, რომ უკანასკნელ დროს, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წარმომადგენლები, და მე ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს დროში ჩვენ ამ ტერმინებს შევცვლით სიტყვებით ორი მოძმე ხალხის წარმომადგენელთა მხარე, ეწეოდა ინტენსიურ კონსულტაციებს კონფლიქტური სიტუაციის გადასაწყვეტად და წინანდელ ურთიერთობათა დასაბრუნებლად". როცა კონკრეტული მიზანი ამოძრავებდათ, აფხაზებს ვერც გამჭრიახობას დაუწუნებდი და ვერც დიპლომატობას. სესიამ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავჯდომარედ, რასაკვირველია, არძინბა აირჩია.

როგორ მოხდა, რომ არძინბა, რომელიც მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ სეპარატისტული მოძრაობის უალტერნატივო ლიდერი იყო, კოორდინაციას უწევდა ანტიქართულ მოძრაობას როგორც არაფორმალურ ორგანიზაციებში, ისე აფხაზეთის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, ზვიად გამსახურდიას ხელდასმით აფხაზეთის ლეგიტიმური ხელმძღვანელი გახდა (საუბარი იმაზე, რომ გამსახურდიამ არ იცოდა, ვინ იყო არძინბა, უხერხულია). არძინბას ხელისუფლებაში მოყვანის გეგმა საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებში დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა, მაგრამ არსებულ ვითარებაში მთავარი ის იყო, რომ მისი ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ უნდა დამდგარიყო (არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერც აფხაზური და ვერც ქართული მხარე ვერ ახერხებდა დამოუკიდებლად ისე ჩაეტარებინა უზენაესი საბჭოს სესია, რომ მისი კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ არ ყოფილიყო. მეტიც, ზოგიერთი სხვა ეროვნების დეპუტატებისათვის ეს სესიები ბიზნესის წყაროდ იქცა).

დაწოლა საქართველოს ხელმძღვანელობაზე სხვადასხვა მხრიდან მიდიოდა. ერთი მხრივ - სეპარატისტების შანტაჟი და საკითხის გადაუწყვეტელობის შემთხვევაში კონფლიქტის გაჩაღების პერსპექტივა. მეორე მხრივ - ინსპირირებული დაწოლა გარემოცვიდან გავლენის აგენტების მეშვეობით. არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავება სამაჩაბლოში და ა.შ.

ასეთ ვითარებაში ერთმანეთს ემთხვევა აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ბ. ადლეიბას და ბატონ მ. ომანიძის ინტერესები. პირველს პოლიტიკაში დაბრუნება სურს, მეორემ კი უნდა დაუმტკიცოს გამსახურდიას, რომ პოლიტიკური პროცესების მართვა შეუძლია. გეგმა, რომელიც გამსახურდიას შესთავაზეს, შემდგომში მდგომარეობდა: არძინბას უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის პარალელურად, ადლეიბა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელად უნდა არჩეულიყო, რომელიც ახალი არჩევნების გამართვის შემდეგ, ქართველი და ოჩამჩირული წარმოშობის აფხაზი დეპუტატების მეშვეობით, დემოკრატიული გზით ჩამოაშორებდა არძინბას ხელისუფლებას. მომავალში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ მოიაზრებოდა ადლეიბა ან კიდევ ერთი პიროვნება (რომლის დასახელებისაგან გარკვეული მიზეზების გამო თავს ვიკავებ), რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ კონფრონტაციის გამწვავებას და მის გადაზრდას შეიარაღებულ დაპირისპირებაში. ამავე დროს, იმავე სესიაზე, ქართველების წარდგინებით უნდა დამტკიცებულიყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რაც დამატებით გარანტიებს იძლეოდა. ბატონი ზვიადი დაარწმუნეს, რომ ეს გეგმა რეალური იყო.

ამ გათვლებს პრაქტიკული განხორციელების თითქმის არანაირი შანსი არ ჰქონდა შემდეგი გარემოების გამო: პირველი - ამ გეგმას თავიდანვე რუსეთის სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ; მეორე - საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მის რეალიზაციაზე სახელისუფლებო და პოლიტიკურ ტექნოლოგიებში ნაკლებად გათვითცნობიერებული ხალხი მუშაობდა, რომელმაც ვერც მაშინ და ვერც 1991 წლის ივლისში ვერ გათვალა, რა მნიშვნელობა ჰქონდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დაბალანსებას, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ა. შ.; მესამე - თუ სეპარატისტები ერთიანი ფრონტით გამიდიოდნენ, ქართველთა მხრიდან კულუარულ და ოფიციალურ კონსულტაციებში, სულ მცირე სამი სუბიექტი მაინც მონაწილეობდა. იგივე განმეორდა საარჩევნო კანონზე მუშაობისას. მთავარი შეცდომა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ გეგმის ჩავარდნის შემთხვევაში არ არსებობდა არავითარი სხვა სარეზერვო ვარიანტი ან მონახაზი მაინც, მაშინ როცა მეორე მხარეს სრული კარტბლანში და თავისუფალი მანევრირების საშუალება გააჩნდა.

ეს 4 დეკემბრის სესიაზევე დადასტურდა. არძინბამ მისი არჩევის შემდეგ მოხსნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დამტკიცების საკითხი, რამდენიმე დღეში ამუშავა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ინსტიტუტი, რომელშიაც უმრავლესობა გააჩნდა. პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმის ჩაშლაში კი, რასაკვირველია, ქართველთა ხელიც ერია. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მიუხედავად ამისა, არძინბამ თავისუფლად მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ამოისუნთქა, როდესაც მას მოსკოვიდან ადლეიბას გარდაცვალება ამცნეს; გარდაცვალება, რომელიც ძალზე წააგავდა სუკ-ის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში განხორციელებულ სპეციალურ ოპერაციებს.

სამწუხაროდ, ეს არ იყო ერთადერთი გაუთვლელი და მცდარი ნაბიჯი, რომელიც ხელისუფლებამ აფხაზეთში გადადგა. 1991 წლის 11 თებერვალს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გალის რაიონის პრეფექტი დანიშნა. გაურკვეველია, რისი მიღწევა სურდა ამ აქტით ცენტრალურ ხელისუფლებას. ფაქტობრივად კი ამით ის აღიარებდა, რომ მისი სუვერენიტეტი აფხაზეთში მხოლოდ გალის რაიონზე ვრცელდებოდა. ამ პოლიტიკურმა და სამართლებრივმა ლაფსუსმა საშუალება მისცა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს და მინისტრთა საბჭოს, განეცხადებინათ, რომ "წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, საქართველოს ხელმძღვანელობამ გადადგა პირველი ნაბიჯი აფხაზეთში არსებული კონსტიტუციური წყობის სისტემის ლიკვიდაციისაკენ და მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, რადგან ამ დანიშვნას... ფაქტობრივად გამოყავს გალის რაიონი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოების იურისდიქციიდან." აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს 13 თებერვლის გადაწყვეტილებით, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება იურიდიული ძალის არმქონედ იქნა ცნობილი, ხოლო პროკურატურის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებს დაევალათ, მიეღოთ აუცილებელი ზომები ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობის დასაცავად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ უდავო შეცდომამ კიდევ უფრო მეტად გაალიზიანა და დააფრთხო არა მარტო აფხაზური მოსახლეობა, შეიძლება ითქვას, რომ არძინბამ მორიგი პოლიტიკური რაუნდიც მოუგო საქართველოს მთავრობას.



რატომღაც ვფიქრობდი, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მეორე პრეზიდენტი აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდა და მემუარების წერას შეუდგა, ნაწილობრივ მაინც ახდიდა ფარდას, თუ როგორ დაიგეგმა და განხორციელდა აფხაზეთში სამხედრო ნაწილების შეყვანა, ვიმეორებ - ნაწილობრივ მაინც, რადგან სრული სიმართლე გაცილებით ტრაგიკულია.



როგორ მოხდა, რომ არძინბა, რომელიც სეპარატისტული მოძრაობის უალტერნატივო ლიდერი იყო, ზვიად გამსახურდიას ხელდასმით აფხაზეთის ლეგიტიმური ხელმძღვანელი გახდა? საუბარი იმაზე, რომ გამსახურდიამ არ იცოდა, ვინ იყო არძინბა, უხერხულია.



არძინბამ თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როდესაც მოსკოვიდან ადლეიბას გარდაცვალება ამცნეს; გარდაცვალება, რომელიც ძალზე წააგავდა სუკ-ის მიერ განხორციელებულ სპეციალურ ოპერაციებს.

თბილისისა და სოხუმის დაპირისპირება თებერვლის თვეში ამით არ დასრულებულა, მთავარი მიზეზი 17 მარტს დანიშნული (საბჭოთა კავშირის შენარჩუნებასთან დაკავშირებით) საკავშირო რეფერენდუმი იყო. ზ. გამსახურდია, რასაკვირველია ცდილობდა, არძინბაზე ზეგავლენა მოეხდინა, რათა აფხაზეთში რეფერენდუმი არ ჩატარებულიყო. 1991 წლის 27 თებერვალს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება "აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ." დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ვინაიდან აფხაზეთის უზენაეს საბჭოს უფლებამოსილების ვადა 1990 წლის 25 თებერვალს ამოეწურა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში, საქართველოს უზენაესი საბჭო ადგენს: 1. მიეცეს წინადადება აფხაზეთის უზენაეს საბჭოს ჩაატაროს არჩევნები 1991 წლის 1 ოქტომბრამდე; აფხაზეთის კონსტიტუციის 75-ე მუხლის შესაბამისად უზენაესმა საბჭომ გაიგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა 15 მარტამდე; 2. ვინაიდან აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო 6 წელიწადზე მეტია ფუნქციონირებს, ამ დადგენილების პირველი მუხლის შეუსრულებლობა გამოიწვევს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტას.

სეპარატისტებმა გამოწვევა მიიღეს. 28 თებერვალს გაიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც დაამტკიცა გადაწყვეტილება უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ქართველმა დეპუტატმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა, სესიამ დამატებით შეიტანა დღის წესრიგში და მიიღო დადგენილება 17 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობის შესახებ.

სულ მალე აღმოჩნდა, რომ ესეც შეცდომა იყო, რადგან ახალ საარჩევნო კანონთან დაკავშირებით აფხაზებმა მორიგი თამაში წამოიწყეს. ვადები საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა, ხოლო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არსებული შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტის (27 თებერვლის დადგენილების მეორე მუხლი) ფაქტობრივი აღსრულება მას არ შეეძლო.

ვინაიდან საქართველოს მთავრობას არ გააჩნდა რეალური ძალა, აღეკვეთა სეპარატისტთა ანტიკონსტიტუციური ქმედებები და ყოველნაირად ცდილობდა, თავი აერიდებინა შეიარაღებული კონფრონტაციისათვის, მოსკოვის გეგმა საკმაოდ მარტივი იყო: მუდმივი დაწოლა და პროვოკაციების ზღვარზე თამაში, საკანონმდებლო უმრავლესობის ნებისმიერი გზით დაკანონება აფხაზეთის უზენაეს საბჭოში, საკანონმდებლო ბაზის შექმნა აფხაზეთის "დამოუკიდებელი რესპუბლიკისათვის", სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბება, აღნიშნულ დროს აფხაზეთის სუვერენიტეტის გამოცხადება და მთავარი - სამხედრო კონფლიქტის დაწყება აუცილებლად საქართველოს მთავრობას (ან ქართველებს) უნდა დაბრალებოდა. ვ. არძინბა და მისი დამქაშები არასოდეს მალავდნენ და აცხადებდნენ: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პირველად თქვენ გვესროლოთო.

1991 წლის 9 ივლისს გაიმართა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესია. სესიას ესწრებოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა წაიკითხა. მინდა, რამდენიმე ამონაწერი შემოგთავაზოთ ამ მიმართვიდან: ... ჩვენ გაგებით ვეკიდებით აფხაზი ხალხის სურვილს, გაიფართოვოს სახელმწიფო ავტონომია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში არასრულყოფილი იყო... ვაშენებთ რა ახალ საზოგადოებას საქართველოს რესპუბლიკაში, არ შეიძლება, არ გავითვალისწინოთ აფხაზეთის სტატუსის განვითარების ტენდეცია, რასაც გააკეთებს საქართველოს და აფხაზეთის უზენაესი საბჭოების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია... პოლიტიკური რეალიზმი ამავე დროს გვკარნახობს მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას აფხაზებსა და ქართველებს შორის - იმ ორ ხალხს შორის, რომელიც ამ ტერიტორიაზე ისტორიულად ცხოვრობდა, რაც არ გამორიცხავს ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობებისას და სრულყოფისას აფხაზი ხალხის განსაზღვრული უფლებების აღიარებას.

არძინბამ თავისი ემოციები არ დამალა. მას არ უნდოდა, საარჩევნო კანონი აღქმულიყო, როგორც პოლიტიკური შეთანხმება აფხაზებსა და ქართველებს შორის. მას არა მარტო სამართლებრივი, არამედ მორალური გამარჯვებაც სურდა. ამიტომ ცინიკურად განაცხადა: მე არ შემიძლია დავეთანხმო მთელ რიგ დებულებებს, რომელიც ამ მიმართვაშია. რამდენად სამართლიანია, მაგალითად, ისაუბრო ერთი ერის დამოუკიდებლობაზე და დამოუკიდებლობის შეუძლებლობაზე მეორე ერისათვის... გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენთან ერთად ცხოვრობენ ბევრი სხვა ერების წარმომადგენლები (მოსახლეობის 48 პროცენტმა პარლამენტში მიიღოს 26 ადგილი, 17 პროცენტმა 28, ხოლო დანარჩენმა ერთ-მესამედზე მეტმა მხოლოდ 11, მისთვის გასათვალისწინებელი არაა და უხერხულობას არ იწვევს).

ამ კანონის შესახებ ბევრი დაიწერა და გაცილებით მეტი ითქვა - ანტიდემოკრატიულით დაწყებული და აპარტეიდულით დამთავრებული, ასეთ შეფასებას აძლევდნენ და დღესაც აძლევენ მას. მაგრამ შევეცადოთ, განვიხილოთ ის იმ პოლიტიკური და ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, რომელიც 12 წლის წინ იყო. რასაკვირველია, ეს კანონი ზღუდავდა აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისა და სხვა ეროვნების წარმომადგენლების პოლიტიკურ უფლებებს; რასაკვირველია, ის ქართული სახელმწიფოს და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის სისუსტის და შეცდომების შედეგი იყო, მაგრამ იურიდიულად, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს არ უქმნიდა. თუ ვინმე ამ აზრს არ ეთანხმება, მიპასუხოს: აფხაზებმა რომ შემოგვითვალონ, 28 ადგილს კიდევ 2 ადგილი დაგვიმატეთ და მზად ვართ, ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში უფლებამოსილებათა გამიჯვნაზე მოლაპარაკება დავიწყოთო, რა პასუხს ვაძლევთ? და თუ პასუხი დადებითია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა კონფრონტაცია შეიარაღებულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო. სწორედ ამიტომ, 24 ოქტომბერს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა რა საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და კონსტიტუციის, აგრეთვე აფხაზეთის კონსტიტუციის უგულებელყოფის შესახებ, მოუწოდებდა მათ: "მომავალი თაობა არ გვაპატიებს, თუ არ შეიგნებთ, რომ ნორმალური ცხოვრების ერთადერთი გზაა ჩვენი სახელმწიფოს მთელი შეგნებული, კონსტრუქციული ძალების შეკავშირება, ნამდვილი ძმობა და გულწრფელი მეგობრობა".

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, 1992 წლის 4 თებერვალს საქართველოს შეიარაღებული ძალების დაახლოებით 300 კაციანი კონტინგენტი გალში, ხოლო 6 თებერვალს დილის 6 საათისათვის სოხუმში შემოვიდა სატრანსპორტო კომუნიკაციების დაცვის და დამხობილი ხელისუფლების მომხრეების ნეიტრალიზების მიზნით (ოფიციალური ვერსია). აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოსვლისას მათ გვერდი აუარეს ენგურის ხიდს, რომელსაც შეიარაღებული აფხაზები იცავდნენ. შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია, რომელიც შეიძლება სამოქალაქო ომში გადაზრდილიყო. სეპარატისტებმა დახმარება მოსკოვს სთხოვეს, მაგრამ იქ არ ჩქარობდნენ. 4-5-6-7 თებერვალი ის პერიოდი იყო, როცა ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საბოლოოდ აყალიბებდა თავის პოზიციას. ამიტომ არძინბა იძულებული იყო, მხოლოდ 8 თებერვალს გაეკეთებინებინა მოკლე ოფიციალური განცხადება თავისი პრესსამსახურისთვის, რომელიც ფაქტობრივად იმეორებდა ოფიციალურ ვერსიას.

რატომ არ გამოიყენა მოსკოვმა ეს შესაძლებლობა:

1. არც ფსიქოლოგიური და არც სამხედრო თვალსაზრისით აფხაზები ჯერ მზად არ იყვნენ ომის დასაწყებად;

2. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს შეიარაღებული ძალების შესვლას აფხაზეთში მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუ ის შეძლებდა შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

ა) საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის კონტროლზე აყვანას და ისეთი სამხედრო ნაწილის დისლოცირებას გაგრა-ლესელიძის მონაკვეთზე, რომელიც შეძლებდა გარკვეული ტაქტიკური ამოცანების შესრულებას;

ბ) არაკანონიერი შეიარაღებული რაზმების სწრაფ და მაქსიმალურად უსისხლოდ განიარაღებას, რისი მიღწევა მხოლოდ 3-5-ჯერადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი უპირატესობის შემთხვევაში იყო შესაძლებელი;

გ) სეპარატისტა ხელმძღვანელობის დაპატიმრებას და ახალი არჩევნების ჩატარებას.

3. ვინაიდან საქართველოში არსებული არც პოლიტიკური ვითარება, არც მისი სამხედრო პოტენციალი და მით უმეტეს, აფხაზეთში შეყვანილი სამხედრო ძალები ამის საშუალებას არ იძლეოდა, აუცილებელი იყო ამ ფაქტის სეპარატისტთა სასარგებლოდ გამოყენება. კერძოდ:

ა) აფხაზური, რუსული და სომხური ეროვნების მოსახლეობის ფართო ფენების დარწმუნება, რომ დღეს თუ არა ხვალ ქართველები მათ გენოციდს მოუწყობენ, ამიტომ აუცილებელია ერთობლივი ძალებით აფხაზური არმიის უფრო სწრაფი ტემპით ჩამოყალიბება;

ბ) მუშაობის გაძლიერება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან და სუკ-ის მიერ ჩამოყალიბებულ კონფედერანტებთან;

გ) ამ სამხედრო რეიდის იდიოლოგიური მიზნებისათვის გამოყენება;

დ) დაპირისპირების მაქსიმალურად გაძლიერება ზ. გამსახურდიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.

4. ვინაიდან უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ე. შევარდნაძე თბილისში ბრუნდებოდა, აუცილებელი იყო სწორედ მისი პროვოცირება, რათა მას გადაედგა პირველი ნაბიჯი სამხედრო კონფლიქტის დასაწყებად და უკვე ამ ფონზე მაქსიმალურად შესაძლებელი შედეგის მიღწევა არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთლიანად საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში.

14 თებერვალს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა (ქართული დეპუტაცია არ მონაწილეობდა კენჭისყრაში) საქართველოს დროებითი მთავრობისა და სამხედრო საბჭოსადმი მიმართვის ტექსტი, ხოლო 15 თებერვალს საქართველოს სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო ნაწილების აფხაზეთიდან გამოყვანის შესახებ.

რამდენიმე თვის შემდეგ მოსკოვის მიერ დასახული ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სტრატეგიული ამოცანა რეალიზებული იყო...

**დასასრული შემდეგ ნომერში**

"ჩუმად" გახსნილი გამოფენა ხმამაღალი სახელით



B3

ათენის გზაზე

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ათენის ოლიმპიადის წინ აღმასკომის ბოლო სხდომა გამართა



B4

პინინფარინას საიუბილეო სიამოვნება



B6

ნომრის სტუმარი

# ჯაზი მარტო ამერიკელებმა უნდა დაუკრან

## კრიმანჭული კი მარტო ქართველებმა უნდა იმღერონ

მაია ჭალაგანიძე

*ჯიმი იაშვილის დაბალ და ხრინწიან ხმას ისინი იცნობენ, ვინც ქართული რადიოს ეთერით ზოგჯერ მაინც უსმენს გადაცემას "ჯაზ ბრეიქ". კიდევ იმით გამოირჩევა, რომ მთელი ცხოვრება რადიოში მუშაობს და ლაპარაკი არ უყვარს.*
*გამომთვლელი მანქანების სპეციალისტმა ტექნიკის და მუსიკის სიყვარულის გამო საქართველოს რადიოში და საკავშირო ფირმა "მელოდიაში" ხმის რეჟისორად დაიწყო მუშაობა.*
*ჯაზი უფრო ადრე შეუყვარდა. მაშინ, როდესაც ფარულად უსმენდა რადიო "თავისუფლებას," საიდანაც კანოვერი მთელ მსოფლიოს აყვარებდა ჯაზს. ახლა უკვე უნიკალური კოლექციის პირველი ჩანაწერი (დიდი ფირფიტა) კი მაშინ შეიძინა, როდესაც 50-იან წლებში ძველი ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში ცოცხალი ჯაზმენი ნახა, ეს იყო მაქს გრეგერი და მისი ორკესტრი.*
*მას შემდეგ თბილისი ცნობილი საფესტივალო ქალაქი გახდა. ამჟამად მიმდინარე მერვე საერთაშორისო ჯაზფესტივალმა ლამის პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინოს.*
*ორგანიზატორთა თქმით, წინა ჯაზ-ფესტივალებზე თუ ვარსკვლავებს აქ ჩამოსასვლელად ხვეწნა სჭირდებოდათ, წელს რამდენიმესთვის უარის თქმა მოუწიათ, იმდენად დიდი იყო საქართველოში ჩამოსვლის სურვილი, დაინტერესება. რას იტყვის ჯაზის სტაჟიანი კოლექციონერი, მცოდნე და კრიტიკოსი, რადიოს მუსიკალური რედაქციის რედაქტორი ჯიმი იაშვილი - ეს მაგარი ფესტივალია?*



*ჯაზი რომ ყველას მოსწონდეს, მე აღარ მომეწონება, "მარწყვის მდელოც" იმიტომ არის კარგი ფილმი, რომ ყველას არ მოსწონს.*

**- რა აქვს თბილისში მიმდინარე მერვე ჯაზფესტივალს ექსკლუზიური?**

- საკმაოდ მაღალი კლასის მუსიკოსები ჩამოვიდნენ, მაგრამ აქ ჯაზი, კლასიკური გაგებით, ნაკლებია. უფრო პოპ-ჯაზი იყო წარმოდგენილი. მაიკლ ფრენქსი, ჯო მაკლაფლინი, ეს ექსპერიმენტული მუსიკაა - ინდური მუსიკისა და ჯაზის სინთეზი.

**- ეს ექსპერიმენტები კლასიკური ჯაზის განვითარების ერთ-ერთ ეტაპად ჩაითვლება?**

- ჯაზის ამერიკელ კრიტიკოსს ლეონარდ ფრეზერს დავესესხები, რომელიც ამბობს, რომ თავის დროზე მაკლაფლინის ექსპერიმენტებმა ჯაზის სამყაროში ძალიან დიდი რეზონანსი გამოიწვია. 70-იან წლებში ეს სიახლე იყო, მაგრამ დრომ გვაჩვენა, რომ ეს არც ისე ღირებული იყო. რა თქმა უნდა, ეს მაკლაფლინს, როგორც მუსიკოსს, არ ამცირებს, ის ძალიან დიდი მუსიკოსია.

**- რა დროს ჭირდება ჯაზის ექსპერიმენტს, რომ ის კლასიკად იქცეს?**

- მაკლაფლინი დიდი გიტარისტი, დიდი შემსრულებელი და კომპოზიტორია. ექსპერიმენტს თავისი დრო აქვს და შეიძლება ამან ჯაზს დიდი კვალი ვერ დაატყოს.

**- ფესტივალზე მოწვეული შემსრულებლებით თუ იმსჯელებთ, რა არის აქ წარმოდგენილი?**

- ეს უფრო ფართო მაყურებლისთვის განკუთვნილი მუსიკაა. სუფთა ჯაზურ მუსიკას ნაკლები თაყვანისმცემელი ჰყავს და ამას კომერციული მოგება არ ექნებოდა. ფესტივალზე წარმოდგენილი მუსიკა უფრო ბევრისთვის არის გასაგები.

კრის ბოტი ძალიან კარგი მესაყვირეა, ის ვუდი შოუსთან სწავლობდა, ბგერა და მანერა აშკარად უგავს უდიდეს მუსიკოს ჩედ ბეკერს. რასაკვირველია, მასავით დახვეწილი ბგერა არ აქვს, უფრო მიმბაძველია. მიმბაძველი შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ მეორე ჩედ ბეკერი აღარ დაიბადება.

კრის ბოტიმ შეასრულა ტრადიციული ჯაზური თემა, მას ძალიან კარგი პიანისტი ჰყავს ჩამოყვანილი და ჯაზური სტანდარტი საკმაოდ მაღალ დონეზე შეასრულა. ზაქირ ჰუსეინიც დიდი მუსიკოსია.

**- ამ სტანდარტს ყველა დიდი მუსიკოსი ყველა ქვეყანაში ასრულებს?**

- დიახ, ყველას აქვს შესრულებული.

**- ჯაზი ინტელექტუალური მუსიკაა, აზროვნება და ფიქრის ჭირდება. იქნებ, ამიტომაც არ ჰყავს კლასიკურ ჯაზს ფართო მსმენელი?**

- რასაკვირველია, ჯაზური სტანდარტები რომ არა, ნაკლები მსმენელი ეყოლებოდათ. მუსიკოსები ცდილობენ, თანამედროვე საზოგადოებას მოაწონონ თავი.

**- ჯაზში ეს კარგ ტონად ითვლება?**

- ეს საჭიროა. ოღონდ, ამ ექსპერიმენტების დროს მუსიკოსმა საკუთარი სახე არ უნდა დაკარგოს. ცნობილ კონტრაბასისტს რეი ბრაუნს მოვიშველიებ. მან თქვა, რომ ჯაზი, ეს გრძნობაა. თბილისში ჩამოსული მუსიკოსების გამოსვლაშიც იყო გრძნობა. ისინი ჯაზს უკრავენ უბრალოდ, ტრადიციული ჯაზი ნაკლები იყო.

**- მსოფლიოშიც ასეთი ტენდენციაა - კლასიკას ნაკლები და სპეციფიკური მსმენელი ჰყავს.**

- დიახ, ასეთი ტენდენციაა, რადგან მსმენელი სიახლეს ეძებს. ახლა ძალიან მოდურია სინთეზი ფოლკლორთან...

**- დღეს კლასიკურ ჯაზურ ნაწარმოებებს ვინ ქმნის?**

- კუბელი გონზალო რაბალკაბა ერთ-ერთი უდიდესი პიანისტია. ნაკლებად ცნობილი პიანისტია ალან ბროდბენტი, რომელიც კლასიკურ ჯაზს უკრავს. ასე რომ, ახალგაზრდებიც განაგრძობენ ჯაზის ტრადიციებს.

ნამდვილი ჯაზის მუსიკოსი უინტონ მარსალესი თანამედროვეობის უდიდესი მესაყვირეა, რომელიც კლასიკასაც უკრავს, ჯაზსაც, ლინკოლნ ცენტრის ორკესტრს ხელმძღვანელობს, ჯაზის ტრადიციებს მისდევს. სხვათა შორის, ის თავისი გაგებით რასისტია და თეთრკანიან მუსიკოსებს ალმაცერად უყურებს.

**- შავკანიანებს აქვთ ჯაზისადმი ბატონ-პატრონული დამოკიდებულება?**

- როგორც ამბობენ, აქვთ. ეს მაინც მათი მუსიკაა.

თუმცა, უდიდესი თეთრკანიანი შემსრულებლებიც არსებობენ - ბილ ევანსი, ჩედ ბეკერი...

**- ვინ იმარჯვებს ამ კონკურენციაში?**

- ჩემი აზრით, თეთრების მუსიკა უფრო ინტელექტუალურია. თეთრები უფრო გააზრებულად უკრავენ. შავკანიანთა მუსიკა უფრო ემოციაზეა აგებული. შავკანიანებს ეს ყველაფერი შიგნიდან მოსდით. პრინციპში, თეთრი მუსიკის თაყვანისმცემელი ვარ.

**- ჯაზის ქართველ შემსრულებლებს უფრო მეტად ინსტრუმენტული მცდელობები აქვთ, ვიდრე ვოკალური. ქართული ვიბრატო ჯაზისთვის არ გამოდგება?**

- ჩემი აზრით, ჯაზი მარტო ამერიკელებმა უნდა დაუკრან. ისევე როგორც მარტო ქართველებმა უნდა იმღერონ კრიმანჭული. კრიმანჭული იაპონელებმაც კი იმღერეს, მაგრამ ეს მხოლოდ შესრულება იყო, გულიდან არ მოდიოდა.

აი, მაგალითად, თბილისის ფესტივალზე მაკფერინს ექსპერიმენტი არ გამოუვიდა. იმდენად სრულყოფილია ქართული ხალხური სიმღერა, რომ რაც უნდა დიდი მუსიკოსი იყო, ვერაფერს დაამატებ.

**- რა ინფორმაცია გაქვთ, დიდმა მუსიკოსმა ეს თავად აღიარა?**

- თვითონაც მიხვდა, რომ არ უნდა გაეკეთებინა. ასეა ჯაზიც - ჩარევა, როგორც ექსპერიმენტი, საინტერესოა, მაგრამ მაინც ის რჩება, რაც ნამდვილია.

რაც შეეხება ქართულ ვიბრატოს - რა თქმა უნდა, ყველაფრის სწავლა შეიძლება, მაგრამ თუ შინაგანი გრძნობიდან, გულიდან არ მოდის, სულში თუ არ ზის, არაფერი გამოვა... სტივ უანდერი

> თავის დროზე მაკლაფლინის ექსპერიმენტებმა ჯაზის სამყაროში ძალიან დიდი რეზონანსი გამოიწვია. 70-იან წლებში ეს სიახლე იყო, მაგრამ დრომ გვაჩვენა, რომ ეს არც ისე ღირებული აღმოჩნდა.

> თუ გიყვარს, ძნელია, ნებით დატოვო ჯაზი.

> მეოცე საუკუნის ბოლოს ადამიანები ჟანრს აღარ მიაქცევენ ყურადღებას, მუსიკა კარგ და ცუდ მუსიკად დაიყოფა.

მრავალჟამიერს ვერ იმღერებს იმის მიუხედავად, რომ ის დიდი მუსიკოსია.

**- როდის მიდიან ჯაზში?**

- ჯაზი გრძნობაა და როდესაც შინაგანად გრძნობენ, მაშინ მიდიან. როგორ გითხრათ... ორივემ თუ არ ვიცით რუსული ენა, ვერ ვისაუბრებთ. ადამიანმა ჯაზის ენა უნდა იცოდეს და თან უნდა გრძნობდეს, სხვაგვარად, უცბად ჯაზს ვერ დაუკრავ.

**- ჯაზში სხვა ჟანრებში ხელმოცარულები ხვდებიან?**

- პირიქით, ჯაზში ხელმოცარულები მიდიან სხვა ჟანრებში. ნებისმიერი მაგარი ჯაზმენი დაუკრავს სიმფონიურში (დენი გუდმენი, მაკფერინი), მაგრამ სიმფონიურის მუსიკოსი ჯაზში ვერ დაუკრავს.

**- არსებობს კანონზომიერება, რასაც ჯაზი უნდა ექვემდებარებოდეს?**

- ეს ინდივიდუალურია. ჯაზის მუსიკოსი გუშინდელივით ვერ დაუკრავს, რადგან ეს იმ დღის, იმ წუთის ემოციაა. ალბათ, ეს არის მთავარი კანონზომიერება.

**- ჯაზი და კომერცია.**

- ძალიან ცუდად არიან ერთმანეთთან, რადგანაც ჯაზი აშკარად არაკომერციული მუსიკაა. მაკფერინმა თქვა კიდეც, ფულისთვის არავითარ შემთხვევაში არ ჩამოვსულვარო. მთავარი კონტაქტები და ურთიერთობებია. კომერციულად ჯაზი არც არის მომგებიანი. რამდენიმე დიდ ვარსკვლავს თუ არ ჩავთვლით, ჯაზმენებს ამერიკაშიც უჭირთ. თამაზ ყურაშვილი იქ ერთი წელი მუშაობდა და რომ ჩამოვიდა, თქვა: ვგიჟდები, რამხელა მუსიკოსები დადიან მშივრებიო. ერთეულებს უმართლებთ. ჩვენთვის საკმაოდ ცნობილი მუსიკოსები ძალიან მოკრძალებულად ცხოვრობენ. ღარიბები არ არიან, მაგრამ არც დიდი მოგება აქვთ. ჯაზმენის შემოსავლები კონცერტი და დისკების გაყიდვიდან შემოსული თანხაა. ხშირად დიდი მუსიკოსები საკუთარი ხელით ყიდიან თავიანთ დისკებს.

ჯაზმენებს უჭირთ, მაგრამ ისინი მაინც არ გადადიან პოპ-მუსიკაში და კომერციაში. ჯაზი ხომ თვითგამოხატვის ყველაზე კარგი საშუალებაა. ნამდვილ ჯაზმენებს კი გამდიდრებას თავის გამოხატვა ურჩევნიათ.

პირიქით კი ხდება, მაგალითად, საოპერო მომღერალმა კირი ტე კანავამ ჯაზის მომღერლობა დაიწყო. ბევრი საოპერო მომღერალი ჯაზურ მუსიკაში ცდის ბედს. ნამდვილი ჯაზმენი არსადაც არ გადავა, რადგან ჯაზი თუ შეგიყვარდა, ეს ნარკოტიკივით არის.

**- პოპ-მუსიკისგან განსხვავებით, კლასიკურ ჯაზს ცოტა მსმენელი ჰყავს, დისკები არ იყიდება - რა ჭირს მსოფლიოს?**

- უსამართლობას ვხედავ, რადგან ხანდახან ბევრად ნაკლები მონაცემებისა და ღირსების მქონე პოპ-მომღერალს უფრო დიდი შემოსავლები აქვს. საერთოდ, იაფფასიანი მუსიკა უფრო ადვილად იყიდება. ტელესერიალებს ხომ უფრო ბევრი უყურებს, ვიდრე კინოშედევრებს? მახსოვს, რუსთაველის კინოთეატრში "მარწყვის მდელო" გადიოდა და სამ დღეში მოიხსნა. ის შეცვალა რომელიღაც ინდურმა ფილმმა, რომელიც მთელი თვე გადიოდა. ჭეშმარიტ ხელოვნებას მთელ მსოფლიოში ცოტა დამფასებელი ჰყავს და ეს ყველა დარგში ასეა. ერთიც არის - ჯაზი რომ ყველას მოსწონდეს, მე აღარ მომეწონება, "მარწყვის მდელოც" იმიტომ არის კარგი ფილმი, რომ ყველას არ მოსწონს.

**- როდის ტოვებენ ჯაზს?**

- ჯაზს ცოცხლები არ ტოვებენ. ძალიან ბევრი მაგალითია იმისა, რომ 80 წლის ასაკშიც მღერიან და ვიდრე ამის ძალა აქვთ, იმღერებენ კიდეც. შირლი ჰორნი, როზმარი კლუნი - დიდი ასაკისანი არიან, მაგრამ ბოლომდე არ ამოწურულან. თუ გიყვარს, ძნელია, ნებით დატოვო ჯაზი.

როდესაც საქართველოში არც შუქი იყო, არც გაზი, არც სამსახური, ჯაზს ვუსმენდი და ეს ცხოვრებას მიიოლებდა. შუქთან და სხვა ყველაფერთან ერთად ჯაზიც რომ არ ყოფილიყო, ძალიან გამიჭირდებოდა.

**- კლასიკური მუსიკის მოყვარულებიც ამასვე გრძნობენ...**

- ალბათ.

**- საინტერესოა, პოპ-მუსიკის მიმდევრებსაც ასე უადვილებთ ცხოვრებას რომელიმე ჯეკსონის სიმღერა?**

- ვფიქრობ, რომ ისინი მუსიკას ზედაპირულად უყურებენ. ღრმად შეფასება რომ შეეძლოთ, ამ მუსიკას არც მოუსმენდნენ.

**- საქართველოში მუსიკალური კრიტიკა არ არსებობს, რატომ?**

- სხვათა შორის, რუსულ პრესაში ცნობილი მუსიკოსებიც კი ეხვევიან კრიტიკის ქარ-ცეცხლში. მაგალითად, უიტნი ჰიუსტონი აღარ არის კარგ ფორმაში, ძალიან ცუდი გამოსვლა ჰქონდა და საშინლად გააკრიტიკეს. ჩვენთან კი გამოსვლებს კი არა, სახელსა და გვარს აფასებენ.

**- ლაპარაკობენ, რომ ქართველი მაყურებელი კრიტიკულია, რატომ იღებენ ასე უკრიტიკოდ ყველაფერს?**

- საერთოდ, ქართველები უცნაურები ვართ. ერთი ამბავი მახსენდება - 1962 წელს თბილისში უდიდესი მოვლენა მოხდა - ბენი გუდმენის ორკესტრი ჩამოვიდა. დღეს თბილისში მხოლოდ 4 ვარსკვლავია ჩამოსული, ბენი გუდმენს კი ორკესტრში 20 ვარსკვლავი მაინც ჰყავდა. გუდმენმა გადაწყვიტა, რომ თბილისელი მაყურებლისთვის ესიამოვნებინა და საყვირზე ლაღიძის "თბილისო" შეასრულა... თქვენ წარმოიდგინეთ, მაყურებელმა მაშინვე სტვენა ატეხა, არც კი დაასრულებინეს. უცნაურობა არ არის? მაშინ გამიკვირდა და გამეხარდა კიდეც. თბილისს გუდმენის ჯაზი უნდოდა და მას ეს მიახვედრეს.

**- თამაზ ყურაშვილი, ოთარ მაღრაძე - ეს გვარები მთელი ცხოვრება გვესმის. ახლები არ მოდიან?**

- მოდიან, მაგრამ ჯერ თავი ვერ დაიმკვიდრეს.

დღეს არავინ იხსენებს, მაგრამ 50-იან წლებში თბილისში უდიდესი მესაყვირე და ვოკალისტი გიორგი გაბისკირია ჩამოვიდა. მას ხმის არაჩვეულებრივი ტემბრი ჰქონდა. გაბისკირია შანხაიში დაიბადა, დედა გერმანელი ჰყავდა. სწორედ ის იყო პირველი ქართველი ჯაზმენი. სხვათა შორის, ახლანდელი ფესტივალისადმი მიძღვნილ ბუკლეტში გიორგი გაბისკირია სანდრა რულოვსს მისასალმებელ სიტყვაში ჰყავს ნახსენები - ჯაზი იმ დროიდან იყო საქართველოშიო... გიორგი გაბისკირიამ ქართული არ იცოდა. თბილისის გასტროლებისას საყვირზე დაუკრა და საგანგებოდ შესწავლილი გიორგი ცაბაძის "ნიბლია" შეასრულა ქართულად. ის შანხაიში ძალზე ცნობილი მუსიკოსი, ნამდვილი პროფესიონალი იყო. "გაბის" ეძახდნენ, ქართველი ჰარი ჯეიმსი იყო.

**- ვისარგებლებ შემთხვევით და გკითხავთ, რეი ჩარლზთან ერთად რა დაკარგა მუსიკამ?**

- გულახდილი ვიქნები, სოულის მოყვარული არასდროს ვყოფილვარ, ეს ჯაზი არ არის. რეი ჩარლზი, როგორც პიანისტი უფრო მომწონდა, მისი ვოკალი ნაკლებად მხიბლავდა. რასაკვირველია, მსოფლიო მუსიკისთვის ეს დიდი დანაკლისია. ის დიდი მუსიკოსი იყო.

**- თქვენ რომ ჯაზფესტივალის ორგანიზატორი იყოთ, თბილისში ვის ჩამოიყვანდით?**

- უინტონ მარსალესს, რომლის მთელი ოჯახიც დიდი მუსიკოსები არიან. ერთი ძმა საქსოფონისტია, მეორე - ტრომბონისტი, მესამე - დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავს და მამამისიც ცნობილი პიანისტი იყო. უმაღლესი კლასის მუსიკოსები არიან.

კი ვთქვით, რომ ჯაზს მარტო ამერიკელები ინარჩუნებენ, მაგრამ სხვა ქვეყნებსაც ჰყავთ საინტერესო მუსიკოსები, მაგალითად, კუბელი პიანისტი გონზალო რაბალკაბა. ახალგაზრდა შვედი მომღერალი ქალი, ბილი ჰოლიდეის მოსწავლე - ლიზა ეკდალი. ის საინტერესო მომღერალია, ამერიკულ შესრულებას არ ჰბაძავს და საკუთარი ხელწერა გააჩნია. აგრეთვე ჩამოვიყვანდი ნორვეგიელ მომღერალს სილჯე ნეიელგარდს, კუბელ არტურო სანდოვარს. ის დიზი გილესპის ორკესტრში უკრავდა. 10 წელია, სანდოვარი ამერიკაში მოღვაწეობს, კონსერვატორიაშიც ასწავლის, მაგრამ მოქალაქეობას არ აძლევდნენ. კუბაზე ის კომპარტიის წევრი იყო. იქიდან კი გამოიქცა, მაგრამ ამერიკაში კომუნისტებს ასე ადვილად არ აძლევენ მოქალაქეობას. თუ არ ვცდები, ცოტა ხნის წინ მაინც მიანიჭეს. ნაწყენი იყო, ამდენი ხანია, ჯაზს და ამერიკას ვემსახურები და მოქალაქეობას ვერ ვეღირსეო...

ასპარეზზე გამოჩნდა სამხრეთ ამერიკელი ახალგაზრდა მომღერალი ორნა, ახლახანს მისი ალბომიც გამოვიდა.

**- ეს შემადგენლობა ფილარმონიის დარბაზს გაავსებს?**

- მარსალესი იმ სიდიდის სახელია, რომ შეიძლება, ამან გაავსოს.

**- თქვენ არც მუსიკოსის დიპლომი გაქვთ და არც მუსიკისმცოდნის. როგორ აფასებთ მუსიკის ხარისხს?**

- ვარ კოლექციონერი და ვაგროვებ ყველაფერს, მუსიკას ჟანრებად არ ვყოფ. ელინგტონმა თქვა, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს ადამიანები ჟანრს აღარ მიაქცევენ ყურადღებას, მუსიკა კარგ და ცუდ მუსიკად დაიყოფაო. მეც არ მაინტერესებს, რა ჟანრია, მთავარია, იყოს ხარისხიანი. მაინტერესებს მუსიკა და ნაკლებად მაინტერესებს, ვინ ასრულებს. შალახო მარსალესმაც რომ დაუკრას, მე ის არ მაინტერესებს. ეს ანტიქართული მუსიკაა და როგორც ბიძინა კვერნაძემ თქვა, შალახო უნდა დამთავრდეს...



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"ქვრივთა ნუგეშისმცემელი"
რეჟისორი: გოგი თოდაძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**"ამირანი"**
"სკუბი დუ 2"
დას: 15:00; 17:00 სთ.

"მოკალი ბილი 2"
დას: 20:00; 22:30 სთ.

## გამოფენები

**"ძველი გალერეა"**
გუგა კოტეტიშვილის ნამუშევართა გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ბავშვთა კერამიკული სტუდიის მოსწავლეების: გიგიშა პაჭკორიასა და მაკა მზარეულიშვილის ნამუშევართა გამოფენა

**TMS**
ნინო ჩაკვეტაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
"ხელოვნება და ბავშვები"

**"ორიენტი"**
"ცნობილი და მივიწყებული სახელები"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ლადო გრიგოლიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი
მიძღვნილი მემორიალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
"საქართველო - ხელოვანთა ქვეყანა"

**"ჰობი"**
თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

## კლუბები

**აჭარა მიუზიქ ჰოლი**
ჯაზფესტივალის დახურვა
მაიკლ ფრენქსი და მისი ბენდი
დას: 20:00 სთ.
შესვლა აბონემენტებით

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# 90 წუთზე მეტი შეყვარებულთათვის

## მაიკლ ფრენქსი - ჯაზფესტივალის რომანტიკული აკორდი

ვერა ნეფარიძე

*სამი წელიწადი ელოდნენ მაიკლ ფრენქსს თბილისში. ამ ხნის განმავლობაში პერიოდულად ცნობილი ხდებოდა ახალ-ახალი წინადადებები მის მოწვევასთან დაკავშირებით, თუმცა არ ილეოდა მიზეზები პოპულარული ამერიკელი შემსრულებლის სტუმრობის გადავადებასთან დაკავშირებით. ზედმეტი შეკითხვები გაჭიანურებული ვიზიტის შესახებ გუშინ ფრენქსისთვის არ დაუსვამთ; მუსიკოსმა თავად გამოიჩინა ინიციატივა და ფილარმონიის აუდიტორიას თითქოს მოუბოდიშა სამწლიანი დაგვიანებისთვის.*



ვახო ბესელიას ფოტო

*სამი წელიწადი ელოდნენ მაიკლ ფრენქსს თბილისში.*

თითქოს ამ "ზარალის" ასანაზღაურებლად, მაიკლ ფრენქსი და მისი ჯგუფი დღეს კიდევ ერთხელ, ამჯერად "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სცენაზე გამოვა. მაგრამ, ეს იქნება კონცერტი მხოლოდ საქართველოს ბანკის თბილისის მერვე ჯაზფესტივალის აბონენტების მფლობელთათვის. ფრენქსის თბილისელი თაყვანისმცემლებისთვის (და არა მხოლოდ თბილისელი) საყვარელი შემსრულებლის მოსმენა შეუზღუდავი მხოლოდ გუშინ იყო.

"შეიძლება ითქვას, მუდმივად არ ვუსმენ თანამედროვეებს", - არ დაუმალავს გუშინ მაიკლ ფრენქსს, - "გატაცებული ვარ 30-40-50-იანი წლების შემსრულებლებით" (გამონაკლისის სახით, ფრენქსმა სტივი უანდერი დაასახელა). თუმცა, ეს სულაც არაა ხელისშემშლელი ფაქტორი იმისათვის, რომ თანამედროვეები თავად უსმენდნენ მაიკლ ფრენქსს. იმის მიუხედავად, რომ მის მუსიკას, ძირითადად, რომანტიკულის იარლიყს აწებებენ (რაც, რასაკვირველია, ბუნებრივია), მაიკლ ფრენქსს მხოლოდ შეყვარებულები არ უსმენენ. ამაში გუშინდელი კონცერტის აუდიტორიისთვის თვალის შევლებითაც დარწმუნდებოდით (თუ არ ვცდები, დარბაზი მას გაცილებით მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდა, ვიდრე თუნდაც ბობი მაკფერინს). ფრენქსის მელოდიურ (მართალია, ერთმანეთის მსგავსი, მაგრამ მაინც) სიმღერებს ათწლეულებია მთელ მსოფლიოში ღიღინებენ. "უკანასკნელი 28 წლის განმავლობაში ჩემი მუზა ჩემი მეუღლეა", - თქვა გუშინ მუსიკოსმა, როდესაც ჰკითხეს თუ ვინ არის მისი მგრძნობიარე მუსიკის მუზა.

მაიკლ ფრენქსი თბილისში საკუთარ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა (ჩარლზ ბლენზიგი, კრის ჰანტერი, ჯეი ანდერსონი, ვილარდ დისონი, ვერონიკა ნუნი). ანუ იმ მუსიკოსებთან ერთად, რომლებიც ფრენქსთან უკანასკნელი თოთხმეტი წლის განმავლობაში თანამშრომლობენ. კონცერტი საათნახევრიანი უნდა ყოფილიყო, თუმცა ფრექნსის ჩვენებურ თაყვანისმცემლებს გაუმართლათ - მუსიკოსებმა დაგეგმილს ცოტა გადააჭარბეს. "შევასრულებ კომპოზიციებს ყველა ჩემი ფირფიტიდან. შევეცდები, წარმოვადგინო მთელი ჩემი შემოქმედება, რაც შეიძლება მეტი სიმღერა შევასრულო", - შეგვამზადა წინასწარ წლევანდელი თბილისის ჯაზფესტივალის უკანასკნელმა სტუმარმა.

ამერიკელი მომღერალი, კომპოზიტორი, მუსიკოსი (ასრულებს გიტარაზე, მანდოლინაზე, ბანჯოსა და ფორტეპიანოზე) მაიკლ ფრენქსი 70-იანი წლებიდან მოყოლებული პოპულარულია. არის პოპ-ჯაზკომპოზიციების ავტორი; მის სიმღერებს სხვადასხვა დროს ასრულებდნენ: მელისა მანჩესტერი, "მანჰეტენ ტრანსფერი" და ბევრი სხვა, ამ ჟანრით გატაცებული კოლექტივი თუ ცალკეული მომღერალი. თვითნასწავლი მუსიკოსი მაიკლ ფრენქსი ის იშვიათთაგანია თანამედროვე მსოფლიო მუსიკის სამყაროში, რომელიც სამუშაო დროს წლების განმავლობაში თანაბრად ანაწილებდა სცენასა და კათედრაზე. 60-იანი წლების დასასრულს კანადაში სწავლის გაგრძელებას მოჰყვა დისერტაცია თანამედროვე კულტურის თემაზე. 70-იანი წლების პირველ ნახევარში კითხულობდა ლექციებს თანამედროვე მუსიკაზე; მისი სადისერტაციო თემა იყო: "თანამედროვე სასიმღერო შემოქმედება და მისი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში". ფრენქსი ჰოლივუდში გადაღებული ფილმების - Count Your Bullets და Zandy's Bride-ის ავტორია. 80-იანი წლების ბოლოს ფრენქსმა იმუშავა მიუზიკლზე "ნოა ნოა", რომელიც პოლ გოგენის ცხოვრების მიხედვით შეიქმნა.

70-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული დღემდე ფრენქსის მუსიკალური სტილი განსაზღვრულია როგორც რომანტიკული, იოლად დასამახსოვრებელი მელოდია ჯაზური იმპროვიზაციით; მუსიკა, რომელიც ფართო მასებისთვის ათწლეულების განმავლობაში ერთობ მომხიბლავია.

# მუზეუმები ერთმანეთის დასაცავად გამოდიან

ნანა ბასილაშვილი

*კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გუშინ ჟურნალისტები მცხეთაში, "დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში" მიავლინა. მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი ახალი პროექტის ინიციატორად მოგვევლინა. ამიერიდან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული მუზეუმების ექსპონატები, პერიოდულად სწორედ მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში გამოიფინება. მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის და კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ინიციატივა, პირველყოვლისა ყველა ნაკლებად ცნობილი და, ამავე დროს, პოპულარული მუზეუმების კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას ითვალისწინებს.*

ქართულ სამუზეუმო ცხოვრებაში ეს პირველი პროექტია, რომლის ზოგადი სახელწოდებაა, "საქართველოს სამუზეუმო კოლექციების გამოფენები მცხეთაში". წელიწადში რამდენჯერმე მცხეთაში გაიხსნება საქართველოს სხვადასხვა მუზეუმების ფონდებში დაცული ის მასალა, რომელიც არ ყოფილა გამოფენილი, ან სხვადასხვა მიზეზთა გამო, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი.

"დღეს ძალიან ბევრ მუზეუმს უჭირს, სწორედ ამან გვიბიძგა, რომ ეს პროექტი დაგვეწყო. ამავე დროს, გვინდა რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მუზეუმებში დაცული ჩვენი ისტორიული ექსპონატები. აგრეთვე გვინდა რეკლამირება გავუწიოთ იმ მუზეუმებს, სადაც ხალმხრავლობა იშვიათია. დღეს შეიძლება ნაკლებად ეფექტური ექსპონატები წარმოვადგინეთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო", - ამბობს პროექტის ერთ-ერთი ავტორი "დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის" დირექტორი თემურ ბიბილური.

მცხეთის მუზეუმისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში, პირველ რიგში, თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი აღმოჩნდა. თიანეთის მუზეუმმა დაახლოებით 270 ექსპონატი წარმოადგინა. "ძირითადად, ჩამოვიტანეთ ეთნოგრაფიის ნიმუშები, არის აგრეთვე არქეოლოგიის ნიმუშებიც. ექპონატები რესტავრაციას დიდად არ საჭიროებს, რასაც ვერ ვიტყვით მათ პოპულარიზაციაზე. ამდენად, ეს ღონისძიება ნამდვილად სასიკეთოდ წაადგება, ჩვენს მუზეუმსა და მასში დაცულ ნიმუშებს. დღევანდელი დღეც, ალბათ, ამ ჩანაფიქრის მიხედვით მოეწყო, რომ ვინმესგან დახმარების ხელი მივიღოთ", - თიანეთის მუზეუმი სპონსორების იმედით ცხოვრობს. რამდენჯერმე მუზეუმი გაიძარცვა კიდეც, თიანეთის მუზეუმის დირექტორის ლელა ქიტესაშვილის თქმით, ბევრი ვერაფრის წაღება მოუხერხებიათ, თუმცა დანაკარგი, რასაკვირველია, მაინც არის.

მეორე ათასწლეულის დასასრულსა და პირველი ათასწლეულის დასაწყისის ბრინჯაოს ცული, შუბისა და ისრის წვერები, მშვილდსაკინძი, ქინძისთავი, სამკაულები, სპილენძისა და რკინის სხვადასხვა ნაკეთობები, ცულები, მარცვლების სალეწი კევრი, ჯაჭვის პერანგი, ქამარ-ხანჯალი, ხელით ნაქსოვი ხალიჩები და ა.შ. ბრინჯაოს ხანის ნაკეთობებისა და შედარებით ახალი, მე-19 საუკუნის ექსპონატების დათვალიერებისას სპეციალისტებმა აღნიშნეს კიდეც, რომ ბევრი მათგანი პირველად იხილეს. შეიძლება ჩაითვალოს, რომ პროექტის მიზანი გამართლებულია. მცხეთის მუზეუმი მრავალრიცხოვან სტუმრებთან ერთად ამერიკის კულტურისა და პრესის ატაშეს როენა კროს-ნაჯაფს მასპინძლობდა.

"გვინდა, რომ ის ლეთარგიული ძილი, რომელიც წლების განმავლობაში, საქართველოს რეგიონში არსებობდა, ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს. ეს კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. გვსურს, რომ ჩვენვე გავიგოთ და აღმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყანა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აქტივობა, რომელიც მხოლოდ თბილისში არსებობდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა განზოგადდეს და ტრადიციულად არსებულ ერთიან, აქტიურ ქვეყანად იქცეს. ამ ზოგადი ინიციატივის ფარგლებში ხდება კონკრეტულად მცხეთის მუზეუმის ინიციატივა, რომელიც, პირველ ყოვლისა, გულისხმობს, განსაკუთრებულად ცუდ მდგომარეობაში მყოფმა მუზეუმებმა აჩვენონ ის სიმდიდრე, რომლის მფლობელებიც არიან რეალურად. დღეს არის ამ გააქტიურების პროცესის დასაწყისი, რომლის მიზანია, ჩვენ და ჩვენმა შთამომავლობამ ვიცოდეთ, რისი პატრონები ვართ და რომ საქართველოს მუზეუმებში ჩვენი ქვეყნის დიდი სიმდიდრე ინახება.

თიანეთის მუზეუმის საცავებში დაცული ნივთები ორი თვის განმავლობაში მცხეთის მუზეუმში იქნება წარმოდგენილი. მისასვლელად საკმაოდ ადვილია და დასათვალიერებლად - საკამოდ საინტერესოა. საზოგადოებას ეძლევა საუკეთესო საშუალება, ნახოს საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის მუზეუმში დაცული უნიკალური ექსპონატები.

# ეროვნული ვარიაციები "კოკა-კოლაზე"

სალომე კიკალეიშვილი

*"კოკა-კოლას ბოთლი.*
*ძვ.წ. მესამე-მეორე ათასწლეული.*
*დმანისის ნაქალაქარი.*
*თიხა. სიმაღლე 110 სმ.*
*რეკონსტრუქცია.*
*კერძო კოლექცია." ეს დმანისში აღმოჩენილი უძველესი ბოთლის წარწერა არ გეგონოთ, ის "კოკა-კოლას" კონტურული ბოთლის კონკურსის გამარჯვებულს ამშვენებდა, რომელიც კომპანიის მიერ გამართულ აქციაზე დაჯილდოვდა პირველი პრემიით.*

ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა 1996 წელს ოლიმპიური თამაშებისთვის მთელი მსოფლიოდან ეროვნულ მოტივებზე შექმნილი "კოკა-კოლას" კონტურული ბოთლები შეიქმნა. მაშინ საქართველოში პირველად ქართულ მოტივებზე შექმნილი "კოკა-კოლას" კონტურული ბოთლი გაკეთდა და ყარამან ქუთათელაძის და გიორგი გორდეზიანის "ეროვნულმა კოკა-კოლამ" ოლიმპიურ ცეცხლთან ერთად, მთელი ევროპა შემოიარა. ახლა კი, წლევანდელ ოლიმპიურ თამაშებსაც ესტუმრება.

რაც შეეხება გუშინდელ აქციას, რომელიც კომპანიამ ვაკის პარკში გამართა, წარმოდგენილი იყო თვენახევრის მანძილზე, სტუდენტებისა თუ უკვე პროფესიონალ მხატვარ-დიზაინერთა მიერ შექმნილი "კოკა-კოლას" 35 კონტურული ბოთლი, ძირითადი მითითება კი ისევ იგივე - "კოკა-კოლას" ბოთლი ქართული, ეროვნული მოტივების გამოყენებით უნდა შექმნილიყო.

ერთადერთი ადგილი, სადაც აქციის დასაწყისში, პაპანაქება სიცხეში, შუაგულ პარკში შეკრებილი ხალხი ირეოდა, სწორედ ის გახლდათ, სადაც კომპანია უფასო გამაგრილებელ სასმელს - "კოკა-კოლას" და "ფანტას" არიგებდა. იქაური "ორომტრიალის" შემხედვარე, ახლოს მისვლის სურვილიც კი დაგეკარგებოდათ. უფასო სასმელის დამთავრებისთანავე "ორომტრიალი" საკონკურსო ნამუშევრებთანაც გაჩაღდა, მაგრამ მცხუნვარე მზემ, შედეგების დამღლელმა მოლოდინმა და "კოკა-კოლას" სარეკლამო რგოლის მუსიკამ, რომელიც მთელი აქციის მსვლელობისას, საათნახევარი ტრიალებდა, აბსოლუტური გამოშტერება გამოიწვია და აქეთ-იქით, ჩრდილში მიმოფანტა დამთვალიერებელი.

ხისგან, თექისგან, თიხისგან დამზადებული ბოთლები. წარმოდგენილ ნამუშევრებს შორის ორიგინალურობით ბევრი ნამდვილად არ გამოირჩეოდა. უმრავლესობაში ვარდი, როგორც ჩანს, ახალი ქართული მოტივი და ტრადიციული - ვაზი ფიგურირებდა. ზოგი ნამუშევარი საინტერესო კოლაჟს წარმოადგენდა, სადაც ფიროსმანის ნახატების გმირები "კოკა-კოლით" მომარჯვებულები ისხდნენ (სწორედ ამ ნამუშევარმა აიღო მეორე ადგილი) ზოგი კი, როგორც ფერები, ისევე ავტორისეული ვერსიის ბოთლიც, უგემოვნებობით გამოირჩეოდა, მაგრამ მასში აუცილებლად ფიგურირებდა ვარდი, რევოლუცია, ან საქართველოს ახალი დროშა. ზოგს საკუთარი ნამუშევრის რეკლამირებისთვის (ეს თავად აღნიშნა ერთ-ერთმა ავტორმა) კინტოს ფორმაში გამოწყობილი პატარა ბიჭი ჰყავდა დაყენებული ნამუშევართან, ზოგმა კი "ჩაკრულოც" შეუბერა. მეც გავხდი ერთ-ერთი ასეთი რეკლამის "მსხვერპლი" და პირველად, ღვინის თიხის თასიდან დავლიე "კოკა-კოლა", რომელსაც ჩემდა გასაოცრად, თითქოს ღვინის გემო გადაჰკრავდა, რაზეც - "სწორედ ამაშია ამ ჩანაფიქრის მთელი არსიო" - მივიღე პასუხად ავტორისგან. პირადად ჩემი (და არა მარტო ჩემი) სიმპათიები კი კონკურსზე დაგვიანებულად წარმოდგენილი მე-7 ნომრისკენ იხრებოდა, რომლის ავტორებიც სამხატვრო აკადემიის და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ: კახა ახობაძე და დათო ლაცაბიძე. მათ პენოპლასტისგან დაემზადებინათ დიდი "კოკა-კოლა",



ბესო გულაშვილის ფოტო

*წარმოდგენილ ნამუშევრებს შორის ორიგინალურობით ბევრი ნამდვილად არ გამოირჩეოდა.*

რომელიც მოზაიკურად მორთული იყო სხვადასხვა ჯიშის ლობიოებით, ბარდით, წიწიბურათი, ბრინჯით და სიმინდით. ამ მარცვლებით იქმნებოდა სვანური კოშკების, თუ ძველი ქართული სახლის აივნების კონტურები, თუმცა კომპეტენტურმა ჟიურიმ (რომელიც ქართველი დიზაინერ-მხატვრებით, და ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშეთი იყო დაკომპლექტებული) გია ბუღაძის ხელმძღვანელობით სულ სხვა ნამუშევარზე შეაჩერა არჩევანი, რასაც ზოგის სიხარული, ზოგი მონაწილის კი, იმედგაცრუებული სახე მოჰყვა. მესამე ადგილით და ფულადი პრემიით 200 აშშ დოლარით დაჯილდოვდა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი მანუჩარ ქორთუა, რომლის "კოკა-კოლაც" ჩოხა-ახალუხში გამოწყობილიყო, მეორე ადგილით და 300 აშშ დოლარით - რუსუდან გამყრელიძის და ნინო წოწორიას "კოკა-კოლიანი" ფიროსმანის ნახატებით გაწყობილი ბოთლი, ხოლო პირველი ადგილით და 1000 აშშ დოლარით ლევან ნაცვლიშვილის "არქაული, დმანისში აღმოჩენილი "კოკა-კოლა". გაბრწყინებულსახიანმა გამარჯვებულმა, რომელსაც უცებ დაესხნენ თავს მიკროფონიანი ჟურნალისტები, კითხვაზე -რაში გამოიყენებ მოგებულ თანხასო, კარგა ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა -"თქვენ ნუ ნერვიულობთ, რამეს მოვახერხებო".

**P.S.** მე კი, რადგან სტატიაში ვაკის პარკი ვახსენე, არ შემიძლია გულგრილად ჩავამთავრო წერა და ერთი მაინც არ ვიკითხო - რატომ? რატომ დგას შადრევანთან, ბუჩქებს უკან ამოფარებული ქალის პატარა ქანდაკება, რომლის შემხედვარე ყოველთვის გებადება კითხვა - რატომ? მაგრამ, პასუხს ვერასდროს ვიღებ. ფიგურა, რომელსაც ნამდვილად არაფერი ესაქმება იქ, სადაც პარკია და ბავშვები სეირნობენ. არასდროს გინახავთ? მაშინ ნახეთ და მერე თქვენც ჩემნაირი გახდებით და მის დანახვაზე მუდმივად იკითხავთ - რატომ?

# "ჩუმად" გახსნილი გამოფენა ხმამაღალი სახელით

თეა პაიჭაძე

გამოფენაზე ხშირად არ რიგდება მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ფერადი ბუკლეტები, ავტორთა ფოტოებითა და მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებით; მით უმეტეს, არ რიგდება მოზრდილი აფიშები, რასაც ამ დღეებში შეხვდებით "ქარვასლაში". აქ მისულისთვის თავიდანვე აშკარა ხდება გულუხვი სპონსორის არსებობა გამოფენისთვის, რომლის შესახებაც ერთობ ფართო და მრავლისმომცველი სახელწოდებით "საქართველო - ხელოვანთა ქვეყანა", ამაყად გვამცნობს უხვად გაკრული, ფერადოვნებით თვალშისაცემი აფიშები. მეც, პირველ რიგში, სიმართლე ითქვას, უფრო ამით დავინტერესდი, ვიდრე თავად ექსპოზიციით, რადგან ჩვენში ხელოვნების სფეროში მხოლოდ ახლა იწყებს დამკვიდრებას სპონსორობის თუ მეცენატობის ინსტიტუტი და სამწუხაროდ ხეირიანად ფეხი ჯერ ვერ აუდგამს. თუ სპონსორი გამოჩნდა კიდეც, მის როლში, ძირითადად, ხელოვანის მეგობარს ამოვიცნობთ ხოლმე, უფრო ხშირად კი საკუთარი ხარჯებით, ან სადმე გაჭირვებით (გაუჭირვებლდაც, თუ საშველად ისევ მეგობრები გამოდიან) მოპოვებული გრანტით ეწყობა გამოფენა თბილისში.

გალერეა "ქარვასლაში" ივნისის ბოლო დღეების მანძილზე დარბაზი დაეთმო ექსპოზიციას, რომლის მოწყობის ინიციატივით თავად გამოსულან ნავთობკომპანია BP და მისი პარტნიორები. დამეთანხმებით, სასიხარულო ფაქტია; პირდაპირ გულისამაჩუყებელიც გახდება, აფიშაზევე დატანილ ტექსტს რომ ჩაიკითხავ ორ ენაზე, როგორი "მდიდარი ტრადიციებისა და მრავალსაუკუნოვანი უნიკალური კულტურის ქვეყანაა" საქართველო და BP-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან დაკავშირების შემდეგ იმასაც გაიგებ, რომ გამოფენის მესვეურებს ჩვენი, მდიდარი ტრადიციებისა და კულტურის ქვეყნის თანამედროვე ხელოვნების წარდგენა სურდათ უცხოელი პარტნიორებისა თუ თანამშრომლებისთვის.

სანაქებო განზრახვაა! ჩვენ ხომ დაუსრულებლად უსახსრობას ვუჩივით; ქართული კულტურის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანის და პოპულარიზაციის პრობლემა ყოველთვის აქტუალურად კი გვიდგას, მაგრამ მისი გადაჭრის მცდელობები მხოლოდ ცალკეული შემთხვევების ხასიათს ატარებს, თანაც უფრო ცეკვასა და სიმღერას, ზოგჯერ თეატრსაც, გაცილებით ნაკლებად - კინოს, მაგრამ კიდევ უფრო იშვიათად ეხება სახვით ხელოვნებას. ამიტომაც იყო ერთი-ორად გასახარი, როცა შევიტყვე, რომ სწორედ სახვითი სფეროს "წამყვან თანამედროვე ხელოვანთა" (ფრაზა აფიშიდან) ნამუშევრებს დაეთმობოდა საგამოფენო სივრცე, მით უფრო, რომ ვერნისაჟის დამკვეთი დამთვალიერებელთა რიცხვის სიმრავლესაც თავის თავზე იღებდა, თანაც ყოველთვის ასე სასურველ უცხოელთა ხარჯზე. მაგრამ, ცოტა არ იყოს, დამაფიქრა სიტყვამ "წამყვანი" და მისი ხმარების შესაძლებლობამ ხელოვანთან მიმართებაში. ხმამაღალობასა და მაღალფარდოვანებაში, ერთი, რიგითი გამოფენის აფიშის მოკლე ტექსტს რომ ახასიათებდა, სადაც არა მარტო სახვითი ხელოვნების, არამედ ქართული ფოლკლორისა და არქიტექტურის შესახებაც კი მოიძებნა სიტყვა, დილეტანტიზმი იკითხებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ არაპროფესიონალიზმმა გამოფენასაც დაატყო კვალი და ის საკმაოდ ჭრელი და ეკლექტური გამოვიდა. სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა მასალაში (სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგშიც კი), განსხვავებული სტილით მომუშავე ავტორების თავმოყრა საამისოდ უკვე კარგ წინაპირობას წარმოადგენს. რაც არ უნდა ეცადო, ალბათ, ძნელია ასეთი "მასალით" საინტერესო, ძარღვიანი ექსპოზიცია შექმნა. მაგრამ საქმეც სწორედ ამაშია; როდემდე შეიძლება არ ვიფიქროთ, როდემდე შეიძლება კეთილ მისიას ამოფარებულებმა - მაყურებელთა სამსჯავროზე გამოვიტანოთ ხელოვანთა ნაღვაწი, დავიზაროთ ის საუკეთესოდ წარმოვაჩინოთ, შევუქმნათ ისეთი გარემო, ავურჩიოთ ისეთი "მეზობლები", რომ ბოლომდე გაგვეხსნას, ისე, ან თითქმის ისე დავინახოთ, როგორაც მხატვარმა ჩაიფიქრა? ექსპოზიციის მოწყობა ხელოვნებაა და მას ამ ხელობაში დაოსტატებული ხელოვნებათმცოდნენი უნდა უძღვებოდნენ. გასათვალისწინებელია მრავალი დეტალი: მასალა, სიუჟეტი, ნამუშევრის ზომა, ფერადოვნება, ზოგჯერ საჭიროა დარჩეს სივრცე ექსპონატებს შორის, გაკეთდეს პაუზა და ა. შ.

უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, კარგი გამოფენის წინაპირობად რომ უნდა იქცეს, სივრცეში ნამუშევრების განთავსებაზე ადრე დგება ორგანიზატორის წინაშე - ავტორებისა და ნაწარმოებების შერჩევა და მათი შესაბამისობა იდეასთან, რომელიც, თავის მხრივ, სარეკლამო განცხადებაზე მოცემულ სათაურში მარტივად უნდა ვლინდებოდეს, რასაც სამწუხაროდ, ამ გამოფენის ლამაზად დაბეჭდილ აფიშებზე ვერ ვიტყვით.

მთავარი პრობლემა სწორედ აქ იწყება და ჩვენც კიდევ ერთხელ ვადგებით უკვე არაერთგზის ნახსენებ კურატორობის საკითხს, უფრო სწორად კი, ასეთის პრაქტიკულად არარსებობას საქართველოში.

გამოფენის იდეა სწორედ ამ ახალ და ჩვენში ვერც მთლად ფეხმოკიდებულ გმირს - კურატორს უნდა ებადებოდეს, დღევანდელი დღე კარნახობდეს მას ამ იდეას, კონკრეტული მოვლენა ან პრობლემა - გამოფენა აქტუალური რომ გამოვიდეს და შემდეგ თავად უნდა არჩევდეს თემასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნაწარმოებებს, აგრეთვე სივრცესაც მნახველისთვის მათ მისაწოდებლად (კარგი საგამოფენო სივრცე თბილისში სამწუხაროდ ძალიან ცოტაა და ვეჭვობ, "ქარვასლა" მათ რიცხვში შედიოდეს). სინამდვილეში კი რა ხდება? "ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს". და გამოფენისთვისაც "საქართველო - ხელოვანთა ქვეყანა"(!) ნავთობკომპანიამ თავად შეარჩია ავტორები იმათ შორის, ვისთანაც პირადად ჰქონია ურთიერთობა, შემდეგ მათ სთხოვა დახმარება - "კომისიის გასაძლიერებლად". საბოლოოდ კი ვინ (რამ) განსაზღვრა "წამყვან თანამედროვე ხელოვანთა" სახელები? - ნაცნობ-მეგობრობამ; საქართველოში ამას უცხოელებიც ვერ გაექცნენ.

რაკი ზოგადად გვჩვევია სხვათა სახელით საუბარი, მეც ჩემს თავზე ავიღებ ამ პასუხისმგებლობას და გამოფენაში მონაწილე ხელოვანთა, მასპინძელთა ("ქარვასლას" და მის ერთ-ერთ დიასახლისს, ლიკა მამაცაშვილს ვგულისხმობ, რომელმაც თავის მხრიდან სასიკეთო წვლილი შეიტანა ექსპოზიციის გამართვაში), თბილისელ ხელოვნების ტრფიალთა, აგრეთვე, გავთამამდები და BP-ს თანამშრომელთა სახელითაც, რომლებზეც ასე ყოველმხრივად და მუდმივად ზრუნავს კომპანია, მას კიდევ ერთხელ გადავუხდი მადლობას, საკუთარი სურვილით ფული, პრინციპში, ძალიან ვიწრო წრისთვის განკუთვნილ და არცთუ კომერციული სფეროს - სახვითი ხელოვნების გამოფენის მოსაწყობად რომ გაიღო. მაგრამ რატომ ვერიდებით, ვანდოთ საქმე პროფესიონალებს, რატომ გვგონია, რომ ყველაფერი თავადაც შეგვიძლია ვაკეთოთ? ან ასეთი, მარილმოუყრელი სიკეთე გამოიღებს კი სასურველ შედეგს?

გამოფენის გამართვა, პირველ რიგში, მხატვრებს უნდა გახარებოდათ, რომლებსაც მოულოდნელად ამცნეს, რომ რეპრეზენტაბელურ ვერნისაჟზე მათი მხრიდან რაიმე ძალისხმევის გარეშე წარადგენდნენ ნაღვაწს. თითქოს ყოველთვის სასიამოვნო უნდა იყოს გამოიფინო, სხვა თუ არაფერი, "ანგარიშზე" ერთით მეტ ღონისძიებაში მონაწილეობა გექნება. მაგრამ, ჩანს, არც მთლად ასეა საქმე, ჩემს, ზოგადად, ხელოვნების მოყვარულთა და ქართული კულტურის ნამდვილ გულშემატკივართა გასახარად. რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ შემოქმედისთვის (ყველაზე ამას ვერ ვიტყვით) გამოფენა უინტერესო გახდეს? სწორედ ეს სიჭრელე, შეუკვრელობა, გაუმთლიანებლობა და, პრინციპში, გაუაზრებლობა გამოფენისა. იოლია, ზოგადი, მრავლისმომცველი სათაურის ქვეშ გააერთიანო ნამუშევრები, არ შეზღუდო არც გამოსახვის საშუალება, არც თემატიკა, არც სტილი, ჟანრი, მასალა, ან ავტორისა თუ ნამუშევრის ასაკი. გადამწყვეტია, რისი მიღწევა გაქვს დასახული. ზოგჯერ, შესაძლოა, ასეთი მიდგომა გამართლებული იყოს, გარკვეულწილად იქნებ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც, რაკი გამოფენის ერთ-ერთი მიზანი უცხოელთათვის თანამედროვე ქართული ვიზუალური ხელოვნების წარდგენა იყო. მაგრამ, შეიძლებოდა უფრო სათუთი მიდგომით ამის გაკეთება, მეტი სიფრთხილით შერჩევა ავტორებისა, რომელთათვისაც უცხოთა თუ შინაურთა წინაშე დღევანდელი ქართული ხელოვნების სახის ჩვენება ყოფილა დაკისრებული. ზოგიერთ მართლაც ცნობილსა და საინტერესო, თვითმყოფად, ვცდილობ, მოვერიდო ასეთ შეფასებებს, მაგრამ მაინც ვიტყვი - კარგ ავტორს, რომლის მხატვრული თვალსაზრისით ღირებული არაერთი ნამუშევარიც გვინახავს, აქ საუკეთესო ნამდვილად არ მოუტანია. საერთოდ რატომ მიიღეს შეთავაზება? მიზეზი ბანალურია: იქნებ გაყიდულიყო რამე და კარგადაც, რადგან გათვლა უცხოელებზე იყო. გახსნაც მხოლოდ მათთვის მოაწყვეს, "განდობილთათვის", "ჩუმად", საკუთარი თანამშრომლებიც კი შერჩევით დაპატიჟეს, თუმცა უცნობია, რა ნიშნით ჩატარდა ეს "შერჩევა". ჩანს, არ უყვარს დიდ კომპანიას ზედმეტი ხმაური. მაგრამ, მთავარია, რომ მათი კეთილი ნებით ეს ერთგვარი საჩუქარი-გამოფენა გაიმართა. თუმცა, ხელოვანების გულის დასაწყვეტად ბევრი არაფერი გაყიდულა. პირადად მე, ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კვლავ ვერნისაჟის ასეთი სახით მოწყობას დავასახელებდი, რომელზეც ვერც მაინცდამაინც კარგი ნამუშევრები შემოგვთავაზეს და ვერც მათი საუკეთესო კუთხით წარმოჩენა შეძლეს.

კვლავ კითხვა, რატომ არ იყო დიდი ენთუზიაზმი ჩვენში სახელმოხვეჭილ და უკვე საქართველოს ფარგლებს გარეთაც ცნობილ ხელოვანებში? "არ ითვლება გამოფენად", - იყო ერთის პასუხი, ან: "არ მიყვარს ქართული გამოფენები". ვერ შეედავები. და თუ ეს აზრი ხმამაღლა დაფიქსირდა, იქნებ შეიცვალოს რამე. იქნებ მიეცეთ მუშაობის საშუალება პროფესიონალებს, იქნებ გაუჩნდეს ახალ თაობას სურვილი დაეუფლოს ხელოვნებისგან უკვე განუყოფელ არტმენეჯერობის ხელოვნებას, რომ იქნებ დადგეს "საქართველოში - ხელოვანთა ქვეყანაში" ხელოვნების ახლებურად დღესასწაულის ჯამი.


თეა პაიჭაძის ფოტო

"ქარვასლაში" ივნისის ბოლო დღეების მანძილზე დარბაზი დაეთმო ექსპოზიციას, რომლის მოწყობის ინიციატივით თავად გამოსულან ნავთობკომპანია BP და მისი პარტნიორები

# კიჩის მეფე

## რუსები წერეთლის რეპატრიაციას ითხოვენ



ნინო ჭანიშვილი

ყოველ ცისმარე დღეს ღმერთს მადლობას უნდა ვწირავდეთ, რომ ზურაბ წერეთელი საქართველოში არ მოღვაწეობს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა ფეიერვერკი იქნებოდა, თბილისის არქიტექტურულ ანარქიას ბატონი ზურაბის მონუმენტური კიჩიც რომ დამატებოდა. მართალია, წერეთელი თბილისის ზღვაზე "საქართველოს ისტორიას" - კოშმარული კოლონადების ხროვას აშენებს, მაგრამ წერეთელიზაციის თვალსაზრისით, მაინც გადარჩენილები ვართ.

აი, რუსული საზოგადოების პროგრესული ნაწილი კი, ნამდვილად შავ დღეშია. მოსკოვის მთავრობის კეთილგანწყობით, მოქანდაკემ მოსკოვი სრულად გარდასახა.

კულტუროლოგი იგორ გოროდეცკი წერილს უგზავნის ჩვენს პრეზიდენტს (გამოქვეყნებულია საიტზე apn.ru) და წერეთლის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას სთხოვს. ავტორი სააკაშვილს ურჩევს მისი გონებამახვილური საკადრო სტრატეგია სალომე ზურაბიშვილზე და კახა ბენდუქიძეზე არ შეჩერდეს და კულტურის მინისტრად წერეთელი მიიწვიოს. პრეზიდენტს მოქანდაკე არა მხოლოდ კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში გამოადგება, არამედ განვითარებულ ქვეყნებზე დიპლომატიური ზეწოლის საშუალებადაც (ამერიკას 600 ტონიანი კოლუმბის ძეგლით აშინებდა). გარდა ამისა, გოროდეცკი ჰპირდება პრეზიდენტს, რომ ოჯახებში წესრიგი და დისციპლინა დაისადგურებს. ქართველი დედები წერეთლის ქმნილებებით უწესო ბავშვებს დააშინებენ. ამას გარდა, წერეთლის თბილისში მოპატიჟებით, პრეზიდენტი და მისი ქალაქი ისტორიაში შევლენ ურიცხვი ცხენოსანი თუ ფეხოსანი ქანდაკებებით.

### მუქარის წერილი რედაქციას

წერეთელი და მისი მომხრეები ამერიკელებსაც გვარიანად აფრთხობენ. მოქანდაკე წელს, 11 სექტემბერს, ამერიკის დროით 9 საათსა და 15 წუთზე "მწუხარების ცრემლის" გახსნას აპირებს ჯერსი-სიტიში. ათსართულიანი შენობის სიმაღლის სკულპტურული კომპოციზია ჰუძონის სანაპიროზე, იმ ადგილის მოპირდაპირე მხარეს აშენდება, სადაც 2001 წელს ტერაქტი მოხდა. ბრინჯაოს ჩარჩოში ტიტანის ცრემლი იქნება მოთავსებული, საიდანაც წყალი გადმოვა. კომპოზიციის საფუძველში კი დაღუპულთა სახელები იქნება ამოკვეთილი.

ქალაქის ხელმძღვანელობა აღფრთოვანებულია წერეთლის პროექტით. მათ განსაკუთრებით ის ხიბლავთ, რომ "მწუხარების ცრემლი" უფასოდ იტირებს. მონუმენტის დამზადების მთელ ხარჯს წერეთელი თავად გაიღებს და ეს იქნება რუსეთის მთავრობის საჩუქარი ამერიკელი ხალხისადმი. მაგრამ, პროექტი ჯერსი-სიტის მცხოვრებლებს არ მოსწონთ. ქალაქში საზოგადოებრივი მოძრაობა აგორდა "მწუხარების ცრემლის" წინააღმდეგ, რომელიც არანაირად არ ჯდება ჯერსისიტის განაშენიანებაში.

მისი ახალი პროექტი, რა გასაკვირია და "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტს სიუზენ გლასერსაც არ მოუვიდა თვალში და რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა სტატია Controversial From Moscow to Hudson. ჟურნალისტი წერს, რომ "მწუხარების ცრემლი" ყველაზე საკამათო და ხმაურიანი იქნება წერეთლის ბიოგრაფიაში. იგი თავის სტატიაში ცდილობს რუსი კრიტიკოსების დახმარებით წერეთლის ფენომენი ამოიცნოს. ამ ფენომენს მოსკოვის არქიტექტურის მუზეუმის დირექტორმა დავით სარქისიანმა "კიჩის გენია" უწოდა. სიუზენ გლასერი ზურაბ წერეთელს მოსკოვურ მანქანების საცობში შეხვდა. სტატია ასე იწყება: "რომელ მხატვარს აქვს იმის საშუალება, რომ "როლსროისით" იაროს? მაგრამ, წერეთელი ვინმე მხატვარი არ გეგონოთ". ჟურნალისტს არც მოოქროვილი ხელის ტელეფონი და არც ძალიან დიდი ზომის ოქროს "ზაპონკები" გამორჩა მხედველობიდან, რომელიც კიჩის მეფეს მანჟეტებიდან მოუჩანდა.

"ვაშინგტონ პოსტის" სტატიაზე სასტიკად განრისხდნენ წერეთლის მომხრეები. იუნესკოს მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ედუარდ დრობიცკიმ და რუსეთის სამხატვრო აკადემიის სწავლულმა მდივანმა მიხეილ რიუმინმა სიტყვის თავისუფლების ქვეყანაში, რედაქციის სახელზე საპროტესტო წერილი გააგზავნეს. წერილის შინაარსი დაახლოებით ასეთია - "ვის უბედავთ?!!!". წერილში წერეთლის რეგალიების მთელი ნუსხაა – ამერიკის, საფრანგეთის, ესპანეთის, ყირგიზეთის და სხვა და სხვათა სამხატვრო აკადემიების წევრი და პროფესორი, იუნესკოს კეთილი ნების ელჩი და სხვა მრავალი. სოციალისტური შრომის გმირობა და ლენინის პრემიის ლაურეატობა კი გამორჩენიათ.

ამ ამბის მთელი "კაიფი" ის არის, რომ ამ მეტად პატივსაცემმა გაზეთმა რუსთა მუქარის წერილი გამოაქვეყნა. რუსი კრიტიკოსები კი მხოლოდ ხარობენ და ერთმანეთს ულოცავენ, რომ "მწუხარების ცრემლი" არა მათ დედაქალაქში, არამედ ჯერსი-სიტიში ალიმართება. წერეთელი, ხომ იმ ცრემლებს აქანდაკებს, რომელიც მოსკოველებმა 2001 წლის 11 სექტემბერს დაღვარეს.

### მეფე

მას სრულებითაც არ ადარდებს კრიტიკოსების კრიტიკა. დიდი ხანია, რაც რუსი კრიტიკოსების სასოწარკვეთილ თუ შეურაცხმყოფელ გამოსვლებს ყურადღებას აღარ აქცევს და თავს ინჟინერ გიუსტავ ეიფელს ადარებს.

წერეთლის გიგანტომანიას ზოგიერთები ფსიქიკურ აშლილობამდე მიჰყავს. როცა ციკლოპური პეტრე I აღიმართა, მოქანდაკის მოწინააღმდეგეთა ერთი ჯგუფი გიგანტური მონუმენტის აფეთქებას ლამობდა. ზოგიერთებს კი კიჩის გენია უიმედო დეპრესიაში აგდებს. ზემოთ ნახსენებ სტატიაში მწერალი ოლგა კაბანოვა ამბობს: "ყოველ წელს სულ უფრო რთული ხდება წერეთელზე საუბარი. ის იქცა არა უბრალოდ სკულპტორად, არამედ თავისებურ ბუნებრივ მოვლენად. როცა მთელი თვე გადაუღებლად წვიმს, შეიძლება გააკრიტიკო ბუნება, მაგრამ თუ მთელი წელი იწვიმებს, ამას უკვე კლიმატს უწოდებ. ამ მოვლენას, ჩვეულებრივ, სტოკჰოლმის სინდრომს უწოდებენ. ჩვენ ყველანი მძევლების როლში ვართ, რომლებიც დროთა განმავლობაში სიყვარულით იმსჭვალებიან თავიანთი ველური მბრძანებლისადმი".

მე კი მგონია, ზურაბ წერეთელი მაგრად ხალისობს და ყველას ელადავება; ამერიკელებს მოსკოვურ ცრემლებზე აატირებს. პეტრე I არა ნევაზე, არამედ მოსკვარეკაზე დაუდგა მოსკოველებს. პუტინს სიცოცხლეშივე საფლავის ქანდაკება გაუმზადა. მეტროს სადგურში "გამარჯვების პარკი" გულუხვობა გამოიჩინა და ისტორიულად მიღებული ერთი თვალის ნაცვლად, კუტუზოვს ორი ჯანმრთელი თვალი დაუხატა. ურუგვაელ ხალხს იური გაგარინის ქანდაკება აჩუქა. ხოლო მოსკოვის მომავალ დისნეილენდში "სულის განწმენდის ტაძრის" აშენებას აპირებს.

# სიმპათიური ობობას ქსელში

კიდევ ერთი მსოფლიო პრემიერა თბილისში – გვესმის ტელეეკრანებიდან, ვკითხულობთ კინოაფიშებზე და ვგულისხმობთ ფილმს "კაცი-ობობა-2", რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა დიდ ეკრანზე და მათ შორის, ჩვენთანაც, პირველად დღეს უჩვენებენ.

მას შემდეგ, რაც კაცმა-ობობამ თავისი პირველი ფილმით მთელი მსოფლიო გააბა მახეში, მეორე ფილმს ამის გაკეთება არ გაუჭირდება. უკვე წერენ იმასაც, რომ ის დაჯაბნის კანის ფესტივალის მთავარი პრიზით დაჯილდოებულ, მაიკლ მურის დოკუმენტურ ფილმსაც, რომლის პრემიერაც წინა პარასკევს გაიმართა ამერიკაში და რომელიც უიკენდის ბლოკბასტერიც გახდა.

ასე რომ, ობობა დღეს ათობით ქვეყნის დასატყვევებლად ქსელის გაბმას იწყებს. ჟურნალისტების მტკიცებით კი, სემ რაიმის ახალი ფილმი იმ აზრის გასაპროტესტებლადაც გამოდგება, რომ, როგორც წესი, მეორე სერია პირველს ბევრად ჩამოუვარდება. "კაცი-ობობა-2" პირიქით არის – ის პირველი ნაწილის ღირსეული გამგრძელებელია.

მეორე ფილმში პიტერ პარკერი (ტობი მაგუაიერი), რომელსაც გენეტიკურად მოდიფიცირებული ობობა უკბენს და უცნაური "ნიჭით" დაჯილდოვდება, მრავალ საგმირო საქმეს ჩაიდენს.

უკვე ორი წელია გასული მას შემდეგ, რაც მან თავისი გაორებული ბუნების შესახებ შეიტყო, შეყვარებული, მერი-ჯეინი (კირსტენ დანსტი) მიატოვა და გადაწყვიტა, გმირულად ეტვირთა ობობად ყოფნის ბედი. მაგრამ, ბიჭი თანდათან ხვდება, რომ ძალიან ძნელია, იყო ობობა. ის ცდილობს, როგორმე ერთმანეთს შეუთავსოს თავისი ორი "მე" – კარგი ობობაც იყოს, კოლუმბიის უნივერსიტეტშიც ისწავლოს, პიცის დამტარებელ ბიჭადაც იმუშაოს და თან, როგორმე მერი-ჯეინს თავისი საიდუმლოც გაანდოს. მოკლედ,



მაგუაიერის გმირს რთული მისია აკისრია. ამას ემატება საუკეთესო მეგობარი ჰარი ოსბორნიც, რომელსაც მამა ბოროტმა ობობამ მოუკლა და ახლა პიტერ პარკერზეა განრისხებული.

გარდა შინაგანი და მორალური ბრძოლებისა, პიტერ პარკერი რეალურ ომებშიც აქტიურადაა ჩაბმული. მისი მთავარი მტერი მრავალფეხიანი "დოკ-ოკია" (ალფრედ მოლინა). მთელი ფილმის განმავლობაში ტობი მაგუაიერი მასთან ერთად ნიუ იორკის ცემენტის უდაბნოში დაქრის, იბრძვის და სანახაობების მოყვარულ მაყურებელს დიდ სიამოვნებას ჰპირდება. რეჟისორის თქმითაც, "კაცი-ობობა-2"-ში გაცილებით უფრო მეტი სპეცეფექტი და ტრიუკია, ვიდრე პირველში. ნიუ იორკი კი ბრძოლის ველის სტატუსს შესანიშნავად ერგება. ეკრანზე ხან კრაისლერის ცათამბჯენი ჩანს მსხვილი პლანით, ხანაც მთელი მანჰეტენის პანორამა. რაც შეეხება სპეცეფექტებს, მათი მოყოლა არ ღირს, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა მოსმენილს ნანახის ჯობია.

ერთი სიტყვით, მთელი გადამღები ჯგუფი, სემ რაიმის მეთაურობით, 2004 წლის ზაფხულისგან ტრიუმფალურ გამარჯვებას ელის. მაგუაიერის აბლაბუდაში მაყურებლების გაბმა ხომ მილიონობით დოლარის მოგებას ნიშნავს. მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ ობობას პირველმა ფილმმა მხოლოდ პრემიერის უიკენდზე 100 მილიონი დოლარი მოიტანა და ბლოკბასტერის სტატუსიც დიდ ხანს შეინარჩუნა. ახლა იგივე შედეგს "კაცი-ობობასგან" ელიან. ჰოლივუდური სპეცეფექტების მოყვარულ პუბლიკას კი ფრიად მძაფრსიუჟეტიანი ზაფხული ელის – ტობი მაგუაიერის ტრიუკების გარდა ხომ ახლახან "შრეკი-2"-იც გამოვიდა. ამ ფილმის პრემიერას ლონდონში, ლესტერ სკვერზე ჯგუფ "ოაზისის" ლიდერი ტყუპისცალი – ლიამ გალაჰერიც დაესწრო თავისი მეუღლით.

ერთი სიტყვით, მაიკლ მური თავისი პოლიტიკური თრილერით იძულებული გახდება, აპოლიტიკური სუპერგმირებისგან გაუძლოს დიდ შემოტევას. ეს "ორთაბრძოლა" იმასაც დაგვანახებს, თუ რა უფრო ფასობს ამერიკაში – "კრაისლერის" ცათამბჯენზე მფრინავი გამოგონილი პერსონაჟებით გამართული შოუ, თუ პოლიტიკურ-ტერორისტულ-კრიმინალური შოუ რეალური პერსონაჟების მონაწილეობით.

რაგბი

# მალიორკა თბილისია?

## საქართველოს ნაკრებს მალიორკაზეც იგივე მეტოქეები ერგო, რაც თბილისში ჰყავდა

პაატა თოთაძე

კიევის შვიდკაცას შემდეგ ევროპული რაგბის მმართველმა ორგანომ FIRA-AER-მა ორ კვირაში მალიორკაზე გასამართი ევროპის სერიის ფინალური და მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა მოაწყო და მონაწილე 16 გუნდს ოთხ სხვადასხვა ჯგუფში მიუჩინა ადგილი.

გაისად, მარტში, ჰონგკონგში გასამართ მსოფლიო თასზე 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. 13-ის ვინაობა უკვე ცნობილია. აქედან ცხრამ ეს უფლება ავტომატურად მოიპოვა. ესენი არიან ჰონგკონგი (მასპინძელი) და წინა მსოფლიო თასის პრიზიორები - ახალი ზელანდია, ავსტრალია, ფიჯი, არგენტინა, ინგლისი, სამოა, სამხრეთ აფრიკა, კანადა. ურუგვაიმ, ამერიკამ, ტონგამ და კენიამ კი საკვალიფიკაციო ტურნირის მოგებით ამ ცოტა ხნის წინ გაინაღდეს ჰონგკონგში თამაშის უფლება.

დარჩენილია 11 გუნდი, რომელთა ვინაობა ახლო მომავალში გაირკვევა. ევროპა თავის რჩეულებს 17-18 ივლისს გამოავლენს მალიორკაზე. ესპანეთში მოთამაშე 16 გუნდი ევროპის სერიაში წარჩინებულებმა შეადგინეს. დებულების თანახმად, თითოეულ გუნდს, სულ მცირე, ორ ტურნირზე უნდა მიელო მონაწილეობა. სწორედ ამ ტურნირებზე ნაჩვენები საერთო შედეგით ირკვეოდნენ ის გუნდები, რომლებსაც მალიორკაზე თამაშის უფლება მიეცემოდათ. საქართველოს ნაკრებმა ესპანეთში თამაში მისთვის პირველივე ეტაპზე - თბილისის შვიდკაცაზე გაინაღდა. კენჭისყრის შედეგად ქართველები D ჯგუფში მოხვდნენ შოტლანდიის, მოლდოვისა და უკრაინის ნაკრებებთან ერთად. სამივე გუნდთან ბორჯღალოსნებს არაერთხელ უთამაშიათ (თბილისის შვიდკაცაზე სამივე საქართველოს ნაკრებთან ერთ ჯგუფში იყო) და ყველასთან დადებითი ბალანსი აქვთ, თუმცა, ეს, ალბათ, ბევრს არაფერს ნიშნავს, როცა მსოფლიო თასის საგზურს ეხება საქმე. უკრაინელებს სადაც შევხვდით, იქ მოვუგეთ. არც შოტლანდიელებს ვაყარეთ კარგი დღე თბილისის შვიდკაცაზე. მოლდოვასთან კი, ბევრისთვის გასაოცრად, დავმარცხდით, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოლდოვა ნამდვილად არაა ისეთი გუნდი, რომლის დამარცხება საქართველოს ნაკრებმა ვერ მოახერხოს. მეტიც, ჩვენთან მათი გამარჯვება სენსაციად მოინათლა და მეორედ ბორჯღალოსნები ამის საშუალებას, ალბათ, არ მისცემენ მეტოქეს.

"ბუნებრივია, რთული ასპარეზება გველის, თუმცა, ჩვენი ნაკრების პოტენციალიდან და აქამდე ნაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე, მსოფლიო თასის საგზურის მოპოვება უნდა შევძლოთ. მეტიც: ჩვენ მუდამ გამარჯვებაზე ვფიქრობთ და მალიორკაზეც მარტო საგზურისთვის კი არა, პირველობისთვის ვითამაშებთ", - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა ზაზა ლეჟავამ.

A ჯგუფში ითამაშებენ იტალია, რუმინეთი, ესპანეთი და ხორვატია. B ჯგუფში - პორტუგალია, რუსეთი, პოლონეთი და ჩეხეთი, ხოლო C ჯგუფში - ირლანდია, საფრანგეთი, გერმანია და ლიტვა. ევროპა მსოფლიო თასზე რვა გუნდით უნდა იყოს წარმოდგენილი. რაკი ინგლისის ნაკრებმა წინა მსოფლიო თასზე ნაჩვენები კარგი შედეგის გამო ავტომატურად მოიპოვა ჰონგკონგში თამაშის უფლება, მალიორკაზე შეკრებილთაგან მხოლოდ შვიდი საუკეთესო მიიღებს მსოფლიო თასის საგზურს.

ამასობაში ნაწილობრივ დადგინდა ერთა თასის მომავალი გათამაშების კალენდარი. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჯერჯერობით მხოლოდ რუმინეთმა დაადგინა, ვის როდის ეთამაშება. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ერთადერთი ისაა გარკვეული, რომ წლეულს, ნოემბერში, რუსეთს ვესტუმრებით. მერე ვის ვეთამაშებით, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, მალე, ალბათ, ესეც გახდება ცნობილი.

მკლავჭიდი

# მედლების მჭიდი მკლავჭიდელებისგან

რა ხანია, ქართველი მკლავჭიდელები მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატებზე მეტოქეებს ბდღვირს ადენენ, მედლებსაც მრავლად იხვეჭენ... ერთი სიტყვით, წარმატებები არ აკლიათ. ახლაც, ორიოდე დღის წინათ, პოლონეთის ევროპის ჩემპიონატიდანაც (21-28 ივნისი) მედლებით დაგვიბრუნდნენ. სამი ოქრო, ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო - ასეთია ქართველთა მონაგარი. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ალექსი ფერწუაშვილს, რომელმაც მარჯვენათი იმარჯვა, ხოლო რომან ცინდელიანმა - მარჯვენათიც და მარცხენათიც. ვერცხლის მედლები ერგოთ მალხაზ ხვედელიძეს და ერეკლე გურჩიანს. გურჩიანი, რომელიც მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონია, პოლონეთშიც გამარჯვებას იმსახურებდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, მსაჯებმა "დაწვეს". ერთადერთი "ბრინჯაო" გიორგი ალბუთაშვილმა მოიპოვა.

მკლავჭიდელთა ფედერაციის ხელმძღვანელს სურს, 2006 წელს საქართველომ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლოს. ეს ასე იქნება თუ არა, გადაწყდება ნოემბერში, სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას, როგორც ჯაჭვლიანისგან შევიტყვეთ, იგი საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი მეძმარიაშვილისა და თბილისის მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი უდესიანის დამსახურება ყოფილა.

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 1 ივლისი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
06:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ბილ უოლტონი
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1982.. ყველა ვარსკვლავთა მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი სეზონის გახსენება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. "აიაქსი" - პსვ
15:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფინალი. "ფლამენგო" - "სანტო ანდრე". საპასუხო მატჩი
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "სპარტაკი" - "არსენალი"
17:45 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
18:15 განვლილი სეზონის გახსენება. პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" - "ბოავიშტა"
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფინალი. "ფლამენგო" - "სანტო ანდრე". საპასუხო მატჩი
22:05 "FUTBOL MUNDIAL"
22:35 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მანჩესტერ სიტი"
00:20 "დარტყმა გოლისთვის"
00:35 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
01:05 01:05-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "SACRAMENTO KINGS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS"

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 15:40, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ვაჟები. მეოთხედფინალები
13:35 "ათენის გზაზე"
14:40 ფიგურული სრიალი. სკოტ ჰამილტონის შოუ
15:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალები. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 პროგრამა. "რუსეთის საუკეთესო ჰოკეის გუნდები". გადაცემა მეხუთე
22:00 როდეო. "Bull Riders"
22:45 მოტოსპორტი. რუსეთის ჩემპიონატი ქანთრიქროსში. მეორე ეტაპი
23:45 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ფინალი აშშ-ში. მეორე ნაწილი
00:15 ახალი ამბები
00:30 "დიდი თავგადასავალი ბორნეოზე". ნაწილი მესამე

**EUROSPORT**
09:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
09:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
10:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
10:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
11:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
11:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი პოლონეთში
12:30 მოტორბოლები - T.T Races
14:00 მულტისპორტი
14:15 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
14:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
15:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების კლასიკა
16:00 მძლეოსნობა. გრან-პრი ხორვატიაში
17:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები
18:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
19:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები
20:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
21:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
22:00 ფეხბურთის სიახლენი
22:15 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში"
23:15 კრივი
01:00 ტხეკვანდო. ევროპის ჩემპიონატი ნორვეგიაში
01:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
01:45 ახალი ამბები
02:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
02:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
02:45 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
03:15 ახალი ამბები

ოლიმპიადა

# ათენის გზაზე



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ათენის ოლიმპიადის წინ ალმასკომის ბოლო სხდომა გამართა*

გუშინ სასტუმრო "მეტეხში" გაიმართა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სხდომა. ეს იყო ბოლო შეკრება ათენის ოლიმპიური თამაშების წინ. სხდომაზე ისაუბრეს ზაფხულის 28-ე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

ათენში საქართველოს ღირსებას 30 სპორტსმენი დაიცავს. ისინი სპორტის 9 სახეობის 11 დისციპლინაში მიიღებენ მონაწილეობას. ყველაზე ფართო სპექტრით, ტრადიციულად, ჭიდაობის სახეობებია წარმოდგენილი. სპორტსმენთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუ მძლეოსნობაში საქართველო ლიცენზიას მიიღებს. არსებობს შანსი, რომ მძლეოსნობაში საქართველო ორი სპორტსმენით იქნეს წარმოდგენილი - ერთი ვაჟითა და ერთი ქალბატონით. ამ შემთხვევაში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა ოთხით გაიზრდება - ორი სპორტსმენითა და ორი ოფიციალური პირით.

დღეისთვის ჩვენი ქვეყნიდან აკრედიტაცია 77 პერსონას აქვს მიღებული. ქართველ სპორტსმენთა საშუალო ასაკი 25 წელია. ამათგან მინიმალური 17, მაქსიმალური კი 35 წელი. დელეგაციის შემადგენლობაში 30 სპორტსმენი, 24 ოფიციალური პირი და 11 ჟურნალისტია. სპორტსმენთაგან ყველაზე მაღალი მამაკაცი - 194 სმ-ია, ყველაზე მაღალი ქალი კი - 176. ყველაზე მძიმე 128 კილოგრამს იწონის.

შეჯიბრებაში პირველად ძიუდოისტები ჩაებმებიან და, ბუნებრივია, მათი მზადების პროცესმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

**შოთა ხაბარელი - საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:** "ძიუდოისტთა ნაკრები ოლიმპიურ თამაშებზე სრული შემადგენლობით წავა. ევროპაში ასეთი პატივი მხოლოდ სამ გუნდს - საფრანგეთს, რუსეთსა და საქართველოს ერგო. მომზადების პროცესი გეგმის ფარგლებში მიმდინარეობს. ჩვენ ყველა დაგეგმილ ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა. ახლა გუნდი ბაკურიანშია შეკრებაზე, შემდეგ კი ბორჯომში გადავინაცვლებთ. ბოლოს თბილისში ჩამოვალთ და ათენის გზას გავუდგებით. მოჭიდავეები კარგ ფორმაში არიან და იმედი გვაქვს, ერთ ოქროს მედალს მაინც ჩამოვიტანთ. ყველაზე უფრო ზურაბ ზვიადაურის გვეიმედება. არის შანსი, რომ 90 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოვიგოთ".

ქართველთა მთავარი იმედი ოლიმპიურ თამაშებზე ჭიდაობის სახეობებს ემყარება. სწორედ აქ აპირებენ ჩვენი თანამემამულეები მედლების მაქსიმალური რაოდენობის მოპოვებას.

**ზაზა თურმანიძე - თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდის მთავარი მწვრთნელი:** "ჩვენ 6 ლიცენზია გვაქვს. გუნდმა ყველა საკონტროლო შეკრება გაიარა და ამ მხრივ პრობლემა არ გვქონია. ვიასპარეზეთ ორ ევროპის ჩემპიონატზე. 6-დან 4-მა მედალი მოიპოვა. ოლიმპიური თამაშებისთვის ექვსივე ფალავანი საუკეთესო ფორმაში იქნება. გუნდმა ლიკანში გაიარა შეკრება, ახლა კი ბაკურიანშია. საბერძნეთში გამგზავრებამდე ურეკში კიდევ ორი შეკრება გვაქვს დაგეგმილი. დაღესტნის საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირში გუნდმა ორჯერ იასპარეზა და ელდარ კურტანიძემ ორჯერვე ოქროს მედალი მოიგო. ერთხელ საუკეთესო შედეგი დავით პოღოსიანმაც აჩვენა. ელდარმა დაამტკიცა, რომ დღეს უძლიერესია მსოფლიოში და ეს გვაფიქრებინებს, რომ მას ათენში ოქროს მედლის მოპოვების რეალური შანსი აქვს".

**ბეგი დარჩია - ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა გუნდის მთავარი მწვრთნელი:** "იმედი გვქონდა, რომ ათენში 7 სპორტსმენით წავიდოდით, მაგრამ ბადრი ხასაიამ ლიცენზია ვერ მოიპოვა. სამწუხაროდ, მას ტრავმა ჰქონდა, რის გამოც იძულებული გავხდით, ოპერაცია გაგვეკეთებინა. ასე რომ, ათენში ხასაიას გარეშე მოგვიწევს ასპარეზობა. ერთი კვირაა, გუნდი ბაკურიანში ვარჯიშობს. შემდეგ მზადებას ურეკში გააგრძელებს. გეგმიურად ვემზადებით, რისთვისაც მინდა ყველას მადლობა გადავუხადო. ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე დაგეგმილი გვაქვს, პოლონეთის საერთაშორისო ტურნირში მივიღოთ მონაწილეობა".

**ზურაბ კახაბრიშვილი - ოლიმპიური ნაკრები გუნდის მთავარი ექიმი:** "ათენში წასვლის წინ ყველა სპორტსმენს დოპინგზე შევამოწმებთ, რომ ამასთან დაკავშირებით ზედმეტი კითხვები არ გაჩნდეს. ახლა ბაკურიანში ემზადება რამდენიმე სპორტსმენი, რომელთა ფიზიკური მდგომარეობა სასურველისგან შორს არის. ამიტომ შევეცდებით, ოლიმპიადის დაწყებამდე ყველა მათგანის ფიზიკური მდგომარეობა სასურველ დონეზე ავიყვანოთ. ოთარ თუშიშვილს ხელი გაებზარა და უკვე ერთი კვირაა, თაბაშირში აქვს. ალექსი მოდებაძემ ორი თვის წინათ ნეკნის ტრავმა მიიღო. 10 დღეში გადაწყდება, დავუშვებთ თუ არა მას ვარჯიშებზე. ტრავმა საგანგაშო არ არის და იმედი გვაქვს, მოდებაძე ოლიმპიური თამაშებისთვის ფორმაში იქნება".

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა განაცხადა, რომ კრივის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მოკრივეთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელ თენგიზ მესხაძეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭოს.

**თენგიზ მესხაძე - საქართველოს მოკრივეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი:** "ოლიმპიურ თამაშებზე ორი მოკრივით ვიქნებით წარმოდგენილნი - ნიკოლოზ იზორია და კონსტანტინე კუპატაძე. ორივე კარგ ფორმაშია და ახლა ბაკურიანში ემზადება. იქიდან რუმინეთში გადავინაცვლებთ შეკრებაზე. აგვისტოში კი უკრაინაში ჩავალთ და იქაურ ნაკრებთან ერთად ვივარჯიშებთ. შევეცდებით, ათენის რინგზე მაქსიმალურ შედეგს მივაღწიოთ".

ოლიმპიური მედლის მოპოვების კიდევ ერთ კანდიდატად ძალოსანი გიორგი ასანიძე მოიაზრება. მისი მთავარი მეტოქე ათენში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ბერძენი დიმასი იქნება.

**რამაზ გურგენიძე - საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი:** "ორი ლიცენზია მოვიპოვეთ. ათენში იასპარეზებენ გიორგი ასანიძე და არსენ კასაბიევი. ასანიძე ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია. დღემდე ის დოპინგზე არავის შეუწუხებია, მაგრამ შეიძლება შეაწუხონ, რადგან მისი უმთავრესი მეტოქე დიმასია. ბერძნები შეეცდებიან, რომ დიმასის მეტოქეები მაქსიმალურად შეავიწროონ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება. პრობლემა შეიქმნა არსენ კასაბიევთან დაკავშირებით. ჩვენი ინფორმაციით, თუ კასაბიევი საქართველოს დროშის ქვეშ იასპარეზებს, მას ცხინვალში არ შეუშვებენ".

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა განაცხადა, რომ თუ კასაბიევს ცხინვალში არ შეუშვებენ, მას თბილისში დაასახლებს. საქართველოს დელეგაცია კი ათენში ასე განაწილდება.

## ოლიმპიური სოფელი:

### თავისუფალი ჭიდაობა:

| | |
|---|---|
| დავით პოღოსიანი - | 60 კგ. |
| ოთარ თუშიშვილი - | 66 |
| გელა საღირაშვილი - | 74 |
| რევაზ მინდორაშვილი - | 84 |
| ელდარ კურტანიძე - | 96 |
| ალექსი მოდებაძე - | 120 |

**მთ. მწვრთნელი** - ზაზა თურმანიძე
**მწვრთნელი** - გია გალდავა

### ძიუდო:

| | |
|---|---|
| ნესტორ ხერგიანი - | 60 |
| დავით მარგოშვილი - | 66 |
| დავით ქევხიშვილი - | 74 |
| გრიგოლ მამრიკიშვილი - | 81 |
| ზურაბ ზვიადაური - | 90 |
| ივერი ჯიქურაული - | 100 |
| ლაშა გუჯეჯიანი - | +100 |

**მთ. მწვრთნელი** - შოთა ხაბარელი
**მწვრთნელი** - დილარ ხაბულიანი

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:

| | |
|---|---|
| ირაკლი ჭოჭუა - | 55 |
| აკაკი ჩაჩუა - | 60 |
| მანუჩარ კვირკველია - | 66 |
| მუხრან ვახტანგაძე - | 84 |
| რამაზ ნოზაძე - | 96 |
| მირიან გიორგაძე - | 120 |

**მთ. მწვრთნელი** - ბეგი დარჩია
**მწვრთნელი** - ოთარ ტატიშვილი

### კრივი:

| | |
|---|---|
| ნიკოლოზ იზორია - | 51 |
| კონსტანტინე კუპატაძე - | 57 |

**მთ. მწვრთნელი** - თენგიზ მესხაძე

### ძალოსნობა:

| | |
|---|---|
| გიორგი ასანიძე - | 85 |
| არსენ კასაბიევი - | 85 |

**მწვრთნელი** - ივანე გრიქუროვი

### სროლა:

ნინო სალუქვაძე
**მწვრთნელი** - ვახტანგ სალუქვაძე

### ჩოგბურთი:

ირაკლი ლაბაძე
**მწვრთნელი** - გივი ლაბაძე

### ცურვა:

ზურაბ ხომასურიძე - 200 მ. თავისუფალი სტილი

### სამედიცინო ჯგუფი:

გურამ გურგენიძე
ავთანდილ მიქაბერიძე
ვალერი ახალკაცი
ზურაბ კახაბრიშვილი - ხელმძღვანელი

### თარჯიმანთა ჯგუფი:

ირაკლი კუბალაშვილი
რუსუდან აფციაური

### პრეს-ატაშე

ელგუჯა ბერიშვილი

### ადმინისტრაცია

ირაკლი მეძმარიაშვილი
თამაზ იმნაიშვილი
დავით გობეჯიშვილი
კონსტანტინე ღლონტი
მერაბ მეტრეველი
ლერი ხაბელოვი - ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელი

### ოლიმპიური სოფლის გარეთ:

| | |
|---|---|
| ბადრი პატარკაციშვილი - | ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობის პერიოდში სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი |
| ემზარ ზენაიშვილი - | სეოკ-ის გენერალური მდივანი |
| გიორგი გაბაშვილი - | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი |
| თამაზ თევზაძე - | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე |
| ნანა ალექსანდრია - | ათენში ქართული სახლის კოორდინატორი |
| კახაბერ შენგელია - | საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე |
| ზვიად ჭუმბურიძე - | საქართველოს ელჩი საბერძნეთში, ოლიმპიური დელეგაციის ატაშე |

### ჟურნალისტები:

| | |
|---|---|
| პაატა ნაცვლიშვილი - | "დილის გაზეთი" |
| თენგიზ გაჩეჩილაძე - | "ლელო" |
| ავთანდილ გურასაშვილი - | "სარბიელი" |
| ვაჟა დანელია - | "საქართველოს რესპუბლიკა" |
| თამარ ბალავაძე - | "სვობოდნაია გრუზია" |
| ზურაბ თალაკვაძე - | "მთავარი გაზეთი სპორტი" |
| ალექსანდრე კოტორაშვილი - | "მთავარი გაზეთი სპორტი" |
| კახაბერ ბერიძე - | ჟურნალი "ოლიმპიელი" |
| მუხრან კობალაძე - | "ბათუმი" |
| კახა ფაჩუაშვილი - | "24 საათი" |
| ალექსანდრე ჯიბლაძე - | ტელეკომპანია "იმედი" |

### P კატეგორია - პირადი მწვრთნელი:

| | |
|---|---|
| ლალი ზერეკიძე - | ჩოგბურთი |
| ლუკა კოხია - | თავისუფალი ჭიდაობა |

### ახალგაზრდული ბანაკი:

თორნიკე გაჩეჩილაძე
სალომე ქველიძე

სამბო

# ექვსი თვე დათვლილია - დამაკმაყოფილებლად

ბიბა ბურასაშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოს სამბოს ეროვნულ ფედერაციას სათავეში ჩაუდგა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე, ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა. იაძე საკუთარ სამწყსოს არც მანამდე აკლებდა ყურადღებას. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სხვათა პრეზიდენტობის დროსაც კი მასზე მეტს არ აკეთებდნენ. ყოველთვის ასე იყო - ოღონდ საკუთარი შეგირდებისთვის ხელი შეეწყო და ნაკრების მწვრთნელი ოლეგ იაძე უკან არაფერზე იხევდა. ბევრს მისი საქციელი გამაღიზიანებლად ეჩვენებოდა (შეიძლება ახლაც ეჩვენება), მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ფედერაციის პრეზიდენტი სწორედ ასეთი უნდა იყოს.

გუშინ გაიმართა საქართველოს სამბოს ფედერაციის პეზიდიუმის გაფართოებული სხდომა დღის წესრიგის ოთხი ძირითადი საკითხით: ექვსი თვის შედეგების განხილვა-შეფასება; საქართველოს თასის გათამაშება; მსოფლიო ჩემპიონატისა და პირველობებისთვის მზადება და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების დაჯილდოება.

ერთი სიტყვით, სამბოს ფედერაციაში განვლილ ექვს თვეს გადაავლეს თვალი და სამომავლო გეგმებიც დასახეს. პირველად ბოლო 12 წლის განმავლობაში ფულადი პრემიები გაიცა.

ცოტათი გამიკვირდა, საიდან და როგორ მოიძიეს ეს სახსრები. ამის თაობაზე იაძეს ჩავეძიე კიდეც, მაგრამ ვერ დავაცდენინე. "იმან, ვინც ხელი გაგვიმართა, გვთხოვა, ნუ გაახმაურებთ, ისეთი არაფერი გამიკეთებიაო", - ასე განმარტა დუმილის მიზეზი იაძემ. თუმცა, მაინც გავიგე, რომ სამბოს ფედერაციას მხარში ამოსდგომია ფირმა თუ კორპორაცია, ჰოლდინგი თუ შპს, რაც გინდათ, ის დაარქვით, "ქართუ".

იმ ოჯახაშენებულმა, სპორტსმენთა მადლი ხომ მოისხა, უყურადღებოდ არც ის ვეტერანები და მწვრთნელები დარჩენია, ვისაც სამბოს განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით.

ალბათ, იკითხავთ, ასეთი რა შედეგები ჰქონდა სამბოსო? წლეულს სამ ასაკობრივ ჯგუფში ქართველმა სამბისტებმა ევროპის ჩემპიონატზე 17 მედალი დაისაკუთრეს. ჭაბუკებმა სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს, ახალგაზრდებმა ორ-ორი ოქროსა და ვერცხლის და ერთიც ბრინჯაოს, ხოლო დიდებმა თითო ოქროსა და ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს მედალი. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ნაკრების მწვრთნელი და ფედერაციის პრეზიდენტი ამ შედეგებს მხოლოდ დამაკმაყოფილებლად აფასებს. მიზეზი ისაა, რომ მსოფლიო თასზე არ წავედით, რადგან მასში მონაწილეობა ფუფუნებად ჩავთვალეთო. თუმცა, წინ არაერთი საერთაშორისო ტურნირია "შეცდომის" გამოსასწორებლად. რამდენიმე დღეში მახაჩკალის საერთაშორისო ტურნირი იწყება, მერე ნიჟნი ნოვგოროდშიც ასევე მნიშვნელოვანი ასპარეზობაა. ამას მოჰყვება მსოფლიო ჩემპიონატისწინა შეკრებები მწვანე კონცხსა და კიშინიოვში. იაძემ ისიც თქვა, რომ წლეულს ნაკრებს პირველად მიეცა საშუალება, საერთაშორისო ტურნირზე ესასპარეზა. მანამდე გაჭირვების გამო მხოლოდ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე აკეთებდნენ აქცენტს.

EURO-2004

# პორტუგალია ფინალშია






ჩოგბურთი

# დღე მეცხრე



*ინგლისელთა ბოლო იმედი, ტიმ ჰენმანი ასპარეზობას გამოეთიშა.*

სანდრო ნავერიანი

გუშინდელი დღე "უიმბლდონის" კორტებზე ტიმ ჰენმანის ტურნირიდან გამოთიშვით დაიწყო. ბრიტანელმა ხორვატ მარიო ანჩიჩთან დათმო შეხვედრა. ინგლისელ გულშემატკივარს თავისი საყვარელი ჩოგბურთელის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ... ჰენმანი კარგ ფორმაში იყო, თუმცა, მარტო კარგი ფიზიკური კონდიციები საქმეს ვერ შველის. თუ მაღალი შედეგი გინდა, შემართებაც შესაბამისი უნდა გქონდეს. ერთი სიტყვით, შენს გამარჯვებაში მხოლოდ იმიტომ არ უნდა იყო დარწმუნებული, რომ სპეციალისტებმა თქვეს, ჰენმანი ფავორიტიაო. სუპერ მარიო (ანჩიჩის მეტსახელი.-რედ.) სწორად იმ შემართებით გავიდა კორტზე, რაც გამარჯვებისთვის იყო საჭირო. ანჩიჩმა ბრიტანელი ჩოგბურთელი სამ სეტში 7:6, 6:4, 6:2 დაამარცხა. პირადად მე ძალიან გამიხარდა, რომ ხორვატმა ნახევარფინალში გააღწია - ის ნამდვილად იმსახურებდა ამას. რაც შეეხება ჰენმანს, მან, მართლაც, ძალიან კარგად დაიწყო სეზონი, მასტერსის ტურნირიც მოიგო, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ: შემართება, აი რა წყვეტს თამაშის ბედს.

ენდი როდიკმა და სიენგ შალკენმა, ალბათ, ძალიან ბევრი იგინეს. საქმე ის არის, რომ მატჩის მეორე სეტის შემდეგ მათ თითქმის ერთსაათიანი იძულებითი პაუზის გაკეთება მოუხდათ. მიზეზი მარტივი და ტრადიციულია - წვიმა, წვიმა და წვიმა. რაც შეეხება შეხვედრას, ის როდიკის გამარჯვებით დასრულდა. მან სამ სეტში დაამარცხა ჰოლანდიელი. ოცნება, რომ "უიმბლდონი" მოეგო, როდიკს შარშან არ შესრულებია - ამას როჟე ფედერერმა შეუშალა ხელი. ახლა კი მას კარგი შანსი აქვს, ფინალში გავიდეს. ნახევარფინალში მისი მეტოქე მარიო ანჩიჩი იქნება.

რა ხდება ქალებში? გარკვეულია ნახევარფინალისტთა ვინაობა. ამერიკელები რომ დღეს ყველაზე ძლიერები არიან, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ ქვეყნად არიან ისეთებიც, რომლებსაც ძალა შესწევთ, წინააღმდეგობა გაუწიონ დიდი გაბარიტების მქონე დევენპორტსა და სერენა უილიამსს. ამ უკანასკნელის მეტოქე, ფრანგი ამელი მორესმო კარგ ფორმაშია და, როგორც თვითონ ამბობს, მას შეუძლია სერენას დამარცხება, თუმცა, ძალიან გამიჭირდებაო, - დასძენს შემდეგ. სერენა უილიამსი კი, თავის მხრივ, ზედიზედ მესამედ აპირებს "უიმბლდონის" დაპყრობას, რაც, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, ნამდვილად შეუძლია. ლინდსი დევინპორტი რუს მარია შარაპოვას დაუპირისპირდება. თუ პირველ წყვილში ფავორიტის დასახელებისგან თავს ვიკავებდი, ამ შემთხვევაში დევინპორტზე ჩამოვალ ფსონს.

დაველოდოთ ნახევარფინალებს და ვისიამოვნოთ დიდი ჩოგბურთით.

ფრენბურთი

# რაც მაგრები ვართ...

## მსოფლიოს საუკეთესო გუნდის სახელს ბევრი იჩემებს

პაატა თოთაძე

იტალია სერბეთის წინააღმდეგ - ეს იყო მსოფლიო ლიგის მეოთხე ტურის მთავარი თემა. C ჯგუფის ორი გრანდის შეხვედრას ბევრი რამ უნდა გაერკვია. ისე მოხდა, რომ ორივე გუნდის მწვრთნელმა ექსპერიმენტს მიმართა და წინა მატჩებთან შედარებით შემადგენლობა რამდენადმე გადაახალისა.

"ახალგაზრდების გამოცდის შესაძლებლობა ადრეც მქონდა, მაგრამ ვამჯობინე, ისინი ამ მატჩში გამომეყვანა. ეს დიდი რისკი იყო, მაგრამ გაამართლა. ახლა უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ნებისმიერი შემადგენლობით მსოფლიოს უძლიერესი გუნდი ვართ", - მატჩის შემდგომ სიხარულს ვერ მალავდა სერბების მწვრთნელი ლუბომირ ტრავიცა. ხუმრობა ხომ არ არის, სერბებმა სტუმრად ზედიზედ ორჯერ დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი იტალიელები.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა პირველი მატჩი, რომელიც სერბეთმა ტაიბრეიკზე მოიგო (21:25, 32:30, 17:25, 26:24, 15:8). "როგორც ჩანს, ჩემს გუნდს გამძლეობამ უმტყუნა. ბოლო სეტში ასე არ უნდა გვეთამაშა. არა უშავს, მე მჯერა, რომ იტალიის ნაკრები საუკეთესოა მსოფლიოში", - უკმაყოფილო იყო იტალიელთა თავკაცი ჯანპაოლო მონტალი. მეორე მატჩი სტუმრებისთვის შედარებით იოლი გამოდგა, მოსაგებად სერბებს ოთხი სეტი დასჭირდათ. ამ გამარჯვებით ტრავიცას გუნდი ჯგუფის ლიდერი გახდა. ახლა სერბებს პირველობისა და ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად მომდევნო ორ მატჩში ჩინელების წინააღმდეგ ერთი მოგებაც ჰყოფნით. ეს კი ევროპელებს, სავარაუდოდ, არ უნდა გაუჭირდეთ. მეოთხე ტურში ჩინელებმა ორჯერ აჯობეს კუბელებს და ჯგუფში მესამე ადგილზე არიან.

ყველაზე დაძაბული ვითარებაა B ჯგუფში, სადაც პირველობისთვის ერთდროულად სამი გუნდი იბრძვის. პირველობის ყველაზე მეტი შანსი აქვთ ბულგარელებს - დარჩენილ ოთხ მატჩს ისინი შინ ჩაატარებენ. მომავალ ტურში ბულაგარელები ჯგუფის ლიდერს, პოლონეთს მასპინძლობენ. ალბათ, მათ დაპირისპირებაში გაირკვევა გამარჯვებულის ვინაობა, რადგან ბოლო მატჩს ბულგარელები აუტსაიდერ იაპონიასთან გამართავენ და გამარჯვებაც არ გაუჭირდებათ.

სრულიად განსხვავებული ვითარებაა A ჯგუფში, სადაც ერთპიროვნულად ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი და ლიგის შარშანდელი გამარჯვებული ბრაზილიის ეროვნული გუნდი. ერთიცაა: ბრაზილიას ჯგუფში არ ჰყავს ისეთი დონის გუნდი, რომელიც სამხრეთამერიკელების დამარცხებას შეძლებს. ასე რომ, ლიგის ფინალურ ეტაპზე თამაში ბრაზილიელებს განაღდებული აქვთ.

**სატურნირო მდგომარეობა**

**A ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 8 | 8 | 0 | 16 |
| საბერძნეთი | 8 | 4 | 4 | 12 |
| ესპანეთი | 8 | 3 | 5 | 11 |
| პორტუგალია | 8 | 1 | 7 | 9 |

**B ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 8 | 6 | 2 | 14 |
| ბულგარეთი | 8 | 5 | 3 | 13 |
| საფრანგეთი | 8 | 5 | 3 | 13 |
| იაპონია | 8 | 0 | 8 | 8 |

**C ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 8 | 6 | 2 | 14 |
| იტალია | 8 | 5 | 3 | 13 |
| ჩინეთი | 8 | 3 | 5 | 11 |
| კუბა | 8 | 2 | 6 | 10 |

# კონკურსი ევრო 2004

## ლიდერთა მდგომარეობა 1 ივლისისთვის და მათი პროგნოზები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქალაქი | ქ | პროგნოზი: ფინალისტები | | ჩემპიონი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 144 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 2. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 142 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 3. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 135 | ჩეხეთი | პორტუგალია | ჩეხეთი |
| 4. | ჯიბლაძე ნიკოლოზ ლერის ძე | თბილისი | 131 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 5-7. | დარჯანია გიორგი რევაზის ძე | თბილისი | 129 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 5-7. | კაპანაძე იოსებ აბელი | თბილისი | 129 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 5-7. | ონიანი დავით როლანდის ძე | თბილისი | 129 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 8. | ფილია ვიქტორ ანზორის ძე | თბილისი | 127 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 9. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | თბილისი | 125 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 10-13. | გიორგაძე ჟორა აკაკის ძე | ქუთაისი | 124 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 10-13. | გრიგოლაშვილი ვალერი ილიას ძე | თბილისი | 124 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 10-13. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | თბილისი | 124 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 10-13. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 124 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 14-16. | გუსეინოვი თემურ ჰამლეტის ძე | თბილისი | 123 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 14-16. | ჩარგაზია კოტე გიორგის ძე | თბილისი | 123 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 14-16. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 123 | ესპანეთი | პორტუგალია | ესპანეთი |
| 17. | დიდიძე გიორგი ზურაბის ძე | თბილისი | 121 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 18-21. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 120 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 18-21. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 120 | ინგლისი | პორტუგალია | ინგლისი |
| 18-21. | მანარაშვილი ელგუჯა ზაალის ძე | ბათუმი | 120 | პორტუგალია | გერმანია | პორტუგალია |
| 18-21. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 120 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 22-24. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 119 | ჩეხეთი | პორტუგალია | ჩეხეთი |
| 22-24. | წულუკიძე როსტომ ზურაბის ძე | თბილისი | 119 | პორტუგალია | იტალია | იტალია |
| 22-24. | ჯაყელი ანრი გიორგის ძე | თბილისი | 119 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 25-28. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 118 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 25-28. | ფაცია გიორგი მურმანის ძე | თბილისი | 118 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 25-28. | წირქვაძე გიორგი ბიძინას ძე | თბილისი | 118 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 25-28. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 118 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 29-31. | თევდორაშვილი ალექსანდრე ავთანდილის ძე | თბილისი | 117 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 29-31. | მეტრეველი გიორგი ზაურის ძე | თბილისი | 117 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 29-31. | ძურძუკი ვოვა სერგოს ძე | თბილისი | 117 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 32-33. | თაყნიაშვილი დავით თამაზის ძე | თბილისი | 115 | ჰოლანდია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 32-33. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | თბილისი | 115 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 34-41. | აიდოევი ზვიად შალვას ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 34-41. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | გერმანია | პორტუგალია |
| 34-41. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 34-41. | თავბერიძე ზურა კახის ძე | თბილისი | 114 | ჰოლანდია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 34-41. | ისმაილოვი რუსლან ნიაზი | თბილისი | 114 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 34-41. | ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 34-41. | ჩინჩალაძე ლევან ალექსანდრეს ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 34-41. | ცხაკაია რეზო ვასილის ძე | თბილისი | 114 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 42-44. | დავითულიანი გიორგი როლანდის ძე | თბილისი | 113 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 42-44. | კაციტაძე კახაბერ ჯემალის ძე | თბილისი | 113 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 42-44. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | თბილისი | 113 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 45-48. | ასვანუა ლევან პაატას ძე | თბილისი | 112 | პორტუგალია | ესპანეთი | ესპანეთი |
| 45-48. | დანელია არველოდ ილიას ძე | თბილისი | 112 | პორტუგალია | ინგლისი | პორტუგალია |
| 45-48. | თავბერიძე ზურა კახის ძე | თბილისი | 112 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 45-48. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 112 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 49-50. | ხატიაშვილი შალვა ნოდარის ძე | თბილისი | 111 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 49-50. | ჯორჯიაშვილი ზაალ დავითის ძე | თბილისი | 111 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 51-54. | ზანგალაძე ნოდარ ქრისტეფორეს ძე | თბილისი | 109 | პორტუგალია | გერმანია | გერმანია |
| 51-54. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | თბილისი | 109 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 51-54. | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | თბილისი | 109 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 51-54. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 109 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 55-70. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 55-70. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | თბილისი | 108 | იტალია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 55-70. | ირემაძე გოგა გიზოს ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 55-70. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | თბილისი | 108 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 55-70. | მატარაძე ლევან მამუკას ძე | თბილისი | 108 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 55-70. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 55-70. | მიროტაძე დავით ჯუმბერის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 55-70. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 55-70. | მხატვარი გიორგი თამაზის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 55-70. | ნათელაშვილი სოსო ვალიკოს ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 55-70. | ნამჩევაძე ბადრი გურამის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 55-70. | ჩუბინიძე მერაბ ვლადიმერის ძე | თბილისი | 108 | საფრანგეთი | ჰოლანდია | საფრანგეთი |
| 55-70. | ძაძამია ლაშა მირიანის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 55-70. | ჯაბაური დავით ლევანის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 55-70. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | თბილისი | 108 | იტალია | პორტუგალია | იტალია |
| 55-70. | ჯოხარიძე ზურაბ გიორგის ძე | თბილისი | 108 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 71-75. | ადუაშვილი თორნიკე ამირანის ძე | თბილისი | 107 | იტალია | პორტუგალია | იტალია |
| 71-75. | გორგაძე საბა ირაკლის ძე | თბილისი | 107 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 71-75. | დოლიძე გიორგი თედორეს ძე | თბილისი | 107 | პორტუგალია | ჩეხეთი | ჩეხეთი |
| 71-75. | მირიანაშვილი მიხეილ გიორგის ძე | თბილისი | 107 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 71-75. | ქორთუა ვლადიმერ მერაბის ძე | თბილისი | 107 | პორტუგალია | გერმანია | გერმანია |
| 76. | როგავა მეგრი ჯემალის ძე | თბილისი | 106 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 77-78. | მატარაძე ოთარ მამუკას ძე | თბილისი | 105 | პორტუგალია | ინგლისი | პორტუგალია |
| 77-78. | სირბილაძე კობა ძე | თბილისი | 105 | პორტუგალია | ჩეხეთი | ჩეხეთი |
| 79-80. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | თბილისი | 104 | გერმანია | პორტუგალია | გერმანია |
| 79-80. | ხვადაგიანი მიხეილ ანდროს ძე | თბილისი | 104 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 81-91. | ანთაური გიორგი ხვთისოს ძე | თბილისი | 103 | ინგლისი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 81-91. | გვასალია მამუკა გულადის ძე | თბილისი | 103 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 81-91. | გიორგაძე დურმიშხან ვასილი | თბილისი | 103 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 81-91. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | თბილისი | 103 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 81-91. | მაზმიშვილი იოსებ სიმონის ძე | თბილისი | 103 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 81-91. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 103 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 81-91. | ქებულაძე თამაზ ვარლამის ძე | თბილისი | 103 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 81-91. | ცაგარეიშვილი ზაურ აკაკის ძე | თბილისი | 103 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 81-91. | ცივაძე ზურა ნუგზარის ძე | თბილისი | 103 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 81-91. | ხატიაშვილი შალვა ნოდარის ძე | თბილისი | 103 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 81-91. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | თბილისი | 103 | იტალია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 92-106. | არდაშელია აკო მამუკას ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 92-106. | ბერიძე ოთარ ეგრაზის ძე | თბილისი | 102 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 92-106. | ბობოხიძე დავით დავითის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ინგლისი | ინგლისი |
| 92-106. | გეთიაშვილი რობი გოჩას ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 92-106. | გელაშვილი გიორგი ჯემალის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 92-106. | ელისაბედაშვილი გიორგი მერაბის ძე | თბილისი | 102 | ინგლისი | პორტუგალია | ინგლისი |
| 92-106. | ზანგალაძე ნოდარ ქრისტეფორეს ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 92-106. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ესპანეთი | ესპანეთი |
| 92-106. | კვირკვია ვალერი ვლადიმერის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ინგლისი | ინგლისი |
| 92-106. | კუხიანიძე ლექსო მალხაზის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 92-106. | მეძმარიაშვილი გიორგი ელგუჯას ძე | თბილისი | 102 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 92-106. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | თბილისი | 102 | ესპანეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 92-106. | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | იტალია | იტალია |
| 92-106. | შუბლაძე ვახტანგ არტემის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 92-106. | ჯაფარიძე ეკა ასული | თბილისი | 102 | ჩეხეთი | პორტუგალია | პორტუგალია |

# „ფერარი" ორ ახალ ავტომობილს ამზადებს

### "ფერარი 420/430 მონცა"

თითქმის სამი წელია, სპორტული ავტომობილების მწარმოებელი იტალიური კომპანია "ფერარი" თავისი ყველაზე იაფადღირებული ავტომობილის, "360 მოდენას" შემცვლელს ამზადებს. ახალი ავტომობილის საგზაო ტესტები ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყო, მაგრამ დღემდე მარანელოელებს მისი წარმოება არ დაუწყიათ.

პირველად ტრასაზე გამოვიდა შენიღბული ავტომობილი, რომელზეც ახალი ძრავის გამოცდები ტარდებოდა. 2003 წელს "ფერარი" ახალი ტრანსმისიის გამოცდასაც შეუდგა, წელს კი დაიწყო სრულიად ახალი შასისა და მასზე დამონტაჟებული დაკიდების ახალი სისტემის საგზაო გამოცდები.

ეს ინფორმაცია მედიისთვის სულ ახლახან გახდა ცნობილი, მანამდე კი ავტოინდუსტრიაზე მწერალი ბევრი გამოცემა ტყუილად მარჩიელობდა, იქნებოდა სიახლე ძველი ავტომობილის კოსმეტიკური მოდერნიზაცია, თუ სრულიად ახალ შასიზე აგებული რეალურად ახალი ავტომობილი. მარანელოელები თავიდან ახალი ავტომობილის დიზაინის ცალკეულ ელემენტებს ამუშავებდნენ, შემდეგ კი კამუფლირებული კორპუსი სრულიად ახალ შასიზე დადგეს და მისი საგზაო გამოცდებიც დაიწყო.

ტესტები, ზაფხულის დასაწყისში, ჩრდილოეთ იტალიის გზებზე დაიწყო და, ბუნებრივია, ეს მსტოვრულ ფოტოკამერებს არ გამორჩენიათ. გამოსაცდელი ავტომობილი შენიღბულია, მაგრამ ასეც აშკარად ჩანს, რომ მას გარეგნულად არაფერი ექნება საერთო წინამორბედთან. უფრო მეტიც, მის დიზაინში იგრძნობა უპოპულარულესი "ფერარი ენცოს" გავლენა. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ მწარმოებელი უფრო საგულდაგულოდ ავტომობილის იმ ნაწილს ნიღბავს, სადაც მეტი სიახლეა მოსალოდნელი.

როგორც ყოველთვის, ავტომობილის გარეგნობაზე ზრუნვა მიენდო ამ საქმის გურუს, კომპანია "ფინინფარინას", რომელმაც, პოტენციური მყიდველის სურვილის გათვალისწინებით, გაცილებით აგრესიული შესახედაობის ავტომობილი შექმნა. ეს დიზაინის ის შტრიხია, რომელიც ასე აკლდა "360 მოდენას", ავტომობილს, რომელსაც შესანიშნავი ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლები გააჩნია.

ინოვაციები მხოლოდ დიზაინს არ ეხება. ავტომობილს სრულიად ახალი, ხისტი დაკიდების სისტემა გააჩნია, რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდა მისი წინა კლირენსის (გზის საფარიდან ძირის დაშორება) მაქსიმალურად შემცირება. ეს კარგია იმდენად, რამდენადაც დაბლა იწევს მთლიანად ავტომობილის სიმძიმის ცენტრი, ამას კი დინამიკური მახასიათებლებისა და მდგრადობის გაუმჯობესება მოაქვს.

მძღოლის სავარძლის უკან, თვლებს შორის ბაზაში, მოთავსებულია 4.2 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე, V8 აგრეგატი, რომელიც 450 ცხენის ძალას ავითარებს. ეს ძრავი გამოირჩევა იმით, რომ მისი შექმნისას კონსტრუქტორებმა დიდი ყურადღება დაუთმეს გაზგანაწილების სისტემის (საწვავი ნარევის შეშვებისა და ნამწვავის გამოშვების სისტემა) ფაზების ოპტიმიზაციას. თუმცა, ეს ოპტიმიზაცია პირველ რიგში "სპორტულ ინტერესებს" ითვალისწინებს და არა ეკონომიურობისას.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა დასახელებით წარუდგენს მწარმოებელი თავის სიახლეს მყიდველს. თუმცა, ვარაუდი ამ თემაზეც შეიძლება. კერძოდ, რამდენადაც ძრავის მუშა მოცულობა 4.2-4.3 ლიტრი იქნება, შეიძლება ითქვას, რომ სახელწოდებაში 360-ს 420/430 შეცვლის. "მოდენას" ადგილს კი "მონცა" დაიკავებს. პირველი სახელი "ფერარის" შტაბბინის სახელწოდებაა, მეორე კი ქალაქია მილანიდან ჩრდილოეთით, 20 კილომეტრში, სადაც სახელგანთქმული ავტოდრომი მდებარეობს, რომელზეც "ფერარის" ფორმულა ერთის გუნდს და მის გერმანელ პილოტ მიხაელ შუმახერს არაერთი გამარჯვება აქვთ მოპოვებული.

ავტომობილის დებიუტი მომავალი წლის დეტროიტის, ან ჟენევის ავტოსალონზეა მოსალოდნელი, გაყიდვები კი წლის პირველ ნახევარში დაიწყება. ერთი წლის შემდეგ დაიწყება ღია ვარიანტის, ეგრეთ წოდებული სპაიდერის გაყიდვები. კიდევ უფრო მოგვიანებით კი კომპანია გამოუშვებს რბოლებისთვის განკუთვნილ ვარიანტს სახელწოდებით "ჩალენჯ სტრადალე".



"ფერარი 600 იმოლა" მოძველებულ "575 მარანელოს" შეცვლის და "612 სკალიეტის" დაემგვანება



"ფერარი 420/430 მონცას" თავის წინამორბედთან შედარებით უფრო აგრესიული გარეგნობა ექნება

### "ფერარი 600 იმოლა"

გარდა ამისა, "ფერარის" კონსტრუქტორები კიდევ ერთ სიახლეს უმზადებენ ყალყზე შემდგარი კვიცის ემბლემით დამშვენებული ავტომობილების მოყვარულთ - 2006 წლისთვის დაგეგმილია უკვე საკმაოდ მოძველებული ავტომობილის, "ფერარი 575 მარანელოს" შეცვლა სრულიად ახალი კუპეთი, რომლის სახელიც იქნება "ფერარი 600 იმოლა" (იმოლა პატარა ქალაქია ბოლონიის მახლობლად, სადაც ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი, სან მარინოს დიდი პრიზი ტარდება ხოლმე).

კონცეპციის მიხედვით, ახალ ავტომობილს ექნება V12 კონფიგურაციის, წინ განთავსებული ძრავი და მხოლოდ ორი სავარძელი - მძღოლისა და ერთადერთი მგზავრისთვის. წინამორბედთან შედარებით, ძარა შესამჩნევად დაგრძელდება. შესაბამისად, გაიზრდება სუპერავტომობილის სალონის კომფორტულობა და მისი სიმბოლური საბარგულის მოცულობა. იგი აღიჭურვება იმავე 6-ლიტრიანი აგრეგატით, რომელიც გვხვდება "ენცოსა" და "612 სკალიეტიზე".

"ფერარი 600 იმოლას" პირველი პროტოტიპის გამოსაცდელად გამოყენებულია იმავე "612 სკალიეტის" დამოკლებული (6 დუიმით, იგივე 15 სანტიმეტრით) შასი, რომელზეც "სკალიეტისვე" ძარაა დამაგრებული, ოღონდ საგულდაგულოდ შენიღბული. სიახლე პრაქტიკულად მთლიანად ალუმინისგან დამზადებული ავტომობილი იქნება და ამითაც ის "612 სკალიეტის" დაემსგავსება. ამ მსუბუქი მეტალისგან იქნება დამზადებული როგორც ავტომობილის მზიდი სისტემა (მოცულობითი ჩარჩო თავისი სამაგრი ელემენტებით), ასევე ძრავიც, ტრასმისიაცა და დაკიდების სისტემის ელემენტებიც. ამის მიუხედავად, ის "სკალიეტიზე" მსუბუქი არ იქნება, მაგრამ დაკიდების სისტემის ახალი გეომეტრიის, ხისტი ზამბარებისა და ამორტიზატორების, ასევე გადაცემათა კოლოფში უფრო "მოკლე" საფეხურების წყალობით, მასზე გაცილებით დინამიკური იქნება და მძღოლი მისი მართვით დიდ სიამოვნებას მიიღებს.

"600 იმოლას" 6-ლიტრიანი აგრეგატის სიმძლავრე მეტი იქნება "სკალიეტის" 540 ცხენის ძალაზე და ნაკლები - "ენცოს" 660 ცხენის ძალაზე. ისევე როგორც "სკალიეტიზე", "იმოლაზეც" ძრავი წინ, ბაზაში, ესე იგი, წინა თვლების ღერძის უკან განთავსდება, თუმცა ეს მაინც არ იქნება წმინდა სპორტული შეთანწყობა (ძრავი მძღოლის უკან).

ავტომობილი "სკალიეტისთან" შედარებით, შესამჩნევად დამოკლდება, თუმცა "575 მარანელოზე" გრძელი იქნება. ამასთან, წინ წაიწევს მძღოლის სამუშაო ადგილიც, რისი წყალობითაც კონსტრუქტორებმა მასის თანაბარ განაწილებას მიაღწიეს. ყოველივეს შედეგად მოჰყვა ის, რომ ავტომობილი "სკალიეტისთან" შედარებით გაცილებით ადვილი სამართავი იქნება.

"600 იმოლას" დიზაინზეც კომპანია "პინინფარინა" ზრუნავს, რომელსაც მერმის 75 წელი უსრულდება და ამასთან დაკავშირებით, საკუთარი ავტომობილის გამოშვებას აპირებს.

ახალი ავტომობილის გაყიდვების დაწყება 2006 წლის მეორე ნახევრისთვისაა დაგეგმილი, ერთი წლის დაგვიანებით კი მყიდველს შესთავაზებენ ღია, "ბარკეტას" ტიპის სპაიდერს.

# პრეზენტაცია მიუნხჰაუზენის ციხესიმაგრეში

რამდენიმე დღეში გერმანული კომპანია "პორშე" დაიწყებს თავისი ფლაგმანის, მოდელ 911-ის მეექვსე თაობის და მე-15 მოდიფიკაციის ავტომობილების გაყიდვებს. ეს ავტომობილი ბაზარზე პირველად ჯერ კიდევ 1963 წელს გამოჩნდა და იმისათვის, რომ მეტი ყურადღება მიეპყრო, კომპანიამ მის საპრეზენტაციოდ ერთობ უცნაური ადგილი, მიუნხჰაუზენის ციხესიმაგრე აირჩია.

ახალი ავტომობილი ბაზარზე "პორშე 997" სახელით გამოვა. იგი ახალი თაობის კია, მაგრამ გარეგნულად ბევრი არაფრით განსხვავდება წინამორბედ 996-გან, რომელიც 1997 წლიდან მოყოლებული, რაც გაყიდვაშია, სულ 160 000 ცალი გაიყიდა.

ავტომობილმა შეინარჩუნა ტრადიციული ფორმები, რაც პირველ რიგში წინა მაშუქებს და უკანა ნაწილს ეხება. წინა მაშუქები კვლავ მრგვალია და მათი წყალობით, მნახველი მაშინვე ამოიცნობს "პორშეს". მცირედაა შეცვლილი ავტომობილის დიზაინის ზოგიერთი ელემენტი.

მთავარი სიახლე კაპოტქვეშაა განლაგებული. "911 კარერასთვის" ესაა 3.6 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე, 6-ცილინდრიანი ოპოზიტური ძრავი, რომლის სიმძლავრეც 325 ცხენის ძალაა. რაც შეეხება უფრო მძლავრ "კარერა S"-ს, მისი ძრავის მოცულობაა 3.8 ლიტრი, სიმძლავრე კი 355 ცხენის ძალას აღწევს. მყიდველის მოთხოვნის მიხედვით, ძრავთან შეწყვილდება ან სრულიად ახალი, ექვსსაფეხურიანი, ხელით მართვადი, ან მოდერნიზებული, ნახევრადავტომატური გადაცემათა კოლოფი სახელად "ტიპტრონიკი", რომელიც მძღოლის სურვილისამებრ, ან მექანიკურ რეჟიმში მუშაობს, ან კიდევ ავტომატურში. მექანიკურ რეჟიმში მუშაობისას, მძღოლი გადაცემის საფეხურებს საჭის რგოლზე განთავსებული ბერკეტებით ახდენს (როგორც ფორმულა ერთის ბოლიდებშია).

ამ აგრეგატების მეშვეობით, "კარერა S" ადგილიდან საათში 100 კილომეტრამდე აჩქარებას სულ 4.8 წამს ანდომებს (სტანდარტული "პორშე კარერა" ამას 5 წამში აკეთებს), მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 293 კმ/სთ-ს აღწევს.

წარდგენის ცერემონიალზე კომპანიის მესვეურებმა რამდენიმე ავტომობილი ჟურნალისტებს დროებით სარგებლობაში გადასცეს. მათ თითქმის ყველანაირ გზაზე გამოსცადეს სიახლე და უკლებლივ ყველა მათგანი აღფრთოვანებული დარჩა მისი მართვადობით. ახალი "პორშე 997" სიმძლავრით შეიძლება ვერ შეედრება თავის იტალიელ და ინგლისელ კონკურენტებს, მაგრამ დინამიკით ნებსმიერ მათგანს მისცემს ფორას და მისი კონსტრუქტორებისთვის მთავარი სწორედ ესაა. ყველაფერს კი უზრუნველყოფს გადაცემათა კოლოფის "დაახლოებული" საფეხურები, რომელთა წყალობითაც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავტომობილს უსასრულოდ შეუძლია აჩქარება.



1963 წლის შემდეგ "პორშე 911" მეექვსედ გაახალგაზრდავდა

1990-იანი წლების ბოლოს "პორშე" გარკვეულ პრობლემებს განიცდიდა გაყიდვებში, რამაც მის ხელმძღვანელობას სტრატეგიის შეცვლისკენ უბიძგა. აქცენტი გაკეთდა ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლების გაუმჯობესებაზე, რასაც არ უნდა მოჰყოლოდა პროდუქციის ფასის ზრდა. შედეგად, "მერსედეს-ბენცის", "მაზერატის", "ბეემვეს", "ფერარის", "იაგუარისა" და "ასტონ მარტინისგან" გაზრდილი კონკურენციის მიუხედავად, "პორშემ" თითქმის უკლებლივ შეინარჩუნა მყიდველთა საერთო რაოდენობა. წლების განმავლობაში ამას მოძველებული 996-ითაც კარგად ახერხებდა, მაგრამ ახლა იმედოვნებს, რომ ახალი მოდელის გამოჩენას გაყიდვების შესამჩნევი ზრდა მოჰყვება.

911-ის მომხმარებელთა შორის ჭარბობენ შოუ-ბიზნესში დაკავებული ადამიანები და კომპანიების აღმასრულებლები, რომლებსაც სწრაფი და ადვილად მართვადი, ზომიერი ფასის მქონე ავტომობილების ყიდვა სურთ და რომლებიც ნაკლებ ყურადღებს აქცევენ ავტომობილის ექსკლუზიურობას.

ახალი, სტანდარტული კუპე "911 კარერა" 64 700 ევრო (სულ რაღაც 600 ევროთი მეტი, ვიდრე მისი წინამორბედი, მეხუთე თაობის "911 კარერა") ღირს, ერთი საფეხურით მაღლა მდგარი კუპე "კარერა S" კი - 73 300 ევრო. ეს ზუსტად ის ფასია, რომლის გაღებაც არ დაენანებათ წარმატებულ ვროპელებს, რომელთა ოცნებაც "პორშეს" შეძენაა.

"ოცნების ავტომობილის პირობაზე, ახალი 911-ს მისაღები ღირებულება გააჩნია და რაც მთავარია, ყოველდღიურობაში მისი გამოყენება სულაც არ არის მიუღებელი", - ამბობს ავტომობილის მთავარი დიზაინერი, 42 წლის მატიას კულა.

"911 კარერასა" და "კარერა S"-ის გაყიდვები ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყება, მომავალი წლიდან კი კომპანია გამოუშვებს ფორსირებულ "კარერა ტურბო S"-ს, რომლის 3.6-ლიტრიანი ძრავის სიმძლავრეც, ტყუპი ტურბოკომპრესორის შემწეობით, 444 ცხენის ძალას მიაღწევს. ამ აგრეგატით ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 307 კმ/სთ-მდე გაიზრდება, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას ის სულ რაღაც 4.2 წამში მოახერხებს, 200 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად კი 13.6 წამიც ეყოფა. ოღონდ, სიმძლავრის ზრდა ხარკის გადახდას მოითხოვს - "კარერა ტურბო S"-ის ფასი საბაზო "911 კარერასა" და "კარერა S"-ისაზე ორჯერ მეტი იქნება.

# „ფორდ GT" სიჩქარის რეკორდს ამყარებს

ჯერ კიდევ 1966 წლის ლე მანის 24-საათიანი რბოლის დროს, სიჩქარის მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა "ფორდ GT40"-მა რომელმაც პირველმა გადააბიჯა 320 კმ/სთ-იან ზღვარს. წელს კი განახლებული და თანაც, საგზაო "ფორდ GT" გახდა ამერიკული კომპანიის პირველი სერიული ავტომობილი, რომელმაც იგივე ზღვარი დაძლია.

ავტომობილმა სარეკორდო სიჩქარე იტალიაში, ნარდოს 13-კილომეტრიან სატესტო ტრასაზე განავითარა, როცა მაღალ სიჩქარეზე მისი მდგრადობა და გამძლეობა მოწმდებოდა. ავტომობილმა სწორ მონაკვეთზე 328 კმ/სთ განავითარა. შედარებისთვის, 38 წლის წინ, ლე მანის რბოლის დროს, "მულსანის" სწორ მონაკვეთზე GT40-ის სიჩქარემ 321.6 კმ/სთ-ს მიაღწია.

ტესტ-ჯგუფ "ფორდ GT ინჯინიარინგის" მიზანი იყო 500-მილიანი (800 კმ) გამოცდის დროს ავტომობილის ძრავის გამძლეობისა და მაქსიმალურთან მიახლოებულ სიჩქარეებზე ავტომობილის სტაბილურობისა და მართვადობის შემოწმება. მთავარი ყურადღება კი ეთმობოდა ავტომობილის აეროდინამიკის გამოცდას.



წინაპრის მსგავსად "ფორდ GT"-ც სიჩქარის რეკორდსმენია

აღსანიშნავია, რომ ახალი GT-ს ტესტირების დაწყებამდე, აეროდინამიკურ მილში გამოიცადა ძველი GT40, რომელსაც სპორტული ავტომობილისთვის შეუფერებელი ერთი თვისება აღმოაჩნდა - მაღალი სიჩქარით მოძრაობისას იზრდებოდა ამწევი ძალა. რამდენადაც ძველი და ახალი GT გარეგნულად მეტისმეტად გვანან ერთმანეთს, კონსტრუქტორებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ შესაძლოა, ახალ ავტომობილსაც ჰქონოდა მსგავსი ნაკლი.

ამიტომ, სანამ ტრასაზე გაიყვანდნენ, ინჟინრებმა ახალი GT-სთვის მოამზადეს ახალი აეროდინამიკური პაკეტი, რაც დაუკვირვებელი თვალისთვის შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს, მაგრამ მეტსმეტად ეფექტური გამოდგა. კერძოდ, ავტომობილის ცხვირის და კუდის არეში განლაგდა მცირე ზომის სპოილერები, ჰაერის ამღებებს კი ვენტურის მილის ფორმა მიეცა. შედეგი ფანტასტიკური გამოდგა.

"თითქმის მთელ დისტანციაზე აქსელერატორის სატერფული ბოლომდე მქონდა ჩაწეული და ამ დროს არავითარი დისკომფორტი არ მიგრძვნია. ტესტირების დროის განმავლობაში ერთხელაც არ შემპარვია ეჭვი ავტომობილის მდგრადობაში. არადა, ტესტების უმეტესი დროის განმავლობაში ჩვენი სიჩქარე 320 კმ/სთ-ზე მეტი იყო. საჭის მექანიზმი უპრობლემოდ ასრულებდა ჩემს მითითებებს და ყველაფერი ახალი აეროდინამიკური პაკეტის დამსახურებაა. ტესტირების განმავლობაში ერთადერთი, რაც ჩემში დაუკმაყოფილებლობის გრძნობას აღძრავდა, ეს საწვავის ავზის შედარებით მცირე მოცულობა იყო, რისი წყალობითაც ხანდახან გაჩერება და სასიამოვნო განცდებისგან მოწყვეტა მიწევდა", - განაცხადა კომპანიის ტესტპილოტმა და აეროდინამიკის სპეციალისტმა მარკ მაკგოუენმა. მის განკარგულებაში მყოფი ავტომობილი აღჭურვილია 5.4-ლიტრიანი V8 ძრავით, რომელიც მექანიკური დამჭირხნის მეშვეობით 550 ცხენის ძალას ავითარებს.

მაკგოუენს თქმით, "ფორდ GT" არის სუპერეგზოტიკური სპორტული ავტომობილების კლასის წარმომადგენელი და თავისი "კლასელებისგან", პირველ რიგში, 3-4-ჯერ ნაკლები ფასი განასხვავებს.

ამ ავტომობილის წარმოება აგვისტოში დაიწყება მიჩიგანის შტატში მდებარე "ფორდის" კუთვნილ "უიქსომის" ქარხანაში. სულ დამზადდება 1000 ცალი "ფორდ GT", რომელთაგან სულ 101 ცალი გაიყიდება ევროპაში და მათი ფასი "ოდენ" 150 000 დოლარი იქნება.

# „პინინფარინას„ საიუბილეო „სიამოვნება„

მომავალ წელს დაარსებიდან 75 წელი უსრულდება საქვეყნოდ ცნობილ იტალიურ დიზაინ-სტუდია "პინინფარინას", რომელმაც ამ თარიღთან დაკავშირებით, თავისი ერთ-ერთი ბოლო კონცეპტუალური ავტომობილის, სპორტულ მოდელ "პინინფარინა ინჯოის" შეზღუდული რაოდენობით გამოშვება გადაწყვიტა.

ეს კომპანია, პირველ რიგში, კონცეპტუალური ავტომობილებითაა ცნობილი. მის მიერ შემუშავებულ დიზაინს კი ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ზომისა და შესაძლებლობების მქონე კომპანიები "ჰიუნდაით" დაწყებული და "ფერარით" დამთავრებული.



საიუბილეო სიამოვნებისთვის "პინინფარინა" 75 ცალ "ინჯოის" გამოუშვებს

სტუდიამ პროექტი "ინჯოი" (სიამოვნება) ჟენევის შარშანდელ ავტოსალონზე წარმოადგინა და მაშინ მან დამთვალიერებელთა დიდი მოწონება და ინტერესი გამოიწვია. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გადაწყდა ამ მომცრო ზომის, სპარტანული სპორტული ავტომობილის საიუბილეოდ გამოშვება.

ჩანაფიქრის განსახორციელებლად, "პინინფარინამ" საქმეში ჩართო ისეთი კომპანიები, როგორებიცაა "ტოიოტა", "ლოტუსი", "მატრა ინჯინიარინგი" (ეს კომპანია ახლახან შეიძინა "პინინფარინამ") და "ლუი ვუატონი". საბოლოო პროდუქტი, რომელიც სულ 75 ცალი დამზადდება, საკმაოდ მსუბუქი და დინამიკური გამოვიდა, რაც ინგლისური "ლოტუსის" (დღეისათვის იგი მალაიზიურ კომპანია "პროტონს" ეკუთვნის) ინჟინრების დამსახურებაა.

"ტოიოტას" წარმოების 192 ცხენსძალიანი ძრავის მეშვეობით, ავტომობილი 250 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს და ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას 5.2 წამს უნდება. სამაგიეროდ, იმის ხარჯზე, რომ იგი მხოლოდ 800 კილოგრამს იწონის (თითო ცხენის ძალაზე სუ რაღაც 4.3 კილოგრამი მოდის, რაც შესანიშნავი მაჩვენებელია), მანევრულობაში გაცილებით მძლავრ სუპერავტომობილებსაც მისცემს ფორას. უნდა ითქვას ისიც, რომ ავტომობილის სიმსუბუქეს, პირველ რიგში, მის დასამზადებლად ფართოდ გამოყენებული ალუმინი და კომპოზიციური მასალები უზრუნველყოფს. მანევრულობაში კი დიდ როლს ასრულებს "ლოტუსის" ინჟინრების მიერ მომზადებული შასი და დაკიდების სისტემა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ავტომობილის დიზაინი. გარდა იმისა, რომ იგი საკმაოდ კოხტაა, იმითაც გამოირჩევა, რომ ადვილად ეხსნება ძარის პანელები და თითზე ჩამოსათვლელ წამებში ნამდვილ სარბოლ ბოლიდად გარდაიქმნება. გარდა ამისა, "ინჯოის" საერთოდ არ აქვს საქარე მინები, რის ნაცვლადაც მძღოლისა და მისი ერთადერთი მგზავრის სახეს და თვალებს ჰაერის შემხვედრი ნაკადისგან მომცრო ზომის, გამჭვირვალე გარსშემომდენები იცავს.

სალონი მაქსიმალურად სპარტანულია და მის გასაწყობად გამოყენებულია ცეცხლგამძლე და წყალამრიდი მასალები. მინიმალურია ხელსაწყო-მაჩვენებლები, საბარგულში კი ცალკეა გამოყოფილი ადგილები სარბოლი ეკიპირებისთვის, როგორიცაა კომბინეზონი, შლემი, ხელთათმანები და სხვა.

"პინინფარინა ინჯოის" საწარმოო ვარიანტი სტუდიამ საავტომობილო ფესტივალ "ლუი ვუატონ კლასიკზე" წარმოადგინა. 75-წლიან იუბილესთან დაკავშირებით, "პინინფარინა" სულ 75 ცალ "ინჯოის" დაამზადებს, რომლებზეც შეკვეთების მიღება 2005 წელს დაიწყება. ჯერჯერობით უცნობია ამ სიმპათიური ავტომობილის ღირებულება.

*გვერდი მოამზადა*
*მერაბ ლორთქიფანიძემ*

# სადაც ბეტინას და ახიმს ერთმანეთი უყვარდათ

## სასახლე ვიპერსდორფში

ანა კორძაია-სამადაშვილი

1781 წელს ერთ პრუსიელ დიპლომატს, იოახიმ ერდმან ფონ არნიმს ვაჟი შეეძინა, უამრავი სახელის მქონე და, შესაბამისად, უამრავი მფარველი ანგელოზით გარშემორტყმული: კარლ იოახიმ ფრიდრიხ ლუდვიგ ახიმ ფონ არნიმი.

ახალგაზრდა ფონ არნიმი თითქოს არაფრით ყოფილა ღირსშესანიშნავი, უბრალოდ, კარგი ბიჭი იყო, იურისპრუდენციასა და ფიზიკას სწავლობდა, წიგნიერი იყო მუყაითი. მისი ცხოვრება პოეტ ლუდვიგ ტიკმა და მასთან ერთად მოგზაურობამ შეცვალა – ევროპის მოვლის შემდეგ არნიმმა წერა დაიწყო, და აღმოჩნდა, რომ დიდებული ლიტერატორი ბრძანდებოდა. ის ლექსებს წერდა, ნოველებს, რომანებს და პიესებს, კლემენს ბრენტანოსთან ერთად ძველი გერმანული სიმღერების საუკეთესო კრებულიც გამოცა.

ჩვენი გმირის ცხოვრებაში მეორე საბედისწერო შეხვედრა სწორედ კლემენს ბრენტანოს სახლში მოხდა. მან იქ კლემენსის უმცროსი და, ბეტინა ბრენტანო გაიცნო, შეუყვარდა და ცოლად ითხოვა კიდეც.

1785 წელს დაბადებული ბეტინა ბრენტანოს ოჯახში მეშვიდე შვილი იყო – სულ ცხრამეტნი ყოფილან. წარმოშობით ჩრდილოიტალიელი ბრენტანოები გერმანიის კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახი იყო: ბეტინას მამა, პეტერ ანტონ ბრენტანო, ტრირის კურფიურსტის რეზიდენტი იყო, დედა, მაქსიმილიანა ლა როში ერთ დროს გოეთეს მეგობარი ბრძანდებოდა, ბეტინას ბებია კი, რომელმაც თორმეტი წლის ასაკში დაობლებული გოგონა გაზარდა, მწერალი გახლდათ, სოფია ფონ ლა როში. კლემენს ბრენტანოზე აღარაფერს ვიტყვით – ვფიქრობ, წარდგენა აღარ სჭირდება. აი, ასეთ ოჯახში გაზრდილი ქალი შეუყვარდა ახიმ ფონ არნიმს.

ორი შვილის დაბადების შემდეგ ახიმი და ბეტინა არნიმების საგვარეულო მამულში, ვიპერსდორფში გადასახლდნენ. მაგრამ, საზოგადოების მოყვარულმა ბეტინამ პროვინცია ვერ აიტანა, მას აღარც ქმრის სიყვარული აკავებდა და აღარც ვიპელსდორფის ხშირი სტუმრები - კარლ ფონ სავინი, კლემენს ბრენტანო თუ ძმები გრიმები. ბეტინას სხვაგვარად უნდოდა ცხოვრება, და სამი წლის შემდეგ არნიმი სასახლეში მარტო დარჩა – მისი ცოლი ბერლინში დასახლდა.

მართალია, ბეტინა ვიპერსდორფში ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე, მეუღლეს წერილებსაც სწერდა. არნიმიც სწერდა წერილებს და მამულიდან ნობათებსაც უგზავნიდა - ბოსტნეულს, კვერცხებს, ხორცს. საშინლად სევდიანი ამბავია: "არსად არ ვფიქრობ შენს შესახებ ისე ხშირად, როგორც აქ," წერდა ახიმი, "სადაც ერთად, მართლაც, ლამაზი დღეები გავატარეთ, რომლებიც შენ, სამწუხაროდ, დაივიწყე. გთხოვ, ხალხის თანდასწრებით ნუ იტყვი აუგს ჩემს მოკრძალებულ მამულზე, ნუ დაწყევლი, ეს მე გულს მტკენს... გკოცნი, ბავშვებსაც ვკოცნი. ახიმ არნიმი."

ამ ურთიერთობის შედეგად მათ შვიდი შვილი ჰყავდათ და ბეტინას აზრით, ყველაფერი კარგად იყო. ნუ გავკიცხავთ, რა ექნა საბრალოს, ახიმი კი უყვარდა, მაგრამ ვერ უძლებდა იმ მივარდნილ ვიპერსდორფს...

ახიმ ფონ არნიმი კი ვიპერსდორფში ცხოვრობდა, იქ წერდა, იქ გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული, საგვარეულო სასაფლაოზე, პატარა ეკლესიის პატარა ეზოში, მრავალ სხვა ფონ არნიმთან ერთად. ახიმის საფლავის გვერდით კი მისი მეუღლის, მარად საყვარელი ბეტინას საფლავია: მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ისიც ვიპელსდორფში გადასახლდა და იქ გაატარა თავისი "მესამე ცხოვრება".

"აქ დილით, გარიჟრაჟზე ვხტები ლოგინიდან, და საღამომდე ვუზივარ საწერ მაგიდას. სადილის შემდეგ ბაღში გავდივარ, რომ სულებს გავესაუბრო, მაგრამ სულ ათიოდე წუთით, და შემდეგ კვლავ წერას ვუბრუნდები, სამ საათამდე. მერე ლოგინში ვწვები და უკვე მეოთხე კვირაა, ერთ წიგნს ვკითხულობ, ჯერაც პირველ გვერდზე ვარ გაჩერებული, სულ მეძინება... ეს მარტოობა დიდ ბედნიერებას მანიჭებს". ეს წერილი, რომელიც ვიპერსდორფში დასახლებულმა ბეტინამ თავის დას მისწერა, ალბათ, მალამოდ დაედებოდა საბრალო ახიმის მარტოობისგან დატანჯულ გულს.

მეცხრამეტე საუკუნეში ბეტინასა და ახიმის შვილიშვილმა, მხატვარმა ახიმ ფონ არნიმმა, საგვარეულო სახლი პატარა, ბაროკოს სტილის სასახლედ გადააკეთა და მოხატა, და მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე მასში სულ არნიმები ცხოვრობდნენ.

1947 წელს არნიმები, ცხადია, მოისროლეს, და სასახლე გერმანიის დემოკრატიული რესუბლიკის მწერლებისა და ხელოვანების დასასვენებელ სახლად გადააკეთეს (ისე, მაინც ძალიან ჰუმანური ამბავია). იმ დროს ვიპელსდორფში მრავალი მწერალი ცხოვრობდა და წერდა – ანა ზეგერსი, კრისტა ვოლფი, პეტერ ჰაქსი, არნოლდ ცვაიგი თუ სარა კირში. გდრ-ს კვალი ვიპერსდორფს დღესაც ეტყობა, მაგრამ ბევრს ვერაფერს აკლებს, მაინც ჩინებული ადგილია. მით უმეტეს, რომ მას შემდეგ, რაც ბერლინის კედელი დაეცა, სასახლეზე ზრუნვა "კულტურფონდსმა" იკისრა. დღეს ეს ევროპაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელოვანთა სახლია - სტიპენდიები ყოველწლიურად გაიცემა, "ვიპერსდორფული საუბრები" იმართება, საჯარო კითხვები, გამოფენები, პერფორმანსები და კონცერტები. მწერლებს, მხატვრებს, ფოტოგრაფებს, კომპოზიტორებს და პუბლიცისტებს (არა მარტო გერმანიიდან) აქ საუკეთესო პირობებში მუშაობის შესაძლებლობა აქვთ, ხოლო ის, რომ თავდადებით მუშაობენ, ეჭვს არ ბადებს, რადგან სხვას მაინც ვერაფერს გააკეთებენ.

როდემდე უნდა იხეტიალოს კაცმა მშვენიერ, კოხტა შენობასა და პარკში, როდემდე უნდა თელოს უზარმაზარი ცაცხვების აკურატული ხეივნები, როდემდე უნდა ესაუბროს ანტიკური გმირების და ღმერთების ქანდაკებებს და არნიმების სულებს? რომანტიკულ ტბორში ყელმოღერებული გედი ამაყად დაცურავს და მხოლოდ მაშინ ღელავს, როცა წყალში ვიპერსდორფის დღეს უხუცესი მკვიდრი, ლაბრადორი შეიჭრება ხოლმე: სცხელა და ყოველ ნახევარ საათში ერთხელ გედის სამფლობელოში გასაგრილებლად ეშვება. ასეთ დროს გედი დიდ ვაი-ვიშს სტეხს, მაგრამ მალევე მშვიდდება - ეს უფრო შოუა, ვიდრე ნამდვილი ღელვა, თორემ აქამდე ასჯერ უნდა გასკდომოდა გული. გედი და ძაღლი შეძლებისდაგვარად ერთობიან, რადგან გასართობი ვიპერსდორფში სხვა არაფერია. დღესაც კი, მრავალი, მრავალი წლის შემდეგ, კარგად გავუგე ბეტინა ფონ არნიმს: ამ სიწყნარემ შეიძლება ისე გაგაგიჟოს, რომ ვერც მიხვდე, რომ გიჟი ხარ.

პატარა სოფელში, ოდესღაც არნიმების მამულში, სულ 200 ადამიანი ცხოვრობს. ლამაზი მხარეა, წყნარი, მშვიდი, არც მიწისძვრა ხდება და არც წყალდიდობები. იქაურები ადრე იძინებენ და ადრე ილვიძებენ ხოლო თავის საშველად იუტებორგში ჩადიან ხოლმე, ძველ, ტკბილად მიძინებულ საგარნიზონო ქალაქში, სადაც თურმე სულ ცოტა ხნის წინათ რუსი სამხედროები ცხოვრობდნენ და სადაც ჩემი ნებით არასოდეს ვიცხოვრებდი, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აუცილებლად მომაკითხავდნენ. საუკეთესო შემთხვევაში - ბეტინა და ახიმი.



ახიმ ფონ არნიმი ვიპერსდორფშია დაკრძალული, საგვარეულო სასაფლაოზე. გვერდით კი მისი მეუღლის, მარად საყვარელი ბეტინას საფლავია



მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე აქ სულ არნიმები ცხოვრობდნენ

## სკანვორდი



## TV პროგრამა

1 ივლისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.45, 04.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "ცხოველი" (გ) **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.30** უიმბლდონის ნახევარფინალი ქალთა შორის **17.20** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.40** ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი. **02.00** მხ. ფილმი "სიბრაზის მართვა". მთ. რ-ში: ადამ სენდლერი. (15)ყ

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.30** ტელეტურიზმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** ფრანს ევროპ ექსპრესი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.25** აქტუალური თემა. **23.05** დ დიზაინი.ჯონ გალიანო. ზაფხული 2004. **01.25** დიდი გზა. მხ.ფილმი. რეჟისორი ჟან-ლუ უბერი. 1986. 05 20 ზაფხულის ერთი დღე. მხ.ფილმი. რეჟისორი სებასტიენ გრალი. 2003.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "გოდარი ტელევიზიაში" **15.15** სერიალი "რვაფეხა-5" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.15** დოკ. ფილმი "მხატვრები და პროვანსი" **17.30** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** სერიალი "ფსიქ-ფაქტორი" (12) **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ბუქსირი" (12)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "თაღლითები" (მეთიუ პერი) (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "სხვის რიგში" (ბენ აფლეკი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "ინტაქტო" (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ვირტუალობით შეპყრობა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "კოდი კოპერნიკი" **13.10** მხ. ფილმი "ჯაშუში ვარ" (ედი მერფი) (გ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დინოტოპია" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომალაზია" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "კლივლენდის ქუჩები" (პოკ გიამატი) (15)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** ცხოველის ბედი **22.00** მხ. ფილმი "რისკით უნდა იცხოვრო" (15)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში-2" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 3-4 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში-3" **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 02.00** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** არტ-ბულვარი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.30** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "მატყუარა" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **21.30** საქმე ! **23.00** "ესტაფეტა" **23.30** მხ. ფილმი "ნორჩი დონ ჟუანი" (ბ. დანჯელო) (15)

### იბერია

**18.00** მინისერიალი "ბაგა-ბაღი" მე-4 ს. **18.55** დოკ. ფილმი **19.55** კონცერტი **21.30** დოკ. ფილმი **22.20** მხ. ფილმი "საშობაო ღვეზელი" (15)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.50** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** მელოდრამა "პონეტი" **10.35** "სტარტი" **10.50** კომედია "შევებულება ლასვეგასში" **12.20** მუსიკა **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** თრილერი "მიტოვებული" **14.25** მუსიკა **14.50** კომედია "შეშლილი სიყვარული" **16.25** მუსიკა **16.45** მულტფილმი "კუზიანი კვიცი" **17.55** დოკუმენტური ფილმი **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.45** ისტორიული ფილმი "იულიუს კეისარი" 1 ს. **20.15** "სტარტი" **21.00** კომედია "დაუნდობელი ადამიანები" **23.00** "ექსკლუზივი" **00.00** დრამა "ზღვა" **02.10** თრილერი "დრუიდთა საძმო" **03.40** მელოდრამა "გულთან ახლოს" **05.40** მუსიკა

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.20, 18.50** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.10** Василий Шукшин в фильме **"МЫ, ДВОЕ МУЖЧИН" 13.50** "Ералаш". **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Сериал **"СКАРЛЕТТ". 16.20** "Угадай мелодию" **16.50** "Большая стирка" **18.20** Док. сериал "Земля гигантского динозавра". **19.50** "Стирка на миллион". **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00** Время. **22.35 Футбол. Чемпионат Европы**. Полуфинал. **00.40** Док. фильм "Вера Мухина. Испытание". **01.30** Келси Грэммер в комедии **"УБРАТЬ ПЕРИСКОП" 03.20** Чарльз Бронсон в триллере **"ВЕСТНИК СМЕРТИ" 04.50** Сериал **"ПАТРУЛЬ ВРЕМЕНИ".**

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА". 10.00** Сегодня утром. **10.25** "Квартирный вопрос": "Внимание, экран!". **11.20** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 00.55** "Сегодня" **12.30** Ремигюис Сабулис в фильме **"В ДВУХ ШАГАХ ОТ "РАЯ" 14.15** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Бородавочник". **18.35** Протокол. **19.40** Детективный сериал **"МАНГУСТ: ВОСТОК - ДЕЛО ТОНКОЕ". 20.50** Сериал **"НЕ ССОРЬТЕСЬ, ДЕВОЧКИ". 22.00** "Страна и мир". **22.35** "К барьеру!" Ток-шоу **23.40** Сериал **"КЛАН СОПРАНО". 01.20** Теннис. Уимблдонский турнир.

# ქართული სახლი - მუცო



"ქართული სახლის" გახსნაზე.

ვახო ბესელიას ფოტო

თამარ სუხიშვილი

გსმენიათ "ქართული სახლის" პროექტის შესახებ? ვერ დავიჯერებ, რომ არ გსმენიათ. სადმე ყურს მაინც მოკრავდით. მაინც გაგახსენებთ. ამ პროექტმა კარგად დაგვამახსოვრა თავი ლამაზი ღია ბარათების მთელი სერიით, რომელზეც ძველი ქართული ორნამენტები და ჩუქურთმებია გამოსახული, ქარვასლაში გამართული ცნობილი ხვავიანი პრეზენტაციით, რომელსაც პრეზენტაცია კი არა, ქართული სუფრა უფრო ეთქმოდა, შარშან გამართული კონკურსით - "ქართული დიზაინი", მერე ამ კონკურსის დახურვის საზეიმო ცერემონიალით ღია ცის ქვეშ მუზეუმში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დღესდღეობით "ქართულ სახლს" უკვე მხოლოდ დედაქალაქში კი არა, მის გარეთაც იცნობენ: ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში - ამ ქალაქებში გამართული გამოფენებით. წელს პროექტის არეალი კიდევ უფრო გაფართოვდება. ეს ამბავი გუშინდელ პრეზენტაციაზე გავიგეთ, კომპანია "არსის" ოფისში, უფრო სწორად, ოფისთან მდებარე ახალ გალერეაში, სადაც პრეზენტაციის ორგანიზატორებმა ზაფხულის სიცხეს მცირე ხნით გარიდებულ სტუმრებს მშვენიერი ფოტოგამოფენა და გამაგრილებელი სასმელები დაახვედრეს. თუმცა ეს მარტო გალერეის პრეზენტაცია არ გახლდათ, "ქართული სახლის" ორგანიზატორებმა, საანგარიშო მოხსენებასთან ერთად, პროექტის ახალ მიმართულებაზეც ისაუბრეს. ეს არის კომპანია "არსისა" და TBC-ბანკის ერთობლივი პროექტი: "ქართული სახლი - მუცო". იდეის ავტორი საქართველოს დამოუკიდებელ ექსპერტთა ასოციაციაა.

მუცო, იგივე მიცუ (ზოგ წყაროში - მუცუ) პირიქითა ხევსურეთში, მუცო-არდოტის ხეობაში, მდინარე ანდაქისწყლის მარჯვენა ნაპირზე (ზღვის დონიდან 1880 მ.) მდებარე მიკრო-ურბანული ნასახლარია ვერტიკალურად ორგანიზებული ტერასული განაშენიანებით - ოცდაათამდე ციხე-სახლით, ოთხი საბრძოლო კოშკით, მცირე მოედნებით და აკლდამა-სამაროვნებით. დღეს ციხე-სახლების დიდი ნაწილი დაზიანებულია და რესტავრაციას საჭიროებს. ზემოხსენებული პროექტი სწორედ ხევსურეთის ამ ულამაზეს სოფელში არსებული ერთ-ერთი უნიკალური კომპლექსის აღდგენა-რესტავრაციას ისახავს მიზნად. მაგრამ სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოებია ჩასატარებელი. მუცოში პირველი ექსპედიცია აგვისტოში მოეწყობა, ჩავლენ არქიტექტორები, ნახავენ, ანაზომებსა და ჩანახატებს გააკეთებენ და ყოველ კუთხე-კუნჭულს ფოტო და ვიდეოკამერით დააფიქსირებენ... ასე რომ, წინ საინტერესო ექსპედიციაა. დანარჩენს არქიტექტორები აგვისტოში მოგვიყვებიან. აი, მოსაყოლი კი მართლაც ბევრი ექნებათ.

და კიდევ ერთი: ორგანიზატორები მოხარულნი არიან იმ ფაქტით, რომ ჩვენს ქვეყანაში ისტორიული ძეგლების სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტებში კერძო ბიზნეს-სექტორი ჩაება.








**საერთაშორისო სახლი**

*საერთაშორისო სახლი - მსოფლიო ორგანიზაციის წევრი*

**International House**

*A Member Of The International House World Organisation*

*5 ივლისიდან - 31 ივლისამდე*

*აწყობს*

**Starts**

*ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების*

**საზაფხულო სკოლას**

**Summer School**

*An Intensive English Language Course*

მეცადინეობები დაიწყება: 10.00; 12.00; 15.00; 17.00; 19.00.
- *სწავლების ყველა დონე*
- *მეცადინეობები ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 2 საათი*
- *წინასწარი ტესტირება და გასაუბრება*
- *კვალიფიცირებული ქართველი, უცხოელი მასწავლებლები*
- გაიცემა სერტიფიკატი
- ტელეფონები: 94-05-15, 33-01-79
- მისამართი: დოლიძის 2

***Learn English With The Professionals and Speak to the World!***

**სს "მადნეულის" აქციონერთა საყურადღებოდ**

2004 წლის 2 აგვისტოს 12 საათზე მოწვეულია აქციონერთა საერთო კრება.

*დღის წესრიგი:*

1. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;
2. 2003 წლის წლის აუდიტის ჩასატარებლად საერთაშორისო კომპანიის შერჩევა;
3. სს "მადნეულზე" დამაგრებული მიწის საწესდებო კაპიტალში შეტანის საკითხი;
4. სხვადასხვა.

**მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N64.**
**სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" სააქტო დარბაზში.**




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.